


140 / 972/9

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ՔՈՅԳՐԱԳՐԱԿԱՆ  
ՍԵՐԻԱ



ՀԱՄԵՇԱ 1 1972



სანდრო  
შანშიაშვილი,




ჩემო ძვირფასო ბავშვებო! მას სოვს, თქვენოდენა რომ ვიყავი, ახალწლის წინა დღეებში ბები-აჩემი თეონა ბავშვებს შემოგვიკარებდა და დავგარიგებდა ხოლმე: ახალწელიწადს პირნათელნი უნდა შეხვდეთ, დანაშაული არ ჩაიდინოთ, ბოროტი ზრახვა გულის არაფერი გაივლოთო; კარგები რომ იქნებით, სიკეთე დაგეკვებებათო. ახალი წლის დღით კი ლედვისჩირითა და ჩურჩხელეებით გვილოცავდა ბედნიერი დღის დადგომას. ლედვისჩირის ასხმულას ყელზე ჩამოგვკიდებდა, ჩურჩხელას ხელში მოგვცემდა და დავლოცავდა: ასე ტკბილად დამიბერდითო.

აი, ასევე ტკბილად მინდა დავლოცოთ მეც ყველანი, თქვენმა დიდმა სანდრო პაპამ. ოთხმოც წელს რახანია გადავაბიჯე, შვილებო! თქვენც ჩემი ხნისანი მოიყარენით!..

ყმაწვილებო, მომავალი თქვენ

# გოდოცავეთ



დავით ბაძრაძე,  
საბჭოთა კავშირის გმირი.

სახალწლო ზეიმის დროს ყოველთვის თვალწინ მიცოცხლდება ბრძოლის ქარცეცხლში გათენებული ახალწლის დამეები... დიდი სამამულო ომის დროს სამშობლოს

პარტიზანული ბრძოლებით ვიცავდი. ახალწელს მტრის ღრმა ზურგში ორჯერ შევხვდი. მასხოვს მიიწურა 1942 წელი და 1943 წლის დილა თენდებოდა. ჩვენი შენაერთი სოფელ გლუშკევიჩში მტრის ალყაში იყო მოქცეული. ტყვიაწამალი გველეოდა, მწარე ახალი წელი გვითენდებოდა, მაგრამ ჩვენი შენაერთის პიონერმა პარტიზანებმა დიდი ამაგი დავედეს და დაღუპვისაგან გვისხნეს. ესენი გახლდათ: ნინა სოზინა, ვასია მიროშკინი და ნიკოლოზ სემინისტი. ეს ნორჩი მებრძოლები მეთაურის განკარგულების გარეშე გაიპარნენ და მალე ტყვიაწამლით დატვირთული მტრის ცხენები მოიყვანეს ნაწილში. ეს იყო ისეთი ძვირფასი საახალწლო საჩუქარი, რომ უკეთესს მაშინ ვერაფერს ვინატრებდით. პარტიზანული შენაერთის ხელმძღვანელებმა: სიდორ კოვპაკმა და სიმონ რუდნეევმა მამაცი მებრძოლი პიონერები მთავრობის ჭილდოზე წარადგინეს. ისინი წითელი ვარსკვლავის

ორდენებით დაჯილდოვდნენ. ერთხელ ასეული რკინიგზის ხიდის ასაფეთქებლად წავიდა. ნინა, ვასია და ნიკოლოზი მწვერავებად წამოგვეყვინენ. ღამის ორ საათზე სამი ხიდი ავაფეთქეთ. ერთ-ერთი ხიდის თავში მათ ჯოხი ჩაამაგრეს, გოგრა ჩამოაცვეს და ზედა წააწერეს: „დანადმულია“. ამ „გაფრთხილებამ“ მტერი ჩააფიქრა და კომისიები შეჭქმნა შესამოწმებლად. ამასობაში დრო გავიდა და ჩვენი ნორჩი მებრძოლების საზრიანობის წყალობით მტერს რკინიგზის ექსპლოატაცია რამდენიმე დღით შეუფერხდა... მათი თავდადებული ბრძოლის ბევრი ეპიზოდი ახსოვთ ჩვენი შენაერთის პარტიზანებს.

კარპატების რეიდის ამ მამაც მონაწილეთაგან ნინა სოზინა მძიმედ დაიჭრა მდინარე პრიპიატის გადალახვის დროს, გოგონა მაშინვე „დიდ მიწაზე“, როგორც მაშინ მოვიხსენიებდით მოსკოვს, გადავაფრინეთ. ნინა გამოჯანმრთელდა, დღეს იგი მასწავლებლად მუშა-


გეკუთვნით. გაიზრდებით და ჩვენს ადვილს თქვენ დაიკავებთ, მიჰბადავთ იმ საუკეთესო ადამიანებს, რომელთაც ეს ბედნიერი ცხოვრება მოგანიჭეს. მიჰბადავთ თქვენს მარჯვენადაულღელ მამა-პაპათ, ბიძებს, ბებოებს: მამიდებს.

იმედი მაქვს, რომ ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში თქვენ მხოლოდ სიკეთისა და ბედნიერების მშენებლები იქნებით. გისურვებთ მრავალი ახალი წლის დასწრებას და ისე ტკბილად დამიბერდით, როგორი სიტკბოთი და სიყვარულითაც მე ეს პატარა ლექსი მივუძღვენი ჩემი შვილიშვილის კუდრაქა გოგონებს: მაიასა და ნათიას.

ერთხელ ვაშლი უყიდეს ნათიას და მაიკოს, მოისურვეს, რომ ვაშლი თანახმად გაიყოს. დაავალეს — გაყოფა მტრედვით წყნარ მაიკოს: — ესა შენ და ესა მე...

აი, კიდევ მესამე...  
— არა! არა! არ მინდა! — ხელი სტაცა უცბად პარკს.  
— შენთვის არჩევ მხოლოდ კარგს...

სულ ჩემია, რაც არის! რა ბევრია! ათია! — იძახოდა ნათია.  
სავსე პარკი ჩაბლუჯა შემოეხა შუაზე.  
...ჩვენი კოხტა ნათია როდის მოვა ქკუაზე? ბოლოს-ბოლოს მამიკომ შუა გაყო ვაშლები; ალერსით, დაყვავებით დაამშვიდა ბავშვები. რა კარგები არიან მაიკო და ნათია.  
სხივი — ჩაუქრობელი მათ თვალებში ანთია! ამ გოგონებს სკოლაში სიბრძნეს ჩააგონებენ; და ამ ლექსის დამწერსაც — პაპას — მოიგონებენ!



გიორგი გიგაბერი, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პიონერული მოძრაობის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე.

ჩემო უმცროსო მეგობრებო! 1972 წელი განსაკუთრებით ძვირფასი წელიწადია თქვენთვისაც — პიონერებისათვის, და ჩვენთვისაც — პიონერული მოძრაობის ვეტერანებისათვის: მაისის თვეში დიდი ზემოთ აღვნიშნავთ ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის 50-ე წლისთავს.

სულითა და გულით გილოცავთ ამ ახალ, საიუბილეო წელს! გისურვებთ ჯანმრთელობას და ახალ წარმატებებს სწავლაში, თქვენს ყოველდღიურ პიონერულ საქმიანობაში!



# კამეჩა

ნაგვარი 1972

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რასაუბლიკური საბავსო უწყველთიერი საბავსო ქარაღი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კვ. შ. ი. ნ. გამომცემლობა



# ახალ წელს!

ობს, ჰყავს ორი შვილი. ომის დამთავრების მერე მას ბევრჯერ შეეხვდი, სულ ბოლოს ამ შემოდგომაზე ვნახე, 4 სექტემბერს ქ. პუტივლში, სიდორ კოვპაკის შენაერთის შექმნიდან 30 წლისთავის საზეიმო შეკრებაზე. ჩვენი პარტიზანული შენაერთი ხომ ამ ქალაქში ჩაისახა!

ნიკოლოზი ერთ-ერთი დაზვერვის დროს სოფელ პელენიცაში (ივანე ფრანკოს ოლქი) ფაშისტებმა ხელთ იგდეს და დახვრიტეს. მისი საფლავი ვიპოვეთ და კარპატებში დაღუპულ 82 პარტიზან ძმათა სასაფლაოზე გადმოვასვენეთ აგარაკ ერემჩაში. ძმათა სასაფლაოზე ასვენია ჩვენი პარტიზანული შენაერთის კომისარი სიმონ რუდნევი და იმისი თქვესმეტი წლის შვილი რადიკი.

ვასია მიროშჩინი კი პოლონეთის და აღმოსავლეთ პრუსიის რეიდის დროს გაცხოველებულ ბრძოლაში დაიღუპა ლიუბლინის ოლქში, სოფელ გლინოეში. მამაცი ბიჭუნა მხედრულად დავასაფლავეთ ერთი ნაძვის ძირში და

წარწერა გავუკეთეთ. ვასიას ერთმა გლეხმა ცხენი აჩუქა, ცხენს ბაჩას ეძახდნენ. ომი რომ დამთავრდება ეს ცხენი თავის პატრონს უნდა დავუბრუნოვო, — ამბობდა საწყალი ბიჭი. 1968 წელს, პოლონეთში ყოფნის დროს ვავიგე, ვასიას ნეშტიც ომის შემდეგ ძმათა სასაფლაოზე სოფ. კრასნიხსკში გადაუსვენებიათ. ჩემი დაღუპული პატარა მეგობრების მშობლებთან დღემდე მიწერ-მოწერა მაქვს.

საუკუნო ხსენება იყოს მათი! თქვენ კი, ჩვენო ძვირფასო ბავშვებო, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერ სიცოცხლეს, ხალისიან სწავლასა და შრომას!

შორს თქვენგან ომი! დაე, მუდამ უღრუბლო იყოს ჩვენი ზეცა! იყავით სამშობლოს ისეთი ერთგული შვილები, როგორებიც იყვნენ: ჩვენი თანამემამულე ზოია რუხაძე, ვასია, ნიკოლოზი, ნინა და ბევრი სხვა მათი თანატოლები...

დაესწარით მრავალ ახალ, ბედნიერ წელს!



# მატარებლები დასკოლისკენ მიქიან



ილგაჯა  
პერაბიშვილი

მხატვარი  
ზურაბ ზორჩიძე

მოთხრობა

ჩქარი ნაბიჯით სკოლისკენ მიმავალი ჯერ სტვენამ, შემდეგ ძახილმა შემაჩერა:

— რამიზ! არ შეხვიდე, რამიზ!

ზევით გავიხედე. მიტოვებული ფერმის შენობის უკან, კედლის ქიმთან ლალეს წითელ ქოჩორს შევასწარი თვალი და მივხვდი, რომ ჩვენი კლასელები იყვნენ.

სკოლის ქიშკართან ვიდექი და აღარ ვიცოდი, რა მექნა. ფიქრის დრო არ იყო. მორიგე მასწავლებელს რომ არ დავენახე, დავიხარე და მესრის გასწვრივ აღმა გავიქეცი.

კედლის უკან ლალე, თეზო და შუქო იდგნენ. წიგნები დიდ ქვაზე დაეწყობთ და კედელს აკრულები სკოლისკენ იქტირებოდნენ.

ზარი დაირეკა. მასწავლებლები ღია აივანზე გამოვიდ-

ნენ და სანამ კლასებში შევიდოდნენ, დაგვიანებულ მოსწავლეებს დაუწყეს ძახილი, ჩქარა გამოიქტირათ.

— „სიკვდილის ფორმულამ“ ჩვეს ამოგვიღო თვალში, თორემ აბა სხვებიც გამოირეკოს! — ამბობდა თეზო.

— მაგ ბუსთავამ მოიტახა?... თავგამოდებული რომ გარბის? — იკითხა შუქომ.

ჩვენი კლასელი ზაირა დაფხვილი იხვივით მოგორავდა სკოლის კიბეზე.

— შეჰპირდნენ, ბიძიკო, შეჰპირდნენ! — ლალემ მხარზე ხელი დაჰკრა შუქოს და თავისკენ შეაბრუნა, — მაშროგორა გგონია, ჭკუით ცხოვრობს ხალხი... ჭკუითა და მოხერხებით.

— რაც არა მაქვს, რას შევპირდე? — ამირიზა თეზო, — მაგრამ რას გააგებინებ. მიქელ-გაბრიელივით დაგადგება თავზე და... ზედგამოჭრილი სიკვდილია, ცელიც რომ მისცე ხელში, ვერ გამოარჩევ.

მივხვდი, დამრიგებელზე ბრაზობდნენ. სკოლისკენ ვიქტირებოდი. კლასებში უკანასკნელი მოსწავლეები შეიკრიბნენ და მამიავე მიწყნარდა ყველაფერი. ვიდექი და ზედმეტად მეჩვენებოდა სკოლისათვის ჩემი ფიზიკის წიგნი, შიგ ჩარჭობილი რეკულებით დაუთოვებული ყელსახვევიც და ჩემი თავიც.

ვანდა მასწავლებელი დამიდგა თვალწინ. ფიტულებით გამხდარი ქალი. ნაცრისფერი, ჭკვიანი თვალებით მოგვეჩერებია და შეკოწიწებული ქართულ-რუსულით გვიხსნის:

— აი, ბავშვებო, ამ წითელ ზოლს ხომ ხედავთ, — გვიჩვენებს რუკაზე, — ეს ფრონტის ხაზია. მის დასავლეთით ამხელა ტერიტორია კვლავ მტრის ხელშია. საბჭოთა ხალხი სამკვდარ-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევა ყოველი მტკავილი მშობლიური მიწისათვის... ზურგში დარჩენილმა მშრომელებმა ამ დღეებში გადაწყვიტეს კიდევ ერთი საბრძოლო ნობათი გაუგზავნონ ფრონტს... ყველა შეგნებული ადამიანი ლუქმას მოიკლებს, რომ დაზოგოს... ახლა, დიდი თუ პატარა, ყველა იმის ფიქრში უნდა იყოს, რომ დაზოგილი სახსრებით მოკლე დროში აიგოს დიდი სატანკო კოლონა...

— განმძაძიებლებო, რა ყურები ჩამოგიყრიათ? — ფიქრებიდან გამოვყავარ ლალეს ხმას. ლალე მალალი. ჭორფლიანი ბიჭია, წითელი ხუჭუჭა თმა მხოლოდ საქოჩრებზე აქვს დატოვებული. დათას გაკრეჭილია, მიშას რომ გაეკრიჭა, ცოტას მაინც შეუთხებლებდა. ლალეს აშკარად უხარია, რა თქმა უნდა, გაუხარდება, აბა რა უნდა ეკეთებინა, ახლა რომ გაკვეთილზე ყოფილიყო?

— რას იტყვი, მთავარო განმძაძიებელო, ახლა საით წავიდეთ? — ეკითხება თეზოს.

შუქო და ლალე იცინიან. თეზოს ვერაფერი უწამებია, დგას და ქვედა ტუჩს იკვნეტს.

მთელი კვირადღე შეიწირა თეზოს წამოწყებამ — განძის უთაებლო ძებნამ ძველ ნატაძრალეებთან, ქვაბების თავზე. თეზოს დიდ ქალაღზე ჰქონდა დახაზული საყდრის გეგმა, წყვეტილი ხაზების გასწვრივ ისრებით იყო მინიშნებული მიწისქვეშა სამალავები. ნამდვილი განძის მაძიებლებივით მშიერ-მწყურვალნი დავეხეტებოდი ნანგრევებში ამოსულ ჯაგნარში, ვიღრე მიწისქვეშა შესასვლელს არ მივაგენით. დაქანცულები ძლივს დავათრევდით წერაქვსა და ძალაყინს... და უცბად, მელიების სროლოში აღმოვჩნდით.

— რა ყურები ჩამოგიყრია! — მხარში მიბიძგა შუქომ. შევხედე, მაგრამ არაფერი მითქვამს. მომწვანო თვალები ჰქონდა. ეშმაკი არასოდეს მენახა, მაგრამ ჩვენსოფელს ლაბარს პატარა ბიჭად რომ მოეჩვენა მლაშე ხევზე, ალბათ შუქოსნაირი იერი ექნებოდა დედის შეკერილი გულისჯიბიანი, ჩამოფხავებული

შევი ბლუზა ეცვა და, აქაოდა პიონერი ვარო, მელნით მოსვრილი წითელი ნაჭერი თოკივით ჰქონდა ყელში წაჭერილი. თვალეზაბაყუტული იდგა და ეშმაკურად შემომცინოდა.

— ერთი რაღაცა მოვიფიქრე ჩემს ცერცეტი ჰკუთხ. მაგრამ არ ვიცი, მოგეწონებათ თუ არა. — გვითხრა ლალემ. წელმოწყვეტილი პატარა ჯიბის დანა ეჭირა და თავის სახელს ჰრავდა მესრის ფიცარზე. — მოდი, ტყეში წავიდეთ.

— ტყეში რა დაგვრჩენია?

ლალეს საგულდაგულოდ გამოჰყავდა თავისი სახელების ბოლო ასო.

— ფიჩხი წამოვიღოთ ხელის ურმებით და პატარა ქალაში გავყიდოთ. პატარა ქალაში სულ რკინიგზელები ცხოვრობენ, კაციშვილი არ წასულა ფრონტზე, ფული ჩეჩქევით უყრიათ ჯიბეში.

ერთმანეთს შეეხედეთ. ყველას ჰკუაში დაგვიჯდა ლალეს ნათქვამი. მუქომ წიგნები წამოკრიფა და დაიძახა, არიქა, დირექტორიო, და მაშინვე გზისკენ მოვეკურცხლეთ.

სკოლას საკმაოდ რომ დავშორდით და მთავარ გზაზე ჩამოვედით, უკან მივიხედეთ.

— აგერ კიდევ ვილაციისთვის აუკრეფინებია გულა-ნაბალი. — ვუთხარი ბიჭებს.

— სტანგელაა. — თქვა თეზომ.

— რას ამბობ, სტანგელა ეგრე დაგვალული როგორ იქნება.

დავუცადეთ. ბიჭს კანჭურა შარვალი ეცვა, პიჯაკი იდაყვებამდე დაეკაიწებინა და თვალეზაბაყუტული, თავჩაღუნული მოდიოდა.

— ბიჭო, ეს ხომ ასმათია! — შეჰყვირა ლალემ, გადატრუსულ ქოჩორზე შეივლო ხელი და ასკინკილა შემოგვირბინა გარშემო.

— რატომ წამოხვედი? — შევეკითხე.

ზედ არ შემოუხედავს და არც შეჩერებულა.

— ქალიშვილო, შენ გეკითხებიან, გესმის? — მუქო წინ აეჩინა.

— ვინ არის შენი ქალიშვილი. შე მთხლეც, — მჯილი ნიკაპთან მიუტანა მუქოს და უკან დაახვეინა.

— რა მოგივიდა, გოგო, არ იტყვი? — ჩაეძია თეზო.

— გამომავლო. — გვითხრა გამომწვევად, მერე შეჩერდა, ტანზე დაიხედა და ამოიოხრა. — ეს დუდას პიჯაკი მაინც არ გამომყოლოდა ეს უპატრონო.

ყაჩაღანა გოგო იყო, მაგრამ ახლა ისიც შეფიქრანებული ჩანდა.

— აიო, ვანდა მასწავლებელსაო გამორჩევით უყვარს ასმათიო, იმიტომ უფრო უყვარსო. რომა რაკი რუსსა ჰვავსო. ევეც შენი რუსი! — ჩირქილებდა ლალე და შორიახლო უტრიალებდა ასმათს.

— თავი დამანებე, თორემ ამ გაცეცხლებულ გულზე ყბაში გბეთქავ. — ასმათმა მუქში დამალული სამელნე მოუღერა.

ასმათი მართლა რუსის გოგოს ჰვავდა. თეთრი, თითქმის ბამბასავით თეთრი თმა ჰქონდა და დიდრონი ცისფერი თვალეზები. აპრებილი ცხვირი არც ვანდა მასწავლებელს ჩამოჰყოლია რუსეთიდან, ასმათსაც მასავით მოკლე სწორი ცხვირი ჰქონდა და მკაცრად მოკუმული თხელი ტუჩები.

ახლაც თხის კუდივით მოკლე თმა ჰქონდა აკრეფილი და პირწავარდნილი ბიჭი იდგა ჩვენ წინ — რუსის ბიჭი.

ვანდა მასწავლებელს რომ ჰკითხო, რუსები ევროპაში ულამაზეს ხალხად ითვლებოდა, ვიდრე მონღოლები არ შემოესიენნო რუსეთს, პაჭუა ცხვირები მათ შემოიტან-

ელგუჯა მირაზი-  
შვილის მოთხრობა  
„მატარებლები დასავ-  
ლეთისკენ მიდიან“ „კი-  
ონარის“ კონკურსზე შე-  
რდი პრემია დაიხსახრა.



ნესო რუსეთში. მაშინ ლალემ ჰკითხა, ჩვენშიც ხომ იყვნენ მონღოლები, რატომ აქ აღარ შემოიტანეს პაჭუა ცხვირებიო. ვანდა მასწავლებელი გაბრაზდა და გარეთ გააგდო ლალე.

ასმათს მხარში ამოვუდექი და გზადაგზა ვეკითხებოდი:

— რატომ გამოგავლო?

— რა ვიცი, რას გაუგებ. ზოგს ქართულად მეუბნებოდა, ზოგს — რუსულად.

— მაინც რაო?

— კლასი ვერ მოგიმზადებია კრებისთვისო. სად არის თქვენი პიონერული სინდისი, როცა ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩაშლამდე მიგყავთო. შენ, როგორც ორგანიზატორს, ყველას მაგიერ მოგეთხოვება პასუხი. პირადი მაგალითით უნდა გაიყროს კლასი, შენ კი რას აკეთებო...

— გამოდის, რომ არც შეგნება გქონია და არც სამშობლო გყვარებია

— ფულს კი არა, სიცოცხლეს არ დავიშურებდი, მაგ-



რამ... გუშინ დედას გული წასვლია მინდორში, სისუსტისაგან... დღეს სამუშაოზე ვეღარ წავიდა...

— ასა, იცი, ჩვენ ტყეში მივდივართ.

— ტყეში რისთვის? — ოქროსფერი წარბები შეპყარა.

— ხელის ურმებს ვიშოვით, სამკვდლოსთან წაღებს დავლესავთ და ჰაიდა.

ასმათი დაფიქრდა, სათითაოდ შეგვათვალეოდა და მაშინვე მიხვდა, რასაც ვპირებდით.

— მერე თითია? — იკითხა დაეჭვებით.

ახლავა გავახსენდა ტყისმცველი. შევფიქრიანდით, ნაბიჯი შევანელებთ და ერთმანეთს შევხედეთ.

— ნუ გეშინიათ, — დაგვიამბა შუქომ, — თითიას წამალი მე ვიცი. მხოლოდ ერთ რამეს გთხოვთ, ვისაც საბუღარში კვერცხი გეგულებათ. ხელი ასწიეთ. სულ ორად ორი კვერცხია საჭირო.



— მოხარულეები?

— ეპ, თქვენთან ლაპარაკი ზედმეტია. — შუქო წინ წავიდა. — რამიზ, მოდი, შენ გეტყვი. — მომიბრუნდა მე.

მე და შუქო წინ გავიქეცი, ორღობეში შევუხვიეთ და აღმა წავედით. შუქომ გრძელი შხებლა გამოაძრო ღობეს და წინ გამიძღვა.

— მესანთლე ანანასთან შევიბრძინოთ, თუ გვენისიავა ორი კვერცხი, ხომ კარგი, თუ არა და უკან ამობრუნება მოგვწევს.

მე ჭიშკართან გავჩერდი. შუქომ შხებლა შეაგება ჩვენკენ გამოქანებულ ფისკანას და აივნისკენ დაახვიინა.

ძაღლის ყეფაში არაფერი მესმოდა. მხოლოდ ვხედავდი, როგორ გამოვიდა აივანზე თემოზე ხელშემოდებუ-

ლი შავებიანი დედაკაცი. ტუჩების ცმაცუნევიანობით და, მერე თავშლის ყურით მოიწმინდა ნიკანას და გრძელ ცხვირს შუა ჩავარდნილი უკბილო პირი და მოაჯირს გადმოეყრდნო. ვუყურებდი, როგორ მოისაწყლა თავი შუქომ, ლამის ხელში ჩააკვდა დედაბერს...

ფისკანამ ორღობის ბოლომდე მოგვაცილა. შუქოს ღაზლის ძაფით შეკრული თამბაქოს ფოთლების კონა ეჭირა ხელში და გზადაგზა ყნოსავდა.

— პირველი ხარისხის თუთუნის გამოვია, ჯერ მარტო ფერზე შეხედე, — მეტრაბახებოდა, თითქოს თითია მე ვყოფილიყავი. — ახლა ჩვენკენ გავიაროთ და ხელის ურემი წამოვიღოთ. მერე სამკვდლოსკენ წავალთ და, სანამ წალღის გავლესავ, სახლში შეიბრუნ და სატყეოდ გამოეწყობი.

სამკვდლოსთან დიდი ჩარხი ედგა კოჭლ სანდრას. ხელის ურმის რიხინზე მაშინვე ქურა მიატოვა და გარეთ გამოვიდა. მოკლე ფეხი შესაკეთებლად მიტანილი გუთნის მანჭზე შემოდო და ნიავს შეუშვირა ოფლიანი სახე.

— ამბავი, ტარიელაო, მობრძანდი ცარიელაო? — შეეკითხა შუქომ და კიდევ ერთხელ წაისვა ჭვარტლი ცხვირის ნესტოებზე — ვითომ მოიხოცა.

— რა უფრო გინდოდა რომ მომეტანა? — შეუღრინა შუქომ, — დიდი ნაფოტი აიღო, ტაოტით საესე ყუთში ამოჭკრა და ხელის ურმის ღერძს დაუწყია პოხვა.

სახლში შევიბრძინე, ძველებში გამოვეწყე, ძველი ქალამნები ჩავიცვი, დედის მიერ ჩემთვის საგანგებოდ დატოვებული მჭადის ნაჩეხითა და კომპოსტოს მწნილით შევნაყრდი და სამკვდლოსკენ გავიქეცი.

შუქო ჩარხის სახელურს ატრიალებდა, სანდრას წალღი ეჭირა ატრიალებული სალესი ქვის გარდიგარდმო და ლესავდა. ქვა გობში იყო ჩადგმული, ატრიალებულ ჩარხს წყლის შხეფები ამოჭკონდა გობიდან და შავი ლაქებით ფარავდა მჭედლის ჭუჭყიან წინსაფარს.

— ცარიელი ზარალი ხარ, დადალოს ბიჭო... ცარიელა ზარალი. ვერ იქნა და შენგან ხეირს ვერ ვეღირსე. — ამბობდა სანდრა და თან წალღს ფხას უსინჯავდა.

— რა დროს ეგ არი, კაცო, მეჩქარება. — შუქომ წალღი გამოართვა მჭედელს და ურმის ჭალზე მიაბა ბაწრით.

ლალესკენ გავიარეთ. შუქომ გასძახა, დუბეში დაგელოდებითო, და თავქვე გრიხინით წავიღეთ ურემი. გაღმა ტყეში მივდიოდით. ხევამდე სულ თავქვე იყო.

— დაჯეტი, უფრო ჩქარა წავალთ. — შუქომ ურემი გააჩერა.

უკანა კოფო შუა ჭლებზე გადავიტანე. შუქომ დაჯელომა აღარ მაცალა, თავაშვებული დაეშვა თავქვე.

ხევის წყალი მთლად რუბებში აეკრიფათ. მშრალ რიყეზე წყაროს წყალიდა მოწანწკარებდა.

დუბეში რომ გავედით, ჯეჯილის პირას მწვანეზე წამოვგორდით და დავედოდეთ. შემადლებული ჯეჯილი ველის ყვავილებით იყო აქა-იქ დაწინწკლული, საღდაც ახლოს მწყრები კუთკუთებდნენ. ჯეჯილი წყნარად შრიალედა. ველზე თბილოდა. მზე ჯერ ღრუბლებში იყო დამალული, მერე, როგორც მეველემ იცის ხოლმე, მოულოდნელად თავს დაადგა ველს და მობალახე ღრუბლების ჩრდილები მაშინვე გაილაუნენ ჯეჯილიდან.

ცა თანდათან ღრმავდებოდა. ტოროლები მალა იწვედნენ და ეყვნებს ჰკიდებდნენ ცაზე.

შუქომ ორღობისკენ გამახედა.

— შეხედე, სახედარივით არ აბია ურემში ეს ავლარიქა!

„სახედარი რომ გველოდა, რაღა გვიჭირდა, ჩვენ მაინც აღარ შევებმოდით“.

ლალე მარტო იყო, ხოლო თეზოს ურემს სხვაც აწვე-  
ბოდა უკანდან. ასმათი ვიცანი და გაკვირვებისგან პირო  
ლია დამჩრა.

— ბიჭო, ასაც წამოუყვანიათ, ხედავ? ეგლა გვაკლდა,  
შეგვიკლავს ხელში დარიგებებით. — ბუზღუნებდა  
შუქი.

მოგვიახლოვდნენ და ურემები გააჩერეს. ასმათს დუ-  
დას პიჯაკი გაეხადა და ვილატის დაბამბული ქურთუკი  
ეცვა. ქურთუკი ნაფლეთებდა იყო ქცეული და სანახევ-  
როდ გამოყრილი ბამბით თეთრად იყო აჭრელებული.

დავიძარი. წინ მე და შუქო წავედით, უკან ლალე  
მოგვიყვანა. თეზოს ურემი კი ძალიან ჩამოგვრჩა აღმარ-  
თებზე.

— წავალ, მივხედავ, თორემ გაუჭირდებათ... აბა თე-  
ზოს რა შეუძლია. — მითხრა შუქომ და უკან გაბრუნ-  
და, — ასას გამოგიგზავნი.

ნახევარზე მეტი უკვე ათავებული მქონდა ამ გრძელი.  
დაუსრულებელი აღმართისა, მაგრამ ველიანამდე მაინც  
შორს იყო. თავგამეტებით ვეწეოდი და სწრაფად მივა-  
გორებდი ურემს, არ მინდოდა ასმათი მომხმარებოდა.

— ნელა წადი, რა მიგარბენინებს, ელენთა გაგაჩივ-  
დება, — მეძახდა უკან დარჩენილი ლალე.

კანის თავზე დავისვენე და უკან მოვიხედე, ასმათი  
ჭერ არ ჩანდა.

გზა გვაკლდა. ასკილით მოფენილი ველიანი გავიარე  
და ქედის წვერზე გავვიდი. შევჩერდი. სულს ძლივს ვიბ-  
რუნებდი, პირით ვსუნთქავდი — ხარბად ვყლაპავდი  
მთის ცრვ ჰაერს და იქაურობას ვათვალისწინებდი. ჩემს  
წინ აბიბინებული მწვანე კორდი იდო, რომელზეც მწვა-  
ნე კოშკებივით იყო აღმართული თეთრციხის ხუჭუჭა  
კორომები. ქედის ჩრდილო კალთა უკვე მტკვრის ხეო-  
ბას ეკუთვნოდა. ურემი ჩიტავაშლას ბუჩქზე მივაგდე  
და გადასახედისაკენ წავედი.

გადასახედთან კაეისფერი ქვით ნაგები ეკლესია იდ-  
ვა. მის ნახევრად ჩანგრეულ გუმბათს ჭაღარა თმსავით  
ემოსა მალალი, გამხმარი ბალახი.

შიგნით შევედი და ნიშანდობლივ იმ ადგილას მივე-  
დი, სადაც ერთი ფერგახუნებული ძველი ხატი იყო  
აყუდებული... შევკრთი, ვერ გავუძელი წვერმოშვებუ-  
ლი კაცის მზერას და უკან გამოვბრუნდი. კართან რომ  
მოვედი, რაღაცამ მაინც მიმახედა უკან. ხატი აღარ ჩან-  
და იმ ადგილიდან და ცოტა დავმშვიდდი. ახლა გუმბა-  
თისკენ გამექცა თვალი. თითრად გადალოცვილ მრგვალ  
თაღზე ლურჯი ნახატი მოჩანდა. ჩამონაშალ კედელზე  
ავსოციდი და კედლის თავზე ჩამოვჯექი. თაღის ჩამონ-  
გრეულ ნაწილშიც (რა მოჩანდა, დღის შუაში სკემდა ნა-  
ხატს დასავლეთის მხრიდან. ლურჯმოსასხამიანი ლამაზი  
ქალი, ლურჯთმისანი და ლორჯთალღობა ვინ იყო ნეტავ?  
ანგელოზი?... ჩვენს პიონერხელმძღვანელს რომ ჰკითხო,  
ეკლესიის გომბათებზე ნახატ თრესკებში ყოლგან ქართ-  
ველი ქალები იმზირებინაო, ყოველ მათგანს ქართველი  
ქალის სახე აქვსო. ნუთუ ასეთი ლამაზები იყვნენ!..

მელსი გამახსენდა და გამეცინა... საღ გავიხილა გო-  
გოსთვის თავის გადახორტა და ისიც ზამთარში. თუმცა  
რა მისი ბრალოა?... რაც ის წავიდა, ჩემს გვერდით აღა-  
რავინ ჯდება მის ადგილზე. არ მენახა მაინც თავგადა-  
ხორტილი მას შედეგ ალარ მენახებდა. ლამაზი თმა  
ჰქონდა მელსის, კუნაპეტი, მხვიარა თმა. ჩემ მაგიარ ახ-  
ლა ასმათი დაღის წასთან სახლში, ის უხსნის გაკვეთი-  
ლებს. რა ჩემი ბრალოა, თუ გოგონებმა ძალით მოაჩრეს  
ხილაბანდი და დამანახვეს, განა მე კი მინდოდა? .

გუმბათის ნანგრევებიდან დაბლა მტკვრის ხეობა მო-  
ჩანდა, თეთრად მოლაპლაპე მდინარის გასწვრივ შავი  
სწორი ხაზივით იყო გავლებული რკინიგზა. ზვიადად

იდგნენ კავკასიონის მაღალი მთები, ღრუბლებს ზვეთ-  
აზილულ თოვლიან მწვერვალებს ვერსაიდან უღებოდა  
ომის კვამლი. დაბლა, მდინარის პირას, კლდეში ქალაქი  
იყო გამოკვეთილი. ადრეც მთები ყოფილა ჩვენი თავ-  
შესაფარი. მაგრამ ახლა კლდეში შეძრომა ველარავის  
უშველის... ცას გართმევენ. ჩვენი ისტორიის მასწავლე-  
ბელი რომ ჰყვება ხოლმე, თმა ყალყზე მიდგება.

რკინიგზაზე გრძელი, შავი მატლივით მიცოცავდა მა-  
ტარებელი. შორს, დასავლეთით კი ყომრალი ღრუბლები  
მოსძალებოდა ცას. შორიდან ისე ჩანდა, თითქოს ხანძ-  
რის კვამლის სვეტი ქარს გადმოეღუნა, და ჩვენკენ  
მოჰქონდა შავი ჰვარტილი. იქ ომი იყო ახლა, უკანასკნე-  
ლად ქერჩიდან მოგვივიდა მამის წერილი...

ნახატს შევხედე. დედის თვალები ჰქონდა, ცრემლ-  
ჩამდგარი, ნაღვლიანი თვალები, და ისიც ჩემსავით და-  
სავლეთისკენ გასცქეროდა ღრუბლიან ცას...




შემებრალა. გუმბათის ეს მხარე ჩამონგრეული რომ  
არ ყოფილიყო, ომის სუსხს სულაც ვერ იგრძნობდა ან-  
გელოზი, იქნებოდა თავისთვის მყუდრო ეკლესიას შე-  
ფარებული. მაგრამ ვანდა მასწავლებელიც ხომ ქალია?  
რატომ მას არ ეშინია? თავის დღეში მის თვალზე  
ცრემლს ვერ დაინახავს ადამიანი. მისი მეუღლეცა და  
ვაჟიშვილიც ფრონტზე არიან...

— მანდ რას აკეთებ? — ნაფოტა კბილებით გამელ-  
რიჭა ლალე.

— ჰოფოფებს ვაფრენ.— ენა გამოვუყავი.

— ჩამოდი ჩქარა, თოთია წამოგვეწია. ნავალს მოპ-  
ყოლია.

— მერე მე რა უნდა გიშველოთ? — ვკითხე, როცა  
მიწაზე ფეხი დავადგი და მაშინვე ჯიბეზე ვიკარი ხელი,  
გამახსენდა, რომ თუთუნი მე მქონდა.



ჩიტავშლას ბუჩქთან ჯერ თოთიას თეთრი ჯორცხენა დაინახე, მერე კი მისი პატრონის პრიალა თავი. ჩემი ურმის კოფოზე ჩამომჯდარიყო და მოლაფლაფებულ ყვითელ ღრჯოლს იწვალებდა კოჭრიანი თითით. ჩანმახიანი თოფი მუხლებზე ელო.

— აბა ასე შემომხედე. — ეუბნებოდა შუქოს, — შენ იცი ვინა ხარ? ყაჩაღი ხარ, შენ ახლა ტყეში კი არა კაცი მოსაკლავად მიდიხარ... მიდიხარ და ეს მამაძაღლებიც თან მიგყავს ჩემი შვილების დასახოცად... ჩემი ქეთოსი, ჩემი ფირუზასი და ამირანისაი...

— კარგი ერთი, ნუ გიყვარს საქმის გატრიალები, დასახოცად კი არა, ის არ გინდა. — შეუღობინა შუქომ.

— ამ მაქეჩს არ უყურებ, დიდი გულთაც რომ მადგია. მამ რისთვის მიეთრევი, რა დაგრჩენია?

— ჯერ ერთი, ჩვენ მკვლელები არა ვართ, მერე კიდევ, სად გაგონილა დახოცილების მეორედ დახოცვა.

— ვინ არიან, ბიჭო, დახოცილები, ჩემი ბავშვები? — თოთიამ თეთრზე დაიყენა თვალები? — ამას არ უყურებ, ამ ჩასპანდსა, რეებს მიბედავს!

— ბავშვები კი არა ის არ გინდა. ზეზელა ხმელი უნდა მოვჭრაო.

თოთია წამოდგა და ყველა სათითაოდ შეგვათვალევრა. აცაბაცა დაატარებდა თოფის ლულას. აქამდე ხელში რომ ეჭირა, ქული ლაპლაპა თავზე მოირგო და შემოგვიბღვირა, აქაო და გაიგეთ ვინცა ვარო. ქულზე მეტყვეის ნიშანი ეკეთა — „მუხის ფოთოლი“.

— თქვენ იცით რა არის ტყე?... არაფერიც არ იცით. რუსეთს ტყეები რომ არა ჰქონოდა, რა უნდა ექნათ პარტიზანებსა? ახლა კი სხედან შიგა ლამაზათა და, როცა მოეპრიანებათ, მაშინ ურტყამენ გერმანელებსა. აბა მოგესმინათ, რა გვითხრეს რაიონში. მტერსაო ზურგში ჩარჭობილი მახვილივით დარჩაო რუსული ტყე... ვერც ვერასოდეს ამოიცილი ამ მახვილსა, სანამ სულს არ გაწუტებდნო. აბა, მამ რა გეგონათ!

— ეგ ყველაფერი ჩვენც გვესმის, ტვინნაღრძობები კი არა ვართ, მაგრამ საბოლოო ხომ მაინც საჭიროა, ისე როგორც, ვთქვათ, თამბაქო. — შუქომ თვალი მიყო. —

ამოიღებ და გააბოლებ და თითქოს მაძლარიცა ხარ და აღარცა გცივა.

მე ძველ გაზეთში გახვეული თამბაქოს შეკვრა მივწოდე შუქოს, თოთია თვალებად იქცა.

— მაინც რისთვის გინდათ ფიჩხი ამ სიცხეში, მაგრამ ახირ ისა თქვათ, რომა მაცაცერები ხართ. — გვითხრა უკვე დამწვიდებულმა.

— საერთო საქმისთვის გვჭირდება, — შუქომ თამბაქო გაუწოდა, — მერე კიდევ, ხმელი გინდა, ნელს ხომ არ ვჭრით. ტყის გამარგვლა-დასუფთავებაში, საცა კანონი და სამართალი, მაღლობა გვეკუთვნის.

— შენ, როგორც გატყობ, აქეთ დამდე ვალსა. — საბოლოოდ მოლბა თოთია და ჩვენც გულზე მოგვეშვა.

თოთიამ რამდენიმე შრე შეაჭრა თამბაქოს შეკვრას, გაზეთში გაახვია და ჯიბეებში დაიწყო ხელების ფათური. დაგლეჯილი პიჯაკი ჯორცხენას გადაჰკიდა და ტალზე რამდენჯერმე ჩამოჰკრა მჭედელ სანდრას ნახელავი კვესი.

მერე ახრჩოლებული აბედი ეჭირა ხელში, პაპიროსა უკიდებდა და გვეუბნებოდა, ჩქარა წადით, თვალიდან მომცილდით, სანამ გადავიფიქრებო. საკერებლებად ქცეული პერანგი ეცვა. აფრიკის რუკასავით სულ სხვადასხვაფერად იყო აჭრელებული.

— ნელს თითი არ დაადოთ. თორემ, ხომ იცით, აქ უნდა ჩამოიაროთ! — მოგაძახა და ჯორცხენა აუშვა.

კარგა ხანს ხმაამოუღებლად ვიარეთ. ფიჩხის ბოლოებით დაგვიღ გზაზე რაყარაკით მიგორავდა ურმები. გაღვიძებული ბალახის სუნით იყო გაჟღენთილი ტყე. წინ კვლავ მე მივიდიოდი, უფრო სწორად კი — ჩვენ. მე ხელნებშუა ვიდექი, ასმათი კი გარედან ეწეოდა. ქურთუკი გაიძრო და ჭალზე ჩამოჰკიდა. შინ ნაქსოვი, წენვითი შეღებილი უკეტი ეცვა. ქულჩამოფხატული და ბიჭურ შარვალში გამოწყობილი სულ არ ერჩეოდა ჩვენში, მაგრამ ზოგჯერ არა და მაინც ჩანდა მასში გოგო. მხოლოდ ახლა მივხვდი, ქულს რატომ იფხატავდა ასე ძალიან — ქორფლი არ დამაყაროსო, მზეს ერიდებოდა.

— ახლა რომ ვანდა მასწავლებელმა დაგვინახოს... — თქვა ქაქანით, როცა გზის გასაყართან შეგჩერდით, და შემომცინა. ვარდისფრად უღუოდა ლოყები.

ლაღმე ზედ მოგვადლო თავისი ურემი და ჩვენის უკანა ჭალზე ჩამოჰკიდა. მალე შუქო და თეზოც გამოჩნდნენ.

— მარჯვნივ წადი კორდიანი გზით. დიდ მუხასთან რომ მიხვალ, ცოტას კიდევ წადგები და ის წარაფიც გამოჩნდება. — მითხრა შუქომ.

უვალ გზაზე გავედით. ველიანი ჯერ ისევ შარშანდელი ხმელი ბალახით იყო დაფარული. ურემები დიდ პანტასთან გავაჩერეთ, მოვებრუნეთ და თავქვე ვუყავით პირი. მზით გამთბარ კორდზე წამოვგორდით და შევისვენეთ. ასმათმა არც ახლა მოიხადა ქული. ყველაზე უწინ წამოდგა და ხელიკვივით გაძვრა ბუჩქებში. ბიჭებიც წამოიშალნენ. მივხვდი, რომ უკვე დაიწყო ჩემი შეჯიბრი. ახლა საჭირო იყო გამალებული მუშაობა. ფიჩხი უნდა მომეჭრა, ამესხიპა და კონებად შეკრული გზაზე გამომეზიდა.

— რამდენ-რამდენი შეკვრათ? — გავძახე ლალეს.

— რამდენსაც შევძლებო. ხმელი მსუბუქია, მოვერევიო.

წამით ყველაფერი მიწყნარდა, მხოლოდ ჩხიკვი დაფრინავდა ხიდან ხეზე და ჩხავილით იკლებდა იქაურობას, მერე წალღის კაკუნი გაისმა სულ სხვადასხვა მხრიდან.

— შუქო, რამდენი შეჰკარი? — ეძახდა ლალე.

— ოთხი. შენა?

მეც მაგდენიო, ლალემ უპასუხა. ვიღაცა შლიგინით





მიდიოდა გზისკენ, ეტყობოდა, კონას მიათრევდა. ნაკადში ბლომად ეყარა ხმელი ფიჩხი, გამალვებით ესხეპავდი და კონებად ვალაგებდი. წყურვილი მკლავდა, მთლად ამომეხახა ყელი. კონები შევკარი და საზიდი ბილიყის გასწვრივ გავამწყრივე. ძალიან მიწოდდა ხევში ჩავსულიყავ და წყალი დამელია, მაგრამ მეშინოდა: როგორც კი მომშვიდებოდა, მაშინვე კინწი მომწყდებოდა ხოლმე, არაფრის გაკეთება აღარ შემეძლო. დროს ვეშურებოდი.

— რამიზ, ეგ კონები სულ შენია? — თავს წამომადგა ასმათი. ახლოს მოვიდა და ეაკეტის სახელოთი შეიმშრალა ოფლი დაკაწრულ სახეზე.

— შენ რა ჰქენი?  
— ერთიც რომ შევკრა, დაგეწევი. დალაგებული მაქვს და ახლა წნელებს ვეძებ.

ხელში მეჭირა წნელი, ვაძლიე, მაგრამ არ გამოძართვა. თეთრკხილის ხშირ კორომში შეიძვრა.

— დღეს ალაგებრა ახალს ახსნის, — შემომჩვილა, როცა წნელებით ხელში უკან ბრუნდებოდა.

— რა დროს ალაგებრა, ლამის უწყლოდ დავიხრჩო. გამიცინა და გაბრუნდა. თითქოს მისაყვედურა, მე გოგო ვარ და არ ვჩივი, შენ რა ღმერთი გიწყურებო. გული მომივიდა საკუთარ თავზე. ლობიო ვარ, ლობიომეთქი, ვიმეორებდი გულში. კონებს ვებრდღვნი, ოროს ვიკიდებდი და ურმის გვერდით ვალაგებდი. ასმათიც მშველოდა. გამოიტანდა გზაზე კონას და გამომწვევად გასძახოდა ბიჭებს, ვისები სჯობიაო. პირველად ჩვენ დავიწყეთ ურმის დატვირთვა. ჭლებამდე რომ ამოივსო, მე მალლა ავედი, ასმათი კი დაბლიდან მაწოდებდა კონებს. ურემზე დათაკრულ ორწნელიან კონებს რომ შევხიდე: დაბლა ჩამოსულმა სიამაყე ვიგრძენი.

— მაგრები ვართ არა, ასა?  
— რის მაგრები, ბოლოში მოვექეციოთ, მტვრით ამოგვახრჩობს ლალე.

თეზოს შარვალი დახეოდა და სიარულის დროს მთლიანად გარეთ გამოჰქონდა შიშველი მუხლი. გოგო მაინც გვერიოს, დამიკერებდაო, ასმათს უჩხვლიტა.

— თეზო, შევილიყო, ეგ რა მოგსვლია. წნელით გაიჭლარათე, შევილიყო, წნელით. — ვალში არ დარჩა ასმათი.

ბიჭებს სიცილი წასკდათ. ასმათი განზე იდგა და გაკაწრულ თითს იწუწინდა. სულაც არ ეცინებოდა.

— ნომერ მიორე ტანკის ეკიპაჟი მზად გახლავთ საბრძოლო დეველების შესასრულებლად. — დაიძახა ლალემ. მარტოკა იყო, მაგრამ თორმეტი კონა დაეთაკრა დაბალთვლებიან ურემზე, ჩვენზე ოთხით ნაკლები.

— ნომერ მესამე ტანკის ეკიპაჟი რა ხანია ბრძანებას ელოდება. გაიწყრიალა ასმათის ხმა.

— აბა, დაეიდარით. — დაიძახა შუქომ.

დათავქვევდით. ჩვენს წინ, შორიახლო ლალეს ურეში მიიწეოდა. მოძიგიგი ფიჩხის ბოლოებს მივდევდით მე და ასმათი, აქეთ-იქით გვახეტებდა დაზვიინული ურემი, მაგრამ მაინც ვიურვებდით, მორჩილად მოვაგორებდით დახრამულ გზაზე.

ჩვენს წინ მხარბმხარ მირბოდნენ ჩვენი ჩრდილები. — მარტბნივ გაწეწილი და დიდთავა — ეს მე ვიყავი, მარჯვნივ — სხარტი, მაღალკისერა და კეპიანი — ასმათი იყო. ჩრდილშიც ბიჭს ჰგავდა ასმათი. ჩვენს წინ ორი ბიჭი მირბოდა, ხან ეწეოდნენ ლალეს ურემს და ფიჩხის ბოლოებზე მიბზობლავდნენ.

— ძალიან ახლოს ნუ მიეყვებით, — მოხრა ასმათმა. სვლას ვუკელით. ბიჭები მეტიჩარად სთვლიდნენ ასმათს, ზოგი ჭალბიჭასაც ეძახდა, მაგრამ მე ვიცოდი, რომ ის სულ სხვანაირი იყო. გულის დამჩაგრავი ძალიან



ბევრი რამ ჰქონდა, მაშ რა ექნა, რომ არ ეყოჩაღა?..  
ველიანზე გავედით და, ვიდრე დიდი თავდაღმართი დაიწყებოდა, კარგად დავისვენეთ.

— ვითომ მოვასწრებთ პატრა ჭალამდე ჩასვლას? — ლალემ მზეს შეხედა.

— უნდა მოვასწროთ, მეტი გზა არ არის. — თქვა შუქომ და ურემი დასძრა.

— შენ, რაც შეიძლო, ურმის თათი ასწიე მალლა, რომ ფიჩხის ბოლოები მიწას დაეჭინოს, ეგ არის ჩვენი მუხრუჭი. — ვარბებდი ასმათს.

ცოტა კიდევ შევიცადეთ და ასმათმა საგორავები მოაცალა თვლებს. ლალეს ურემი უკვე კარგა მანძილზე გაგვცლოდა. მტვრის კორიანტელში იყო გახვეული.

კანებადმე მშვიდობიანად მივალწვიეთ. თავქვევებს თავისი კანონი ჰქონდათ, ხელნებს შუადგომა, ან ურმის ქვემო მხრიდან დაჭერა არ შეიძლებოდა. ეს ყველაფერი გზადაგზა ავუსხენი ასმათს. მისმენდა. ერთხელაც არ აუბზუებია ცხვირი.

კანების თავზე შეჩერებულ ურემებთან ბიჭები იდგნენ და ბჭობდნენ. ყველანი პირველ ურემთან შევჯგუფდით. ახლა უკვე ლალე იძლეოდა დარიგებას.

— ურემს მე გავუძღვები. გვერდით რამიზი მეყოლება, ეგ ყველაზე მაღალია, თეზომ და ასმათმა ურემი დაიჭირონ. შენ კი, გემოზე რომ დამრგვალვებულხარ, ბოლოებზე დაეკიდე გორივითა. — უთხრა შუქოს.

ვიწრო გზა ციცაბოდ აყუდებული ქანობის თავზე გადადიოდა, დაბლა ქვის სამტვრევი იყო. კანებზე რიხინ-რიხინით მიეჭროდით. ფიჩხის ბოლოებზე შემდგარი ურემი ხან ჰაერში იყო თვლებით გამოკიდებული, ხან კი რახრახით ეშვებოდა კლდიან თავქვეზე. შუქოს შეძახილები გვისმოდა მხოლოდ და ლალეს ხვენემა. როგორც იქნა, სამშვიდობოზე გავედით.

ჩემს ურემს მარტოკა ჩამოვიტანო, აიხირა ლალემ,

მაგრამ ჩვენ არ მოვეშვით, მხოლოდ ასმათი დაეტოვებოდა მალა.

რაკი დაბალთვლიანი ურემი იყო და თანაც ცოტა მსუბუქად ედო, ლალემ იფუქსავატა და სწრაფად დასძრა. ურემი საღ კლდეზე დაქანდა, ახტა, მერე ისევ სწრაფად დაქანდა და მარჯვნივ გადაიხარა. ფიჩხის ბოლოებზე შევდექი.

— აუშვი, თან გადაგიტანს, აუშვი! — მიყვირა შუქომ. მხოლოდ ჰაერში აწეულ ცალ ბორბალს მოვკარი თვალი. ბორბალი ისევ ტრიალებდა. თეზომ და შუქომ ხელი უშვეს. ურემი გადაქანდა, წამით შეყოვნდა კლდის თავზე და ფრიალოზე გადაეშვა.

ველარაფერი ვაწამეთ. — ეგეც შენი ქვემდებარე და შემასმენელი. — თქვა ლალემ. სიცილით ვიგულებოდი.

— მაგ ყურების პატრონისაგან სხვას რას უნდა მოელოდეს ადამიანი. — უთხრა ასმათმა.

ახლად შევემჩინე, რომ ლალეს გადმოჩაჩული, დიდი ყურები ჰქონდა. ახალი გაკრეჭილი რომ იყო, ალბათ იმიტომ ეტყობოდა ასე მკაფიოდ.

ჩვენი ურემი ჩამოვიტანეთ და გადაბრუნებული ურემის სანახავად წავიდით. ურემი საღსალამათი დაგვხვდა ქვის სამტერევეში.

— კარგად იყო დაქანული და იმიტომ არაფერი ემზნია. — დაიტრახა ლალემ.

— გოდორქვეშ დამწყვდეული მამალი ყვილის მაინც არ იშლის. — აკისკისდა ასმათი.

— ასა, პერესტანი! — თეზომ ვანდა მასწავლებელს მიჰბაძა.

ჩვენი კლასი დამიდგა თვალწინ. რა მოასვენებს ცარიელი მერხების შემყურე ვანდა მასწავლებელს! ყველას ოჯახებს დაივლის და დამტკრეული ქართული გამოჰკითხავს, სად გადაიკარგნენო ბავშვები. ისეა გაშინაურებული, თითქოს თავისი დღენი ამ სოფელში გაუტარებიაო...

— რა გულხელი დაგიკრეფია, ვერა ხედავ, ღამდება? — ილაყვი წამკრა თეზომ.

ციცაბო აღმართზე რის წვლებით აგვქონდა თითო კონა, მერე ყველა ერთად ჩავბრუნდით ურემის ამოსატანად. ფუნის ჭიებივით ვიყავით ახორხლილები და რის ვაი-ვაგლახით აღმა მივავლოვდით ცარიელ ურემს.

სული რომ მოვიქვით, წყაროსკენ წავედით. წყალი რომ დავლოე, ახლა შიმშილმა შემაწუხა. ვიცოდი სხვებსაც შიოდან, მაგრამ საქმელზე კრინტი არავის დაუძრავს. ურემში კი შევები, მაგრამ ძლივს მივათრევი ფეხებს. ამასობაში მზეც ჩაიწვერა. გზა დამრეც ფერდობზე ეშვებოდა და გატკეცილ გზაზე თავისით მიგორავდა ურემი.

— ვანდა მასწავლებელმა დაგვინახოს მაინც, რა დღეში ვართ. — ასმათს, რაკი მზე ჩაიღდა, ქუდი აღარ ეხურა, წენგოსფერი ქაკეტი დაეკაპიწებინა და გაკოპწიავებულყოფო. საგულდაგულოდ ჩაწნული თეთრი თმა რიკებივით ჰქონდა გაშეერილი. მოკლე თმის ბოლოები ფერადი ნაჭრებით შეეკრა.

ვანდა მასწავლებელი პირველად დირექტორმა შემოიყვანა ჩვენს კლასში. ჩვენს სოფელში ყველაზე კარგად მან იცოდა რუსული. რეკულებშიც კი ჩავგაწერინა, როგორ უნდა მიგვემართა მასწავლებლისათვის: „ვანდა ელიშოვნა, მოჟნა ს ვამი“... „ნი ს ვამი, ა კვამ“, — შეუსწორა იქვე ვანდა მასწავლებელმა

ბინდლებოდა.

ნამჯის დიდ ძნებთან შევისვენეთ. — ძალიან დაგვაგვიანდა, გზის გაგრობებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. — თქვა შუქომ.

— ნომერ მეორე ტანკის ეკიპაჟი გზიდან იქვე დადევნებოდა ვეგს. — გაიჭვიმა ლალე. — წინ, გამარჯვებისაკენ!

— ნომერ მეორე ტანკის ეკიპაჟმა ერთხელ უკვე ლარულად მიატოვა მანქანა. საკუთარ ტყავზე უფრო მეტი იზრუნა, რომ ხრამში არ გადაჰყოლოდა. — გაეჭყანა ასმათი ლალეს.

— როგორ მოვიქცეთ? — იკითხა თეზომ. — სოფელში რა გვინდა, აქ დავიძინოთ, — თქვა ლალემ. — თუ გინდათ, წადით, მე კი ერთ მჭადის ნატებს ერთი პირი ძილი მიჩვენია.

ასმათმა ქუროთუკი ჩამოიღო ურმიდან და ლალეს დააბერტყა მხარზე. ლალე უარობდა, არ შემეციათ, მაგრამ მაინც წამოისხა.

— ჯიბეში პურის ნატები და ხახვია! — გასძახა ასმათმა, როცა ურემებს გამოვცდით, — შენაყრდები მაინც!

• • •

— ასა, არ გეცმის, გოგო? — რამიზის ხმა იყო. მაშინვე თვალები ვჭყიტე და ფაციფუცით დავიწყე ჩაცმა.

— ვიფიქრე, არ ეწყინოს-მეთქი... „რა უნდა მწყენოდა? ალბათ ჩემს წაყვანას აღარ აპირებდნენ და რამიზმა არ ჰქნა, მაინც შემატყობინა.“

დელას ჭრაქი ერთო აივანზე და ხელსაფქვავს ატრიალებდა. რომ დამინახა, წამოდგა, კალთა დაიბერტყა და ჩემკენ წამოვიდა.

— მოვიკვდეს დედა, როგორ გამოიღწავე შეილო.



თვალები ძტვივა, რომ გიყურებ. — მეუბნებოდა და თან საკინძს მიბნევადა.

რამიზი უკვე გაბრუნდა. დელას ილღიაში გაფუძვირი და გავეკიდე. ბიჭები გზაზე იცდიდნენ.

— ნესანთლე ანანა ჩვენსას მისულა გუშინ, — ჰყვებოდა რამიზი, — გული გაუხეთქია დელაჩემისთვის. შენმა ბიჭმა თუთუნის რომ წამოიღო, ახლავე ჩამოყაჭე ორი კვერცხით. დელას კვერცხები კი მიუტია, მაგრამ წუხელ ბეწვზე გადავურჩი, ღამის მცემა. ჰვონია, რომ პაპიროსს ვეწვივი.

— რისა გეშინია, აქ არა ვართ? — ვუთხარი რამიზს. — შენ ის იკითხე, დღესაც რომ ვაცდენთ. დელას თუ გადაურჩი, ვანდა მასწავლებელს ველარ გადაურჩები.

ხევაზე რომ გადავდიოდით, წყაროსთან მივედი პირის დასაბახად. ისევე ბინდი იდგა. მუტგაწვდილი დავიხარე წყაროსთან — ველარ ვიცანი ჩემი ანარეკლი. ყებ-ჩაცვენილი მოხუცი ქალი მომეჩვენა. პირის ბანა მივატოვე და ბიჭებს გავეკიდე. მხარიმხარ მიდიოდნენ. ყველაზე მაღალი რამიზი ჩანდა.

საკირებთან ლალე შემოგვეგება. ურემები რიგრიგობით გამოეტანა შარაგზაზე და პირის დაბახაც მოესწრო. გუშინდელივით გავნაწილდით.

ნაყარ გზაზე თანაბრად მიგორავდნენ ბორბლები და თან წვრილ კენჭებს აქნაწუნებდნენ. მე და რამიზი ფეხაწყობით მივარბოდით. პატრა ჭალამდე ისე ჩავედით, რომ ერთხელაც არ დაგვისვენია. რამიზი მიფრთხილდე-

ბოდა, სულ უნდოდა, რომ მარტოს ეტარებინა ურემი. ეს რა ხანია მის ლაპარაკზე ყოველთვის მეცივდება. გაოგნებული დამიწყებს ხოლმე ცქერას. ვერ მიმხვდარა, რა მეცივება. მამლაცინწასავით რომ იცის კისრის წაგრძელება და ხმის დაბოხება, იმაზე ამიტყდება ხოლმე სიცილი...

სოფელში შევედით, შუქომ სამხერხაოსთან გააჩერა ურემი და მორზე ჩამოჯდა.

— დაისვენეთ, უკვე ბაზარში ვართ. — გვითხრა გამოცდილი კაცის კილოთი.

ყველას გვეუხერხებოდა იქ დგომა, მაგრამ მაინც ვიდექით, გვეშინოდა ჩვენს სოფელს არავის დავეხახეთ.

უკვე მოდღევებული იყო. თბილოდა. მორზე დამწყობებულები ვისხედით და ათას რამეზე ვლაპარაკობდით. მუშტარი კი არა და არ ჩანდა. ბოლოს ერთი რკინიგზელი მოგვიახლოვდა. მუცლიანი კაცი იყო, გაუპარსავი.

— მთლიანად რა შოგცეთ ამ ფიჩხში? — ჰკითხა ბიჭებს.

— როგორც ფასობს. კონაში სამი თუმანი. — უბახუხა შუქომ.

— რას გუუბნები, შენ ვერ გამიგე, — კაცმა მეჭეჭი მოიფხანა დაუღაჟა ლოყაზე. — ნარდად რომ ავიღო-მეთქი, სულ რა ეღირება.

— რაც გითხარით, ეგ არი, ძია კაცო, როგორც გინდა ისე აიღე.

კაცმა ხვწეშით აუარ-ჩაუარა ურემებს და შუქოს მიუბრუნდა:

— პატრა ბიჭო, ასე მომხედე. კონა ოცი მანეთი და მალარიჩი ჩემზე იყოს. პურუჭმელებს ხომ არ ვაგისტუმრებთ.

შუქომ თავი გაიქნია.

— არა და, ერთი კვირაც რომ გეყენოთ, ზედ არავინ შემოგხედავთ. — გვითხრა და წაფრატუნდა.

რამიზმა წიგნი ამოაძვრინა უბიდან და ზურგი შეაქცია მხეს. გვერდით მივუჯექი და ორივემ ერთად დავიწყეთ კითხვა.

ბიჭები ველარ ჩირღებოდნენ ერთ ადგილზე, ძალიან აღიზიანებდათ ხალხის ასეთი უყურადღებობა.

— ბიჭებო, წამო, მეორე სოფელში გავიტანოთ. საცა აქამდე ჩამოვსულვართ, ორი კილომეტრიც იქ იყოს — ამბობდა ლალი.

დავიძარით. ჯერ შუა სოფელს არ გავცდენოდით, რომ ერთმა ბებერმა კაცმა გავვაჩერა. თეთრთმინანი კაცი იყო და ძალიან კეთილი სახე ჰქონდა.

— საით გავიწვივათ, ვაუკაცებო? — გვკითხა და ხელი მოიხრდილა შუბლზე. — სასირეთში ვერ გახვალთ, ჭეჭილები დარწყეს და სულ დატბორებულია მთელი გზა. ამ სოფელზე ტყუილად აგიჩხრეკიათ გული. წამოდით, ჩემ სახლთან გააჩერეთ, ნახავთ თუ არ გაიყიდება.

შევატყვე, ბიჭებს ერთობობდათ სოფელ-სოფელ ურემების ტარება, დარცხვენილები იდგნენ. მეცოდებოდნენ, მაგრამ რა მექნა?.. მეც ხომ მათთან ვიყავი. თუმცა მე რა მიჭირდა, მე ხომ სხვა ვეგონე ყველას... ბიჭი ვეგონე.

მოხუცი წყაროსთან ახლოს ცხოვრობდა. ურემი თუთის ჩრდილში გვეყენა და მუშტარს ველოდით. გვიანგვიან, მაგრამ მაინც მოდოდა მუშტარი. მოხუცი გვიხუგებდა, გაიყიდება, მაგათ ფული არ დაეღვეათ, დელაბუდიანად რკინიგზაში ყრიანო. სულ ტალონებით ლებულობენ ყველაფერსაო.

ბიჭებს შიოდათ. არ ამბობდნენ, მაგრამ ვატყობდი, ძლივს იდგნენ ფეხზე. ყველას ისე გვეგონა, ახლავე

ამოებრუნდებითო სოფელში, მაგრამ აი რა გამოვიდა... წასვლის თავიც აღარ გვექნება, არამცთუ ურემების ტარებისა.

— ბაღჩოს რომ არ დაეთარსეთ დილასა, ასე არ მოგივიდოდათ. ისეთი არდასაცალებელი ხალხია მღებრიანი, ეგრე უშვრებიან ყველასა. პირს შეჭკრავენ ხოლმე და მუქთად ართმევენ თქვენნიარ კარგ ბიჭებს თავიანთ ნაჯაფსა. ნუ გეშინიათ, საღამომდე მაინც გაიყიდება.

— საღამომდე აქ რა გავგაჩერებს. — ამოვიგინა რამიზმა.

— მერე კიდე, ვაითუ არც გაიყიდოს. — დასძინა თეზომ.

ბერიკაცმა უყურა, უყურა ბიჭებს და ბოლოს თქვა:

— მოდი, ასე მოვიქცეთ: რაც დაგრჩათ, ჩემთან დატოვეთ. ორი-სამი დღის შემდეგ ერთ-ერთმა ჩამოირბინეთ და ფული მზად იქნება.

— რას იტყვი? — შუქომ ბიჭებს შეხედა.

სანამ ბიჭები ურემებს სკლიდნენ, ბერიკაცი სახლში შებრუნდა, გაქონილ ქალაქში გახვეული რაღაც ეჭირა ხელთ, მომიახლოვდა და კალთაში ჩამიღო.

— პურზე ბოდიშს ვიხდი, შვილო, ამის მეტი ვერაფერი მოგჩხრიკე ცარიელ სახლში. ტიჭყინა თევზია, თითო ცალიც რომ შეჭამოთ, წყალს დაგაღვინებთ და ეგეც შევიშველი.

ბიჭებმა უკვე გზაზე გამოავორეს ცარიელი ურემები.

— ფულის წასაღებად რომ ჩამოხვალთ, თუ ვერ მომაგნოთ, მიტრა პაპა იკითხევით. — გვეუბნებოდა მოხუცი.

რამიზმა ახლოს არ გამაკარა ურემს. ხევთან რომ მივედით, ზედ დამსვა და სულ დრივინით ჩამატარა ის დაღმართი, დილას რომ იმდენი გვაქაქანა.

როცა გავივაცეთ, მაინც გვერდით დავუდექი და გაწევამი შევეშველე.

— ვინ იცის, სხედან ახლა სტანგელა და ზაქრო გაკვეთილზე და ბუზებსა ყლაპავენ, ჩვენ კი სადა ვართ, არა? — შემომცინა რამიზმა.

ოდნავ ბრუნდე ნაფოტა კბილები ჰქონდა რამიზს, მაგრამ მაინც უხდებოდა სიცილი. გულოია ბიჭი იყო და ალბათ იმიტომ... გოგონებისკენ გაძექვა ფიქრი. თათია და აზა რაღას გააკეთებენ? ან ლალი და ზეინაბი? მგონი სულ შტერებივით მისჩერებიან დაფას. მეღსი ჯერ კიდევ არ აპირებდა სკოლაში მისვლას, ნუთუ მივიდოდა?

არხთან დავისვენეთ და ბიჭებმა ურემის თვლებს მისახეს წყალი, არ დაიქაროსო.

— რა გაქვს მაგ ქალაქში? — მკითხა თეზომ.

— ტიჭყინა თევზია, იმ კაცმა გამომატანა, პურზე კი ბოდიში მოიხადა. შეჭამეთ თითო ცალი. წყალს დაგაღვინებთ. — ქალაქი გავშალე და ჩამოვატარე.

— თითო ლუკმა პური მაინც რომ ვჭკონდეს... — დაიჩვილა შუქომ.

უცბად რამიზი წამოხტა და გაიქცა, ხევში ჩაირბინა და ფლატეს მიეფარა.

გაკვირვებაც ვერ მოვასწართ, რომ უკან მობრუნდა.

— რა დაგეშართა? — ჰკითხა თეზომ.

რამიზს ცრემლი ადგა თვალებზე და მაინც იღიმებოდა. რომ ჩავაცვიდით, მერე თქვა, დავლექე კი, მაგრამ ველარ გადავყლაპეო.

ბიჭებმა წყალი დააყოლეს და ახლა გატრუნულები იყვნენ. რამიზი პირქვე იწვა. ვინ იცის, ეგებ ისიც იმაზე ფიქრობდა, რაზეც მე ზოგისთვის ომია, ზოგისთვის კი...



ნარჩინა  
გველადე

პირველი პიონერები! ვინ იყვნენ ისინი? როგორ დაიწყო მათი პიონერული ცხოვრება? უნებლიედ გვებადება ეს კითხვები, როცა პიონერ-ორგანიზაციის 50-ე წლისთავის საიუბილეო ზეიმისათვის ვემზადებით.

ერთ-ერთი ასეთი პირველი პიონერთაგანი გახლავთ ზესტაფონის მუშა ახალგაზრდობის № 2 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე არჩილ შეყრილაძე. მე მას ვესაუბრე. პატივცემულმა

იმშრალედა და გზას გახედავდა, საიდანაც დედა უნდა გამოჩენილიყო.

დედა არ იგვიანებდა. თიხის კვაწით ამოლესილ ლობიოს, დარჩეულ მწვანე ჭლაკებს და ცხელ მჭადს მოიტანდა, ცაცხვის ძირში სუფრას გაშლიდა და ქმარ-შვილს სადილზე მიიწვევდა.

სიმინდის მოტეხვამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო, ძველი სიმინდი კი ორი-ოდე ბათმანია დარჩენილიყო ოჯახში.

შიშშილი აჩრდილივით ადგა ოჯახს. უკეთეს დღეში არც მეზობლები იყვნენ და ასე იყო მანამ, სანამ ოქტომბრის რევოლუციის სხივმა ჩხარის რაიონის სოფელ ვარდიგორაშიც არ შეანათა...

არჩილ შეყრილაძე მეხუთე კლასის მოსწავლე იყო, პიონერთა რიგებში რომ მიდიღს;

1924 წელი იდგა.

იუზის შედიწლიან სკოლაში სტუმარი მოვიდა, რომელსაც ქამარზე მაუზერი იკიდა. ბავშვებმა ეზოში შემოსვლის-

იმ დღეს თუზის სკოლაში პიონერული ორგანიზაცია შეიქმნა. მდღევანდამ არჩილი და მისი ამხანაგები აკაკი წიწილაშვილი, კოწია თურქაძე და დიმიტრი სულიაშვილი მეზობელ სოფელში წაიყვანა პიონერული ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში დასახმარებლად.

მართლაც, ბიჭუნებმა კარგი დახმარება გაუწიეს კომკავშირული უჯრედის მდივანს. სულ ზეპირად იცოდნენ ვინ კულაკის შვილი იყო და ვინ ღარიბი გლეხისა, კოლექტივს ვინ ეხმარებოდა და ვინ იცქირებოდა განზე. ახლომხლო მდებარე სოფლების თავასის, მუჯირეთისა და თუზის პიონერული ორგანიზაციებიდან შეიქმნა პიონერთა სათემი ბიურო, მის თავმჯდომარედ არჩილ შეყრილაძე დანიშნეს.

ბევრი აქვს მოსაგონებელი არჩილს იწლებზე: კომკავშირელებთან ერთად რომეცადინებოდნენ პოლიტწრეებში; შრომისუნარმოკლებულებსა და წითელ არ



# ■ წინდა სათავე ■

არჩილმა სიხარულით მოიგონა პიონერული საქმიანობის პირველი დღეები, რადგან სწორედ იმ დროიდან მოიტოვა მან უკან თავისი გაჭირვებული ბავშვობა. აბა, მამ დალხენილი ბავშვობა იქნებოდა 1911 წელს ნიათგამოცლილ, იმერელი გლეხის ოჯახში დაბადებულ პატარას?

ექვსი წლისას მამამ მომცრო თოხი მისცა ხელში და ყანაში გვერდით ამოიყენა. თოხის პირი არც აულესა. შიმველ ფეხზე არ შემოიკრასო.

თოხნიდნენ, ვიდრე მზე შუბისტარზე დადგებოდა, მერე კი მამა შუბლს შე-

თანაგე შენიშნეს უცხო კაცი და გარს შემოიხვივნენ.

სტუმარი, ჩხარის კომკავშირის რაიონული კომიტეტის მდივანი ანტუშა ოვანოვი, ბავშვებს გაესაუბრა, დაწვრილებით გამოჰკითხა მშობლების ვინაობა, გაიგო ვინ როგორ სწავლობდა, ვის რისი გაკეთება შეეძლო, შემდეგ უბის წიგნაკში გვარები ჩაიწერა და დირექტორის კაბინეტში შევიდა.

ბავშვებს ძალიან მოეწონათ სტუმარი.

ცოტა ხნის შემდეგ არჩილი და რამდენიმე მისი ამხანაგი დირექტორის კაბინეტში შეიყვანეს.

მეღლთა ოჯახებს რომ ეხმარებოდნენ მის წის დამუშავებაში, სოფელს კი — საზოგადოებრივ მუშაობაში...

1924 წელს საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის VI ყრილობამ მიიღო დადგენილება ბავშვთა კომუნისტური ჯგუფებისათვის ახალი სახელწოდება — „ლენინის სახელობის ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაცია“ მიეკუთვნებინა. მაშინ ს. ორჯონიკიძემ მოუწოდა პიონერებს გვერდამოსდგომოდნენ უფროს ძმებსა და მამებს კაპიტალიზმის წინააღმდეგ გაჩაღებულ დიდ ბრძოლაში.



პიონერებმა ახალი სახელწოდების მიღების პასუხად ფიცი დადეს, რომ მუშაობა იბრძოლებდნენ მუშათა კლასის საქმისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა განთავისუფლების საქმისათვის და მტკიცედ, ურყევად შეასრულებდნენ ილიჩის ანდერძს.

ეს ბეღადის გარდაცვალების წელი იყო და ამ ფიცსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

ფიცი ყველა პიონერულ ორგანიზაციაში გაიციეს.

ჩხარელმა პიონერებმაც გადაწყვიტეს ფიცი საქმედ ექციათ — ყოველ წუთს მზად ყოფილიყვნენ საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად.

ამისათვის კი საჭირო იყო წრთობა, სწავლა, ვარჯიში. ზაფხულში კომკავშირის სამაზრო კომიტეტმა მოაწყო ვამხმედროებული ლაშქრობა, რომელშიც კომკავშირელებთან ერთად უფროსი ასაკის პიონერებიც იღებდნენ მონაწილეობას.

არჩილი, როგორც პიონერთა თემბიურის თავმჯდომარე, ამხანაგებმა მეთაურად დანიშნეს. პიონერები გულდასმით ემზადებოდნენ ამ ლაშქრობისათვის. ხუმრობა როდი იყო 300 ნამდვილი შაშხანის შოვნა, 4-5 სოფლის სტრატეგიული თვალსაზრისით შესწავლა, 3 დღე-ღამე ლაშქრად ყოფნა და ხელჩართულ ბრძოლაში „მოწინააღმდეგის“ დამარცხება.

არჩილის ლაშქარს, რომელშიც სოფლების — თუზის, სკანდეს და რუფოთის 300 მოლაშქრე შედიოდა, დასახლება ჩხარის „აღება“ და „ოქონას“ სიმალღეზე გამაგრება ჰქონდა დავალებული.

მოლაშქრე პიონერების სასიხარულოდ, კენჭისყრამ მათ „წითლობა“ არგუნა.

დანიშნულ დროს ეს სამასი ახალგაზრდა დაიძრა დავალების შესასრულებლად. ისე მოხერხებულად შენიღბულები გადადიოდნენ ხოხვით მთის ბილიკებსა და ღრანტეებზე, ტყესა და ღრეში, რომ მათი შემჩნევა ადვილი არ იყო. და აი, დადგა გადამწყვეტი ბოლო დღე.

ეს იყო ნამდვილი ბრძოლის ველი იმ განსხვავებით, რომ ვაზნების მაგიერ ცრუ ვაზნებს ისროდნენ. ირგვლივ გამაყრუებელი გრუხუნი იდგა.

„სიმალღე“ არ ნებდებოდა წითლებს. არჩილმა პატარა საბრძოლო თათბირი მოაწყო.

გადაწყდა მთელი ძალების თავმოყრით დაუყოვნებლივ აედოთ „ოქონას“ და სარდლობისათვის დავალების შესრულება საღამოს 9 საათისათვის მოეხსენებინათ.

„წითლები“ ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდნენ.

უცებ არჩილის თვალწინ ვიღაც უღვაშიანი ახმახი კაცი აღიმართა. თურ-

მე ჩხარელებს ეშმაკობა ესმარათ და „ლაშქარი“ უღვაშიანი მეომრებით მოემრავლებინათ.

ულვაშა არჩილის თოფს სწვდა, თან თვალები დაუბრიალა და დაიღრიალა: — დაყარეთ იარაღი!

არჩილი, აბა, იარაღს როგორ დათმობდა, მით უმეტეს, რომ, შაშხანა ძველ ბოლშევიკ იაგორა წიწილაშვილს ეკუთვნოდა და რალა პირით უნდა წარმდგარიყო კომუნისტის წინაშე იარაღაყრილი „წითელი მოიერიშე“?

ულვაშა ისევ დაეძგერა თოფს. ბიჭმა არ დაანება და ორივენი ხრამში ჩაგორდნენ. ამ ჭიდილში არჩილმა სასხლეტს თითი გამოჰკრა. იქუხა თოფმა და შიშით გულგახეტქილი ულვაშა მიწაზე გაიხშლართა.

ბიჭმა ისარგებლა ამ შემთხვევით. „მოწინააღმდეგის“ იარაღს ცეცა, საკეტი აცალა და მოკურცხლა.

„მტერი“ დაედევნა, მაგრამ სირბილში რას აჯობებდა მწვეარივით მარბენალ პიონერს.

მალღობი საღამოზე „წითლებმა“ აიღეს. გაისმა „ომის“ დამთავრების მარწყებელი ბუკის ხმა.

გასციეს განკარგულება, რომ „მოწინააღმდეგე მოლაშქრენი“ ჩხარში შეკრებილიყვნენ.

მიტინგზე კომკავშირის რაიკომის მდივანმა შეაჯამა ლაშქრობის შედეგი და „წითლებს“ დამსახურებული გამარჯვება მიულოცა. მიტინგის ბოლოს კი განაცხადა:

„ამხანაგებო, წითელი ლაშქრის ერთ-ერთმა მებრძოლმა „მოწინააღმდეგე“ ლაშქრის ერთ მებრძოლს ხელჩართული

ბრძოლის დროს თოფის საკეტი წაართვა. ვთხოვ, წითელ მებრძოლს „საკეტი“ პატრონს დაუბრუნოს“.

ტანმოორჩილი არჩილი სცენაზე ავიდა, მეთრე მხრიდან იმოდენა ახმახი ულვაშიანი კაცი გამოვიდა, რომ დარბაზში სიცილმა იფეთქა.

მაგ თითისტოლა ბავშვმა როგორ გაგაიარადა ამხელა კაცით, — სიცილი დააყარეს დამარცხებულს.

არჩილი კი დამსწრეთა ტაშის გრიალში ამაყად ჩავიდა სცენიდან.

არჩილი შეყრილაძე გაიზარდა, დავაქაცდა, კომკავშირელი გახდა, შემდეგ კი — პარტიის წევრი. ჯერ ჭიათურის მადაროებში მუშაობდა, შემდეგ — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ტერიტორიაზე ლიანდაგის დამგებად.

კოლმეურნეობების ჩამოყალიბებაშიც მიიღო მონაწილეობა. არჩილმა ყველგან თავი გამოიჩინა, ამიტომ ის ზესტაფონის ყველაზე დიდ სკოლაში პიონერთა ბაზის თავმჯდომარედ დანიშნეს.

პიონერთა რიგებში აღზრდილი ახალგაზრდისათვის რა იქნებოდა უფრო სასურველი, ვიდრე პიონერებთან მუშაობა. მერეც, სადაც არ უნდა ემუშავა, სწორედ ეს სიყვარული დაედო საფუძვლად მის პროფესიას — პედაგოგობას. კომკავშირის ზესტაფონის რაიკომში პიონერული მოძრაობის ვეტერანებს შორის დიდი პატივისცემით მოიხსენიებენ ხოლმე არჩილ შეყრილაძეს. ამ უანგარო კომუნისტის რწმენა ხომ იმ წმინდა, პიონერული ბავშვობის დროიდან იღებს სათავეს.

# პიონერული ცხოვრების მათიანი



1919 წლის 25 მაისს, წითელ მოედანზე, ახალგაზრდობის წინაშე გამოვიდა ვ. ი. ლენინი. მოედანზე იყვნენ მოსკოველი ბავშვები, რომელნიც თავიანთ თავს „ახალგაზრდა კომუნისტების რაზმს“ უწოდებდნენ. ილიჩმა მათ სიტყვით მიმართა. იგი ამბობდა: ყმაწვილებო, მოზარდი პროლეტარები უნდა დაეხმარონ რევოლუციას: ბავშვების ორგანიზაცია კომუნისტების აღზრდის საუკეთესო საშუალებააო.

1922 წლის თებერვალს კომკავშირი. პარტიის დავალებით. შეუდგა ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის შექმნას. მოსკოვში, კრასნაია პრესნიას რაიონში, კომკავშირელებმა ჩაატარეს საბჭოთა რუსეთში პირველი პიონერული რაზმის შეკრება. რაზმში 52 პიონერი მიიღეს.

1922 წლის აპრივალ მაისს, წითელ მოედანზე, საპირველმაისო პარადზე პირველად გაიარეს პიონერთა რაზმებმა.

1922 წელს პიონერული ორგანიზაცია საქართველოშიც ჩამოყალიბდა.

# მთებისა და კედლების



# დაღესტან

დაღესტანის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა კასპიის ზღვასა და აღმოსავლეთ კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებს შორის მდებარეობს. მისი ტერიტორია ორმოცდაათი მილიონ სამასი ათასი კვადრატული მეტრია, ხოლო მოსახლეობა მილიონნახევარს აღემატება. იგი მრავალეროვანი მოსახლეობით გამოირჩევა. რესპუბლიკაში 28 ენაზე ლაპარაკობენ.

როგორი იყო რევოლუციამდე დაღესტანი? აუღების, მიუვალი ციხე-სიმაგრეების ქვეყანას იმამები, მოღები და შეიხები განაგებდნენ. იგი ერთ-ერთ უველაზე ჩამორჩენილ კუთხედ ითვლებოდა. იქ გამეფებული იყო ძარცვა-გლეჯა, მეზობელი სოფლებისა და აუღების რბევა-დაწიოკება, სხვისი ნაჯაფ-ნამაგარის მითვისება და გაჩანაგება. სილატაკესა და შიმშილში იზრდებოდნენ მთიელთა ბავშვები, რომელთაც სწავლა-განათლებაზე ფიქრიც კი არ შეეძლოთ.

არცთუ მცირე ტერიტორიის ქვეყანაში რევოლუციამდე სოფლის მცხოვრებთათვის სამოცამდე სკოლა იყო, სადაც 2212 მოსწავლე—მთელი ახალგაზრდობის სამიოდე პროცენტილა სწავლობდა. ამ დაბალი ტიპის სკოლებშიც სწავლა-განათლების საქმე მუსლიმან სასულიერო პირთა გამგებლობაში იყო.

ცარიზმისა და ადგილობრივ ფეოდალთა ანტიხალხური პოლიტიკა აფერხებდა და აბრკოლებდა მთიელ-

თა კულტურულ განვითარებას, ყოველნაირად უშლიდა ხელს მათს გონებრივ გათვითცნობიერებასა და განათლებას. ამიტომაც იყო, რომ დაღესტანის თითქმის მთელი მოსახლეობა უწიგნური რჩებოდა.

ცარიზმის მოხელეები და ადგილობრივი გამყიდველი ფეოდალები შუღლსა და მტრობას აღვივებდნენ მეზობელ, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე აუღებსა და სოფლებს შორის. ამიტომ, რუსეთთან დაღესტანის შეერთების შემდეგაც არ შემწყდარა აუღებისა და ციხე-სიმაგრეთა ქვეყანაში სისხლისღვრა, ძმათამკვლელი რმი.

მხოლოდ საბჭოთა წყობილების შემდეგ დამყარდა დაღესტანელი ხალხისათვის მშვიდობა; განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სწავლა-განათლებას; არაბული დამწერლობა ჰერ ლათინურბ ანბანით შეიცვალა, შემდეგ კი — რუსულით. ამჟამად დამწერლობა შვიდ ძირითად ენაზე წარმოებს. ეს ენებია: ავარული, ლეკური, ლეზგური, ყუმიყური, დარგინული, ტაბასარანული, ნოღაური. ამ შვიდ ენაზე გამოდის უურნალ-გაზეთები, რადიოგადაცემებსაც ამდენსავე ენაზე ისმენენ.

საბჭოთა წყობილების პირველსავე წლებში დაწესდა საყოველთაო შედწლიანი განათლება. 1950 წლისათვის დაღესტანში 1229 საშუალო სკოლა იყო, სადაც 170 ათასი მოსწავლე სწავლობდა და რვა ათასი მასწავლებელი ასწავლიდა, რომელთაც უმაღლესი განათლება ადგი-

ლობრივ სასწავლებლებში — პედაგოგიურ, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო ინსტიტუტებში, 16 სხვადასხვა პროფილის ტექნიკუმსა და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მახაჩყალის ფილიალში ჰქონდათ მიღებული.

ჩამორჩენილი მდგომარეობა იყო რევოლუციამდელ დაღესტანში სამედიცინო მომსახურების მხრივაც. 1918 წლამდე მთელს მოსახლეობას მომსახურებას უწევდა 6 საქალაქო და 18 სასოფლო პრიმიტიულად აღჭურვილი სამკურნალო დაწესებულება, სადაც 290 საწოლი იდგა.

შვიდი აფთიაქი ოღნავადაც ვერ აკმაყოფილებდა დაბეჩავებული და ავადმყოფობადარეული მოსახლეობის მოთხოვნილებებს. ძირითადად დაღესტანში გავრცელებული იყო ყვავილი, დიზენტერია, ტიფი, მალარია...

საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე დიდი ყურადღება დაეთმო ჯანმრთელობის დაცვას. 1940 წელს სახალხო ჯანმრთელობის განვითარებისათვის უკვე 29.882 ათასი მანეთი იყო გამოყოფილი, ნაცვლად, 1927 წლის — 1951 ათასისა. ამ დროისათვის სამედიცინო ხაზით მუშაობდა 430 ექიმი და 1690 საშუალო მედპერსონალი. 1945 წელს კი რესპუბლიკაში 21 მაღარის პუნქტი იყო და ქალთა და კაცთა საკონსულტაციო დაწესებულებების რიცხვი 27 ერთეულს შეადგენდა, მუდმივმოქმედი საბავშვო ბაღების რიცხვი — 83-ს. ბაღებში 4015 ბავშვი იზრდებოდა.



ამ პერიოდში დიდი ყურადღება ექცეოდა კურორტების მშენებლობას.

დიდი, შეიძლება ითქვას, უზარმაზარი ძვრები მოხდა სოფლის მეურნეობასა თუ სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. თუ რევოლუციამდე დიდესი მხოლოდ მეცხოველეობის ქვეყნად ითვლებოდა, საბჭოთა წლებში განვითარდა აგრეთვე მეხილეობა, მებაღეობა და სხვა დარგები.

დაღესტნის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკას დიდი წარმატებები აქვს მოპოვებული მრეწველობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც. რესპუბლიკის რვა ქალაქში აშენებულია მინის, თევზის გადამამუშავებელი, ღვინისა და სხვა დანაწარმების ქარხნები.

საქვეყნოდ არის განთქმული დაღესტნური ხელოვნება, კერძოდ, კი ყუბაჩელთა ოქრომჭედლობა. დაღეს აულ ყუბაჩში არსებობს ოქრო-ვერცხლეულის ნაწარმის კომბინატი, რომელიც სამრეწველო პროდუქციის მოცულობის მხედვით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა ანალოგიურ საწარმოთა შორის.

დაღესტნის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის სხვა ხალხებთან ერთად, ჩაბმულია კომუნისმის მშენებლობის საერთო ფერხულში და მეცნიერებისა და ტექნიკის, ხელოვნებისა თუ კულტურის განვითარებაში თავისი საპატიო წვლილი შეაქვს.

ერთ-ერთი ჩვეულებრივი დაღესტნური აულია სოფელი ყუბაჩი. კავკასიონის გორაკებზე შეფენილი „ციხე-სიმაგრე“ 1600 მეტრის სიმალიდან გადასცქერის შორეულ კასპის თრთოლვას, ხოლო რესპუბლიკის დედაქალაქ მახაჩყალას ბარე სამასიოდე უილომეტრით მაინც არის დაშორებული.

მაგრამ მეზობელი აულებისაგან ბევრი რამითაც გამოირჩევა ყუბაჩი. უპირველესად კი იმით, რომ სხვა მხრის ადამიანს კვირა — ორ კვირაზე დიდხანს არ დაუყვია და უცხოვრია ამ სოფელში. ყუბაჩელი მამაკაცები კი უცოლოდ დაბერებულან, მაგრამ სხვა მხრის ქალზე ფიქრიც კი არ გაუვლიათ გუნებაში. ასევე აქაური ქალი, რაც უნდა მოხდეს მეზობელ აულში არ გათხოვდება.

ყუბაჩელების ენა კი ისე განსხვავდება ლეზგურისაგან, რომელზეც მთელი კურკარახის რაიონი ლაპარაკობს, როგორც ლათინური ქართულისაგან. მაგრამ ყველაზე უცნაური მაინც ის არის, რომ თუ მათ ლაპარაკს ვერაფერს გაიგებს, სამაგიეროდ, ყუბაჩელები მშვენივრად ერკვევიან



დავევირეს ყველაფერი, რომ ქრისტიანული რჯული, რომლის მატარებელიც ვყოფილვართ და ბევრი რამ მამაპაპური და ახლობელი გადავავიწყებინეს. ძალიან ძნელია ახლა რაიმე ახლის თქმა ყუბაჩელებზე. ახლისა და მითუმეტეს სარწმუნოსი. ისევ სხვადასხვა ლეგენდების შეჭერებით თუ რაიმეს გახდება კაცი. ერთი ლეგენდა კი ასეთია: შორეული ქვეყნიდან შემოსეული ლაშქარი ამ მთებზე გადადიოდა, მან წარიტაცა რისი წაღებაც კი შეიძლებოდა, ააოხრა აქაურობა და დაარხინებული ეშურებოდა შინისაკენ. მაგრამ როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე, „ობიან კვანში ერთი სალი თესლი მაინც გაერევაო“, ამ ლაშქარშიც აღმოჩნდნენ კეთილი გულის ადამიანები —

# ყუბაჩი და ყუბაჩელები

ფოტო  
3. ჩხუშიანისა

მ. სხიული

ლეზგური მეტყველების უმნიშვნელო ნიუანსებშიც კი... ერთი სიტყვით, როგორც იტყვიან, ყუბაჩი თავით-ტერფამდე ყუბაჩელებია.

მაგრამ ყოველივე ამის შესახებ მოვესმინოთ თვითონ ყუბაჩელებს, რომელთაც, რა თქმა უნდა, უკეთ მოგხსენებათ თავიანთი ასავალ-დასავალისა.

აბდულ ხალიკ ჰუსეინოვი (ყუბაჩის საშუალო სკოლის დირექტორი):

— ძნელად წარმოსადგენია ვინმეს წარმომავლობაზე იმდენი ლეგენდა არსებობდეს, ჩვენზე რომ არის შექმნილი. ზოგი ამბობს, თითქოს საფრანგეთიდან ვიყოთ გადმოხიზნულები. მეზობლები ხომ „ფრანკებს“ გვეძახიან ახლაც. ზოგი კი ჩრდილოეთიდან მოსულებად გვსახავს. მე, როგორც ისტორიკოსი, დავინტერესდები ჩვენი წარმოშობის ამბით, მაგრამ რა გინდა, არაბმა მომხვედურებმა ისე აგვირ-

შვიდმა მათგანმა მალულად მიატოვა სპა და გადაწყვიტა სამუდამოდ აქ დარჩენილიყვნენ, მათს თანამომქმთა მიერ აოხრებულ ქვეყანაში, რათა ნაწილობრივ მაინც გამოესყიდათ ის დანაშაული, რომელიც მათ მიუძღოდათ ამ ქვეყნის წინაშე. გამოესყიდათ შრომითა და კეთილი საქმით... მაგრამ სად უნდა დასახლებულიყვნენ, სად დაედოთ სამუდამოდ ბინა-ალაგი? რომელ მთას შენიზნოდნენ, რომელ ფერობს? მოგხსენებათ მთები ჩვენიან მეტწილად ბალახიანი და მწვანედ აფერადებულია. აბა რომელ ერთს ამჯობინებ? მაშინ ერთ-ერთ მათგანს უთქვამს — მოდით, ორმო ამოვთხაროთ, მერე ამონათხარი უკანვე ჩავაბრუნოთ და სადაც მიწა ზედმეტი გადარჩება, ჩვენც იქ დავსახლდეთ. მიწის სიხვავემ, დოვლათის სიუხვე იცისო... და აი, ზღვის პირიდან ამოჰყოლიან ბარნიჩებებით შეიარაღებულნი და საბო-



ხელსაქმის სწავ-  
ლაზე ბავშვობი-  
დან იწყება...

ნავს. დიახ ძველ დროს, როცა თორანი უფრო იყო სპირო, ვიდრე ჩაისა და ყავის სერვიზები და ადამიანის ნაირნაირი სამკაულები, ჩვენებურები თორნებსა ჭედავდნენ. ხოლო თუ დღეს მათ დაივიწყეს ეს ამბავი, მხოლოდ იმიტომ, რომ დროება და მოთხოვნილებანი შეიცვალა. ახლა ყუბაჩელებს თავიანთი ნახელავის წყალობით უფრო შორეული ქვეყნები იცნობენ, ვიდრე ძველად. საკმარისია ითქვას, რომ ყუბაჩურ საშუალო სკოლის სახელოსნოებში მოსწავლეთა მიერ დამზადებულმა სამაჯურებმა, გულსაკიდებმა, ჭურჭლეულობამ, საყურეებმა, სერვიზებმა, დახეობმა და ხანჯლებმა

ბარე ორმცამდე საზღვარგარეთის ქვეყანაში მიიღეს პირველი ხარისხის დიპლომები. ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, ინგლისში, პერუში, კუბაში, იაპონიაში და სხვაგან და სხვაგან, ყველგან მოწონებითა და გაოცებით ხვდებოდნენ მნახველები ყუბაჩელ მოსწავლეთა და პიონერთა ნახელავს...

**„უღბუგან უხიბი კუსაბ ინდიდიყი, ჰაბიჩი წუბლაბაყი“**

ჩვენს შეკითხვაზე, თუ როგორ არის დაყენებული სკოლაში მოსწავლეთა დახელოვნების საქმე, საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ახმედ ახმედოვმა გვითხრა:

— ჩვენი საშუალო სკოლა ერთადერთია მთელ საბჭოთა კავშირში, სადაც მოსწავლეები პროგრამით

გათვალისწინებულ საგნებთან ერთად, ოქრომჭედლობის საფუძვლებსაც სწავლობენ. ერთი სიტყვით, მოსწავლე პირველი კ. ბილანკა ჩვენთვის ორმაგად არის დატვირთული. მან სწავლასთან ერთად თავი უნდა გაართვას ძვირფას ლითონზე მუშაობის საიდუმლოთა ამოხსნასაც. შესძლებს სწავლასა და სახელოსნო წრეებში მუშაობას ერთდროულად? ხომ კარგი და კარგი! არა და, დარჩება კლასში! მაგრამ, უნდა ვთქვა, რომ ასეთი რამ ჯერ ჩვენთან არ მომზდარა.

მაშ ასე, მოდის ბავშვი პირველ კლასში. მას, რა თქმა უნდა, ასწავლიან ანაბანას, ლეზგურ და რუსულ ენებზე. მერე კი, ჩვეულებრივი ოთხი თუ ხუთი გაკვეთილის დამთავრების შემდეგ, ბავშვები სახლში კი არ მიდიან, უფრო სწორად მიდიან მაგრამ, ისაღილებენ და ძალას მოიკრებენ თუ არა, ისევე სკოლას მიაშურებენ. ამჯერად მათთვის ღიაა სახელოსნოს კარები. (ჩვენი სახელოსნოები თანამედროვე დონეზეა გაწყობილი და ბავშვთა სრულყოფილად მომზადების საქმეს მთლიანად უპასუხებს). სახელოსნოებშიაც კლასების მიხედვით გადიან ბავშვები სწავლებას. დაწყებით კლასებში სწავლობენ ყუბაჩური ხელოვნების ისტორიასა და საფუძვლებს. მასწავლებელი ამავე დროს პრაქტიკულად, თვალაჩინოების მეთოდით აცნობს მათ თუ, როგორ იხაზებოდა ძველის-ძველი ცნობილი ყუბაჩური ორნამენტები, როგორ გადადიოდა ფანქრით ნახაზი ლითონზე და იმკვიდრებდა იქ საუკუნოდ ადგილს. პირველ კლასიდან მესამემდე მიმდინარეობს ორნამენტების გამოხატვაზე მუშაობა. ძირითადად შერჩეულია იოლი, მარტივი მაგალითები, რათა ბავშვები უცბად არ დაშინდნენ და არ აიყარონ გული საქმეზე. ხოლო მეოთხე კლასიდან უკვე იწყება ათვისებული ორნამენტების გადატანა ლითონზე, უმთავრესად სპილენძზე.

მეხუთე კლასში საგრძნობლად რთულდება ნახაზი. უკვე ბავშვებისაგან მეტს მოვითხოვთ, რადგანაც მალე მათ ძვირფასი ლითონები უნდა ვანდოთ სავარჯიშოდ. და არა მარტო სავარჯიშოდ, სერიოზული მუშაობისათვისაც. ასე რომ, მერვე კლასამდე ბავშვმა ოქრომჭედლობის ყველა საიდუმლო უნდა იცოდეს. — ამასთან ერთად, ბავშვი უკვლიან მუ-

1 ჩვენებურ ადამიანს ან ოქრომჭედობა უნდა შეეძლოს, ან ხელსაქმე ემარჯუბოდეს.

ლოდ აქ დამკვიდრებულან კიდევ არ ვიცი, რამდენად ხვავ-ბარაქიანია ჩვენი მიწა, არ ვიცი, ჩვენი წინაპრები თავიანთი ხელობისათვის სად შოულობდნენ რკინას და სპილენძს, ოქროს და ვერცხლს. მაგრამ ის კი კარგად ვიცი რომ აქაურებში ძველი მამაპაპური თავგამოდება, მეთორნეობისა, თუ ოქრომჭედლობის სიყვარული ჯერაც არ გამქრალა. მეთორნეობისა-მეთქი. ეს სიტყვა იმაზე ვახსენე, რომ ყუბაჩი ჩვენს ენაზე სწორედ „თორნის მჭედელს“ ნიშ-



ალანონ ახმედოვის მიერ  
შესრულებულმა ჩუქრთმაშ  
მასწავლებელთა უმაღლესი შე-  
ფასება დაინსახრა.



შაობას უნდა დავაჩვიოთ. ერთი ყალბი, ერთი ზერეულე ხაზიც რომ გაავლოს მან, ანდა მოსევადებისა და გამობრძმედის დროს წამითაც თვალი მოაშოროს თავის საქმეს, მთელი მისი ნამუშევარი წყალში ჩაიყრება. ამიტომაც ვცდილობთ პასუხისმგებლობის გრძნობა მაქსიმალურად განვუვითაროთ მოზარდებს.

თქვენ იკითხავთ, ბავშვთა მიერ დამზადებული ოქრო-ვერცხლეულობა სადღა მიდისო. ჩვენთან ოდითგან ასეა მიღებული: ნაწილს, უნდა გამოვტყდე, საუკეთესო ნაწარმს აქვე ვიტოვებთ სასკოლო მუზეუმისათვის, რომელიც მერე სხვადასხვა გამოფენებზე იგზავნება, ნაწილს კი ქედურ ნაყოთობათა კომბინატს ვაბარებთ...

ერთი სიტყვით, ისე გამოდის, რომ ჩვენი დაწესებულება ამ კომბინატის საშეფო სკოლა უფროა, ვიდრე ჩვეულებრივი, ტიპობრივი, ჩვენს მცნებაში არსებული საშუალო სკოლა. კომბინატის მუშების უმეტესობა ჩვენი ყოფილი მოსწავლეები არიან. სკოლის დამთავრებისას მოსწავლეს უკვე აქვს მეხუთე-მეექვსე თანრიგი სპეციალობაში. ეს კი საკმარისია იმისათვის, რომ მან თამამად შეიღოს კომბინატის კარი.

ჩვენი ფანჯრიდან მოჩანს ყუბაჩის შემოგარენი, მისი ვიწრო ქუჩები, აულისათვის დამახასიათებელი, ერთიმეორეზე მიშენებული სკასავით

სახლების რიგი, რომელიც ფერდობს შეტმასნია და ძირიდან თავამდე ასდევს მაღლა. სახლები ციხე-სიმაგრის ერთიან შთაბეჭდილებას ახდენს; რადგანაც მათ შორის რაიმე მიჯნა არ არსებობს. იფიქრებს ადამიანი, აქ ერთი დედამამიშვილებს უცხოვრიათ ოდითგანო. მართლაც, პირველი სახლის სახურავი მეორისთვის აივანია, მეორისა კი — მესამისათვის. ეს სახურავების კიბე მაღლა, მაღლა მიიწევა ლურჯი ცისაკენ, მტრედებით დაჩრდილულ ჰორიზონტისკენ...

როგორც ყველა აულს, ყუბაჩსაც აქვს თავისი ცენტრალური მოედანი. ამ მოედანზე მოსულა რამდენიმე კრაველისფაფაიანი ბერიკაცი, ერთმანეთს რომ ეჩიფჩიფებიათ რაღაცას. მოჩანან აგრეთვე მოედანზე შეკრებილი მუხლმორთხმული ქალები და ბავშვები, უმთავრესად გოგონები. ისინი ქსოვით არიან გართულნი. ქსოვენ ცნობილ ყუბაჩურ წინდებს. მათ შორის სამიოდე წლის გოგონაც კი შევნიშნეთ, იგი როდი ჩამორჩებოდა უფროსებს ქსოვაში.

— ესენი უმთავრესად დიასახლისები. — გვეუბნება ჩვენი მასპინძელი. — შეიძლება ითქვას, რომ ამ კომბინატის შტატგარეშე განყოფილება სწორედ ამ მოედანზე მდებარეობს. საქმე იმაშია, რომ ძვირფასი სამკაულების დამზადების გარდა ჩვენს სოფელში დიდი გასაქანი აქვს

მეწინდობასაც. მას კი ძირითადად დიასახლისები, შედარებით მოუცლელნი და შეიძლება ითქვას რაღაც მიზეზით სწავლას ჩამორჩენილნი მისდევენ. დამზადებულ ნაწარმს კომბინატს აბარებენ... ორი წლისა ბავშვს უკვე შეუძლია რაღაც გარკვეული სარგებლობის მოტანა ოჯახისათვის, თუ რა თქმა უნდა, მას საქმიანი, მზრუნველი და მცოდნე მშობელი ღედა ჰყავს...


— არდადეგებზე? არდადეგებზე რაღას აკეთებენ მოსწავლეები? — შევეკითხე სასწავლო ნაწილის გამგეს, — პიონერთა ბანაკებში ისვენებენ ალბათ, არა?

— რა თქმა უნდა, ვისაც ამისი სურვილი აქვს, პიონერთა ბანაკებში ისვენებს, მაგრამ ძირითადი ნაწილი მოსწავლეებისა აქ, სოფელში დარჩენას ამჯობინებს, და არც გაიმტყუნებთ, აბა, ამ ლურჯად ახასხასებულ მთა-ველებს, ცივციველა წყაროებსა და ქედების ლულუნით გათანგულ ახობებს რომელი ზღვა ამ ზღვისპირეთი შეედრება?

არდადეგების პერიოდში ჩვენი ბავშვები კვლავ სახელოსნო საქმით არიან დაკავებულნი. — პედაგოგებთან ერთად თავთავიანთ წრეებში ფუსფუსებენ, მეცადინეობენ და ეუფლებიან ჩედურობის საფუძვლებს, ლითონში ჩამარბულ ლამაზ საიდუმლოთა ამოხსნას ცდილობენ. რათა მათი წინაპრების — თორნის-

მოსწავლეები  
საშუალო  
სკოლის  
მშენებლობაზე





**სუბაჩალი გავზვის  
ნამუშევარი.**

ტრიალური ქალაქის ერთი უბანთაგანი გადაიშალაო ჩვენს თვალებში... ეზოში კომბინატის მთავარი ინჟინერი გავი ახმედ ბაგატიროვი შემოგვეგება. ახმედი ქართულად მოგვესალმა: — გამარჯობათ, ქართველო მეგობრებო. — ჩვენი გაგვიკვირდა, ეჭვიც კი შეგვეპარა, ეს კაცი ქართველი ხომ არ

არისო, ქართულად ისე თავისუფლად ლაპარაკობდა.

— ქართული ბგერები უფრო შეესატყვისება ჩვენს ენას, ვიდრე სხვა რომელიმე — ამბობს ბაგატიროვი. ჩვენი გაცემების პასუხად — მე შენ გეტყვი და თქვენს ენაზე ჩვენი ხორხისმიერი ბგერების გამოხატვა გაჭირდება თუ რა...

ყოველივე ამას ბაგატიროვი ხუმრობით ამბობდა. ბოლოს კი, ჩვენი ცნობისმოყვარეობა რომ დაეკმაყოფილებინა, თავისი ამბავი გვითხრა —

საქართველოში რამდენიმე წელი გმცხოვრე. არც ერთი კუთხე არ დამჩინებია მოუნახულლებელი. ძირითადად კი თბილისში ვმუშაობდი, ილიკო სუნიშვილის ანსამბლის მოცეკვავეებისათვის ხანგლებს ვაქეთებდი...

მერე თავის საწარმოზე ჩამოგვიგდო საუბარი: პირველი, რაც მან აღნიშნა, ის იყო, რომ საშუალო სკოლიდან მათთან სამუშაოდ მოსული მოსწავლეების ქებას მოჰყვა.

— მართალია, გვზის მიმცემი უფროსი ოსტატები არიან, მაგრამ მთავარი სიტყვა მაინც ახალგაზრდობას ეკუთვნის. მომავალი თაობა რომ არა, რა გვეშველებოდა, როგორ გავართმევდით თავს ამ აუარება სამუშაოს. აი, დააკვირდით, საამქროები ახალგაზრდობით არის საესე, უფრო კი ქალიშვილებით, და ღმერთმა ნუ ქნას რომ მათი სიცილი და ხუმრობა ოდესმე სანატრელი გაუხდეთ აქაურებს... საქმე იმაშია, რომ ბიჭების უმრავლესობა ქალაქად მიეშურება სასწავლებლად, ამთავრებს უმაღლესს და უკან აღარ გვიბრუნდება ხოლმე... გოგონები კი ამ მხრივ უფრო სანდონი არიან და აი, ხედავთ კიდევ რამდენად სჭარბობენ ისინი მამაკაცებს...

ბაგატიროვმა სახეც საამქროში დაზგასთან მოფუსფუსე გოგონები გაგვაცნო — ვიკა ახმედოვა და მია ნირიმოვა. ტრადიციულ თეთრი მარჯეტის გრძელ თავმლებში გამობ-

მჭედელთა მსგავსად კვლავაც შორს გასტყორცნონ ცას შებჩენილი აულის ღირსება და სახელი. ღირსება და სახელი კი მოგვეხსენებათ იოლად და ერთი ხელის მოსპობით არასოდეს მოიპოვებოდა...

**ი ტაზიბ ოჩილჩილ უცაცუ<sup>1</sup>**

აი, კომბინატის შენობაც. იგი სკოლის უკან აუშენებიათ. სკოლისა და მისი ახლომეზობლობა, ყოველივე იმის შემდეგ რაც ზემოთ ითქვა მათს ურთიერთ დამოკიდებულებაზე, ფრიად გამართლებულად და სიმბოლურად მომეჩვენა. კომბინატი, ისევე, როგორც სკოლა თანამედროვე ორსართულიან შენობას წარმოადგენს და წმინდა არქიტექტურული და სანახაობითი თვალსაზრისით თვალშისაცემად ამომხტარია ძველი აულის საერთო ფონიდან. როგორც კი შიგნით შეხვალთ, მის ეზოში, უცნაური გრძნობა გეუფლებათ, თითქოს შუა საუკუნეებიდან ყუბაჩის ძველისძველი და ვიწრო ქუჩებით რომელიმე ინდუსტრიული ქალაქის საწარმოში მოხვდით და ეს უეცარი გადასვლა იწვევს სწორედ ერთგვარ გაცემებს ადამიანში. აქ უკვე სულ სხვა ცხოვრებისეული რიტმი სუფევს. სულ სხვა განწყობილებაა. მუბლდაცვარული ადამიანები ფაციფუცობენ, გარბი-გამორბიან, მანქანები იცლებება, სარდაფიდან უროს ცემის ხმა ისმის, ცხელი წყლის ოხშივარი წვრილ ზოლად უერთდება მუქლურჯ ზეცას. სოფლური მყუდროება და სიმშვიდე თითქოს ათას მთას უკან მოვიტოვეთო, თითქოს ინდუს-



<sup>1</sup> როცა საყვარელ საქმეს აკეთებ რა დაგლის ადამიანს.



ნეკალინ  
ივანკოვი

ვეული გოგონები ქედნებით განაბულნი, ოღნავ სიმორცხვისა თუ მოკრძალებისაგან ალენილნი ხეხავდნენ ვერცხლის საჭიქეებს.

— ესენი ახალმოსულები არიან საშუალო სკოლიდან და ჯერ კიდევ ვერ შეჩვეულან აქაურობას... იმაზე არიან ასე დამორცხებულნი... თორემ აი იქით გადახედე სხვებსა, საამქროებში სიცილ-ხუმრობა წუთითაც არ წყდება... აქ ისეთი ხმაური არასოდეს არ არის, რომ ადამიანს ლაპარაკში შეუშალოს ხელი. ეს იმიტომ, რომ ჩვენთან ყველაფერი, უმნიშვნელო რამიდან დაწყებული ურთულეს პროცესებამდე ხელით ხდება. როგორც ასობით წლების უკან სქედნენ ჩვენი წინაპრები თორანს კუსტარულად, აკაბიწებული მკლავებითა და დაცვარული შუბლით, ისევე ახლაც ყოველივე ხელით, ფაქიზად, ლამაზად და საიმედოდ კეთდება. ყოველშემთხვევაში ჩვენ ამას ვცდილობთ, ცდილობენ ეს გოგონები, ეს ბიჭები, ეს ქალები. ასე არ არის მია? — მიმართა მერე მთავარმა ინჟინერმა თავჩაღუნულ გოგონას და პასუხისთვის არ დაუცდია ისე განაგრძო:

— მთელი მასალა მოსკოვიდან მოგვდის. ოქრო და ვერცხლი მოსკოვურია, შემკვეთიც მოსკოვია. რაც უფრო სჭირდება, იმას გვიკვეთაეს. წლიურად ორნახევარი მილიონის პროდუქციას ვაბარებთ სახელმწი-

ფოს, ეს ჩვენი აულისაგან არც თუ ურიგო საჩუქარია.

ამ გოგონებს კი ასე უბრალოდ ნუ უყერებთ. გავა რამდენიმე თვე და მაგათი და მათი ტოლების ნახელავით უამრავი ადამიანი დატყება, გაახარებს თვალსა და გულს, გაახარებს ამხანაგ-მეგობრებს... და სადაც არ უნდა იყოს ეს, ყუბაჩურ სამკაულებს, ჭურჭლეულობასა და სუვენირებს კეთილად მოიხსენიებენ, რადგანაც მათში განივთული იქნება მის შემქმნელთა ფიქრი, სული და გრძნობა. უსულგულოდ და ხელაღებით ხომ ჯერეთ არაფერი არ შექმნილა მშვენიერი ამ ქვეყანაზე... ყუბაჩელებიც ამიტომ ატანენ ყოველ ნივთს, ყოველ ახალ საგანს თავიანთი სულისა და გულის რაღაც ნაწილს. მათ კარგად იციან, რომ ისევე, როგორც ლეშხი უბრუნდება დედადრუბელს უკან, ეს განივთული სულიც ადრე თუ გვიან სიკეთით მოუბრუნდება მათს აულს, ოქრომჭედელთა, თორნისმჭედელთა, მეწინდეთა ქვეყანას...

სალამოსპირზე ცა უამრავი ვარსკვლავებით მოიჭდა. მთის ფერდზე შეფენილი ყუბაჩის კონტურები მიწის სიმუქეში განქარდნენ. იღუმალებამ მოიცვა ირგვლივ ყოველივე მხოლოდლა სოფლის მოედანზე მოისმოდა კრაველისფაფახიან მოხუცთა ჩიფჩიფი-ბჭობა.

— შეხედეთ ცას, გინახავთ ასეთი ცა? — გვეკითხება ჩვენი მასპინძელი. — ამბობენ ყუბაჩური ორნამენტები ძველოსტატებმა ციდან გადმოიღესო. რა ვიცი, რამდენად მართალია ყოველივე, მაგრამ ხანდახან კი მგონია რომ ეს ვარსკვლავები ძირს ჩამოდიან დედამიწაზე, ჩვენი სკოლის სახელოსნოებში შეიპარებიან და მოსწავლეთა დაფებსა და რვეულებზე თავიანთ ათასფერად ნაკვალევს ტოვებენ...

ცა იყო მართლაც უჩვეულოდ ლურჯი, მსხვილ-მსხვილი ვარსკვლავებით აჭრელებული და ამიტყვილებული, რაღაც უცხო იეროგლიფებით მოჩუქურთმებული, რომელთა ამოხსნასაც შემორჩნენ ეტყობა ასწელს გადაცილებული, ჯერაც სოფლის მოედანზე მოფუსფუსე მოხუცები...

ვიღაც უცხო უდარდელად, ლაღად უსტვენს გარეთ და თამამად უკაკუნებს ალაყაფის კარებს. მერე ბაღში შეიპარა გულადი და მალი, შეარხია ხელად ტოტი, ჩამოაგლო მსხალი. კამილს ბრაზი მოერია, უცებ გახდა კუშტი და უცნაურ, თავხედ სტუმარს დაემუქრა მუშტით: — ამ ბაღში რომ დანაგარდობ, უპატრონო ნახე? მე არ ვიყო ბიჭი, თუკი არ დაგივე მახე! უცხო განა მშიშარაა, რომ დაუფრთხეს მუშტებს. ვითომც არაფერიაო, არხინინად უსტვენს. უცებ მაღალ ბალახებში გაქრა, როგორც ნისლი. მხოლოდ ყვითელ ბალახების შარიშური ისმის. სასვე მკერდით სუნთქავს. უცხო ლაღად, თავისუფლად... ბუმბლი ბაბუაწვევების ცას შესტყორცნა ღრუბლად.

მიჭქრის ჩქარა, ირგვლივ ვრცელი ველ-მინდვრები სდუმან. მწიფე, მწიფე თავთავები თავს უკრავენ სტუმარს. ბიჭმა ჯოხი მოუღერა, თან ხმამაღლა აკითხა: რომ დაჭქრისხარ, მითხარ ვინ ხარ, საიდან ხარ მითხარ?! ამისხენი რად ხმაურობს, რად ბობოქრობს წყალი. ან მავთული რად ზუზუნებს ან ვის უხმობს ზარი?!

11844



მიხილ-ნიხილით მიიჩხარინან მოს-  
ვაგლევი საოლისაჲან...



ან რად ისმის დედამიწის  
უნაზესი ჩქამი?!  
უცნობმა კი აი ასე  
უპასუხა კამილს:  
— ტყუილად მსდევ,  
სახლში წადი,  
არ დაკარგო წამიც.  
ჩემი დევნა ფუჭია და  
ამაოა, კამილ.  
შენ არ ძალგინდ ცაში მდიო,  
უდაბნოთა ზევით.  
როგორ გინდა დამეწიო  
მიწიერი გზებით?  
მწვერვალბუნეც მაღალი ვარ,  
ცის ლაქვარდებს ვერთვი,  
მთებზე გადაბიჯებაც კი  
ადვილია ჩემთვის.  
ვარ ნამდვილი გოლიათი,  
დამიჭერე, კამილ,  
თვით თეთრი დღის სინათლეზეც  
ვერ მიხილავ წამით.  
ისე ცუდი გუნების ვარ,  
(არ ჩამთვალო ბრიყვად...)  
ზოგჯერ ჩრდილში მხარ-თედოზე  
წამოწოლა მიყვარს.  
ერთი თვეც კი შემიძლია  
ვიძინო და ვიწვე...  
მაგრამ ნალდად გავაკეთებ  
საქმეს, თუ დავიწყებ.  
ზღვაში ტალდა ტალდას მისდევს  
მძვინვარე და ურჩი,  
და ჩემს ფეხებზე ტყე ხმაურობს  
უღრანი და ლურჯი.  
მეწისჩვილეს უხარია  
ჩემი ხილვა ეგზომ,  
რადგან ძალმოდს უცოცხოდაც  
დაჯუხვეჭო ეზო.  
ურთულესი ამოცანაც  
ვერ ამიბნევეს თავ-გზას;  
გუსტვენ, ხალხი თვითონ განსჯის  
ჩემს აზრს და კარგსაც.  
დაუბურბაჯ.  
უთენია  
წამოგხტები ზეზე,  
მხდალია და მშიშარაა —  
არვის უთქვამს ჩემზე.  
დაუსტვინა, უდარდელად,  
შეარხია ძეწნა.  
კამილს ქუდი მოხადა და  
თმა სულ აუწეწა.  
კამილი ქუდს დაედევნა  
და წარმოთქვა თრთოლვით:  
ძლიერი ხარ,  
ქვეყნად მართლაც  
არვინა გყავს ტოლი.  
სტუმარმა ამოიხვნეშა  
გულის დარდი ნელა  
და მეზობელ სხვა აულში  
გადაფრინდა ხელად.



წყებად მიემართება საფლავის ქვე-  
ბი. ყუბაჩელთა მრავალი თაობების  
საიდუმლოებებია ჩამარხული ამ  
ლოდებს ქვეშ. მთიელები ძუნწები  
არიან თავიანთი გრძნობების გამო-  
ხატვაში და ამიტომ საფლავის ქვე-  
ზე მხოლოდ დაბადება-გარდაცვა-  
ლების თარიღს თუ ამოიკითხავს კა-  
ცი და ისიც იმაზე, დროის მსახერა-  
ლი ხელი რომ არ შეჭებიათ ჭერაც.  
სასაფლაო! — იგი მთიელთათვის  
წმიდათაწმიდა ადგილია. მას გულ-  
დაგულ იცავენ, უვლიან. მრავლად  
ხარობს აქ გარეული ხილი — პან-  
ტა და მაყალო. ისინი არავის არ და-  
ურგავს, და ალბათ ამიტომაც შეა-  
პება ხეებს ნაყოფი და დაკრეფით  
კი არავინ არ დაკრეფავს, ეს დიდ  
ცოდვად ჩაეთვლება ვინც არ უნდა  
იყოს...  
ხშირი და მაღალი პანტების ქვეშ,  
რომელთა ტოტებიც თხილისოდენა  
წითელ-წითელი ნაყოფით დახუნძ-  
ლულა, დაკვირვებულ მზერას შორი-  
დანაც არ გამოეპარება თეთრი ქვის  
ნაგებობა, რომლის გუმბათი ხახვის  
ბოლქვს ჩამოჰგავს. გუმბათი ქოთა-  
რედით გვირგვინდება. ქოთარედს  
ფანჯრის მაგივრად სამკუთხა სარკ-  
მელი აქვს დატანებული, რომელიც  
ციხის სათოფურს მოაგონებს მნახ-  
ველს, ხოლო შესასვლელი კარის სპი-  
ლენძის მძიმე სახელურზე რომელი-  
დაც უცნაური მხეცის დაღებული  
ხახაა ჩამოსხმული. ეს სახლი წმინ-  
და ჰაჯი იბნ ბამმატის აკლდამაა.  
რომლის სიბრძნის ამბავი ამ სახლ-  
თან ერთად ხალხში გავრცელებულ-

# ქვეყნები

ახმელხან  
აბუ-ბაქარი  
მატვარი  
თამაზ  
ხუციშვილი

მთხრობა

კატლევის მთების ციცაბო ფერ-  
დობებზე, რომელიც აულის სამხ-  
რეთიასავლეთით მდებარეობს. სწორ



მა ლეგენდა ზღაპრებმაც მრავლად შეშინება.

ამ აკლდამაში შესვლა კი ყველას როდი შეუძლია. მისი ბნელით მოცული დარბაზის ნახვა ნებადართულია მხოლოდ ყველაზე მართლმორწმუნე მთიელთათვის, რომლებიც ბეჯითად ასრულებენ ნამაზებს და რომელთა სასობით მორთბულ მუხლქვეშ ბევრი სალოცავი ნოხი გაცვითილა.

ყუბაჩელთა აულში, რომელშიც ოთხიათასამდე მცხოვრებია, თითქმის ყველა ოჯახში არის ოქრომჭედელი. როგორც ყველგან, მორწმუნეთა რიცხვი ყუბაჩშიაც ბლომად შემცირდა. ამიტომაც ჰაჯი იზნ ბამატის აკლდამასთან მისასვლელი ბილიკი ხშირი ბალახით დაიფარა. მის მომნახულბელთა რიცხვმაც იკლო. მხოლოდ ყველაზე ცნობისმოყვარე ხალხი — ბავშვები თუ გადაძვრებიან ხოლმე სასაფლაოს ღობეზე და ჩუმად გაჩნდებიან აკლდამასთან. მაგრამ მშობლები მათ შხამიანი გველებითა და ეშმაკებით აშინებენ. რომლებიც თითქოსდა ბამატის სასახლეში ბინადრობენ. ბავშვებსაც გული უფრთხვებით და სხვა რამით გართობას არჩევენ. სამაგიეროდ, მტრედები არასოდეს ტოვებენ აკლდამას, მათი ღულუნი იქ გამეფებული სიჩუმისა და მღუშარების განუყრელი თანამგზავრია.

მაგრამ, ჩვენ, ეტყობა, ცოტა გავერთეთ აკლდამაზე საუბრით. თუმცა ჩვენი მოთხრობა წმინდა ჰაჯი იზნ ბამატის აკლდამას ბევრი რამით კი უკავშირდება.

საქმე ეხება ერთ გოგონას. სახელია ქულთუმი.

აი, იგი ჭრელი ჩითის მანდილმოხვეული მიეფარა აკლდამას. მაღალი და ღონიერი ქულთუმი თოთხმეტი წლისაზე უხნესი და მაღალი ჩანდა. დიდმა მწუხარებამ, რომელიც მას დღის აწვა გულზე, თითქოს ხნოვანება შეჰმატაო. იგი ტირის და თვალმოუშორებლად იქით იყურება, სადაც კრაველის მაღალი ფაფახიანი ყაყები მარხავენ მის მამას — ოქრომჭედელ ბახმუდს.

ყველა დუმს. მიცვალებულს მყუდროებას არაფრით ურღვევენ. უკანასკნელი მოვალეობა მოიხადა ხალხმა მოულოდნელად დაღუპული თანასოფელელის წინაშე და ახლა სევდამოწოლილები დგანან საფლავის ბორცვის გარშემო.

მოკვდა ოსტატი... ერთადერთი მაჰაკა ოჯახში და იკბალის გვარში. დაქვრივდა მისი ახალგაზრდა ცოლი

ბიკა, დაობლდა თვალბეჭკრიალა გოგონა ქულთუმი. წარვიდა, სამუდამოდ წარვიდა იმ ქვეყნად ოსტატი, მაგრამ თანასოფლელები არასოდეს დაივიწყებენ იმ კეთილ ადამიანს... წესი აუსრულეს. ყველაზე უფროსმა და პატივსაცემმა ჭალაროსანმა (ჭალარა წვერიანმა და ჭალარა-ულვაშიანმა) წაიკითხა რამდენიმე თავი ყურანიდან, შემდეგ ხალხმა დამლა დაიწყო.

ქულთუმი კი მარტოდმარტო დარჩა სასაფლაოზე.

დაეცა მამის სამარესთან, ნესტიან, ცივ მიწაყრილს შემოპხვია თავისი მოცახცაზე მკლავები და მწარედ აქვითინდა...

ცრემლი დიდი ხანია შეაფრა. მაგრამ გოგონა მაინც არ დგებოდა. მას ვერაფრით დაეჭვებინა, რომ მამა, მისთვის ყველაზე ახლობელი და საყვარელი ადამიანი აღარასოდეს აღარ იქნებოდა მასთან.

ეჰ, რა კარგად იყვნენ ორივენი ერთად...

შინ დაბრუნებულ ქულთუმს მამამისის ამხანაგებით სავსე დახვდა სახლი. ადრეც ხშირად იკრიბებოდნენ სალამობით მათს მიწურში და სუფრასთან მუსაითფში გაჰყავდათ დრო.

დღეს კი ისინი თანაგრძნობის სათქმელად მოვიდნენ ქვრივთან.

მთიელები ძუნწები არიან თავიანთი გრძნობების გამოხატვაში, მაგრამ ამ წუთს ბევრის თვალზე ციმციმებდა სიბრაღის ცრემლი. ბახმუტი კეთილი, საყვარელი ადამიანი იყო, ამ ქვეყნად მისი არყოფნა ყველას გულს აკლდა;

ქულთუმის გამოჩენა არავის შეუნიშნავს. მიწურის ყველა ოთახი სავსე იყო ხალხით. მაგრამ გოგონა სრულიად მარტოდ გრძნობდა თავს. არავის ამშვიდებდა მას, არავინ ეალრხებოდა, ანუგეშებდა, მის გულს კი უჭირდა ამდენი მწუხარების დატევა.

ქულთუმი მამის ცარიელ სახელოსნოში შევიდა. მოხურა კარი და სევდიანი დაეშვა სარკმელთან დაფენილ დათვის ტყავზე. აქ უყვარდა ქულთუმს ჩამოჯდომა. ფეხს მოირთხამდა, გაინაბებოდა და სუნთქვა შეკრული ადევნებდა თვალყურს თუ როგორ ჭედდა მამამისი ლითონს, ჭრიდა მასზე ნაირნაირ ჩუქურთმებს, ფერავდა და ასევალებდა ხანჭლის ქარქამებს, საყურეებს, სამაჯურებს...

იგი მუშაობდა და თან უყვებოდა ქალიშვილს სახელგანთქმული ყუბა-

ჩელი ოსტატის ამბავს. ესაუბრებოდა მათს ნაკეთობებზე, რომელთა მრავალ ქვეყანაში მოეპოვებოდა აღიარება. ქულთუმს უყვარდა მამის მოამენა, ამიტომაც ყოველთვის ხალხით ეხმარებოდა მას, ასუფთავებდა და აპრიალებდა უკვე მზა ნაკეთობას. ისეც ხდებოდა, რომ მამამისი ხელში აძლევდა საჭრეთელს და მას ფაქიზად გამოჰყავდა რომელიმე ნაცნობი ნაყში ლითონზე.

იგი ხშირად ეკითხებოდა ხოლმე მამამისს ოქრომჭედლობის საიდუმლოებებზე. მამაც მზად იყო ეპასუხა მის ათას „რატიომისათვის“. იგი დაწვრილებით უხსნიდა ყოველ საკითხს. დედამის ბიკას კი ძალით გამოჰყავდა ქულთუმი სახელოსნოდან. „შენ ხელს უშლი მამას, — ეუბნებოდა იგი. — რაში გჭირდება ყველაფრის ცოდნა? შენ ხომ ბიჭი არა ხარ. ეს სამუშაო გოგონებისთვის არ არის! უმჯობესია ისევე მე დამეხმარო ოჯახში“.

ქულთუმი ვერ ხვდებოდა, მაინც რად არ იყო ეს ლამაზი ხელობა გოგონების საქმე? მაგრამ უმალვე აგონდებოდა რომ აულში ოქრომჭედელი ქალი ჯერ არავის სმენოდა. აგონდებოდა ეს ამბავი და ექვიც უჩნდებოდა — „იქნებ დედა მართალია?...“

ამის გარდაც ბევრ რამეზე ფიქრობდა ქულთუმი, ვიდრე მწუხარებისაგან გულმოკლულს, წელში მოხრილს და მოკუნტულს დათვის ტყავზე არ ჩაეძინა. სარკმელიდან შემოსვტილ მთვარის შუქზე ოდესღაც ოსტატის საჭრეთელიდან იატაკზე დაცვენილი ვერცხლის ნამციკები აციმციმდნენ.

ქულთუმი მთელ დამეს გაატარებდა აქ, ამ დაცარიელებულ სახელოსნოში, მამამისის მორიალე ლანდთან ერთად. დედას რომ არ მოეძებნა და თავისთან თბილ საწოლში არ დაეძინებინა.

დედა-შვილი დილაუთენია საყვირის ხმამ გამოაღვიძა. იგი სამუშაოდ უხმობდა ოსტატებს სამხატვრო სახელოსნოებში, ორსართულიან შენობაში რომ იყო განლაგებული. ბიკა — ქულთუმის დედა ჩვეულებისამებრ წამოხტა, მაგრამ მაშინვე გაახსენდა რომ მათი ქობიდან აღარაფერ იყო სამუშაოდ წამსვლელი, აღარავის არსად არ მიეჩქარებოდა. თანჯარაში კი თვალისმომჭრელად შემოწვერილიყო სინათლე. ოქროსფერი, ბრწყინვალე მზე სპაჰრო ბურთოვით ეკიდა ცისკიდურზე და მაღლა, მაღლა მიიწვე-

და დუპე დაგის მთის ზემოთ. ბუნებას თითქოს დაწუხებული დედაშვილის გამხიარულება ეწადაო.

ბიკა საწოლზე ჩამომჯდარიყო და თვალმოუშორებლად შეჰყურებდა ქალიშვილს, ნახად უსვამდა თავზე ხელს და ჩუმად ტიროდა.

— ჩემო საყვარელო, როგორ უნდა ვიცხოვროთ ახლა მე და შენ? ბიჭი რომ ყოფილიყავი, კიდევ ვო, მამის ადგილს დაიკავებდი, ოქრომჭედლობას მიჰყოფდი ხელს, ახლა კი გუნაცვალე, უნდა ეცადო, კარგად ისწავლო...

ქულთუმი თვალგახელილი იწვია და დუძდა. იგი, საერთოდ, სიტყვაძუნწი იყო. მხოლოდ მამასთან საუბარში ეცვლებოდა გუნება — ხასიათი — ყუავილივით გაიფურჩქნებოდა ხოლმე. ახლა კი უსმენდა დედას და თან აკვირდებოდა მზის სხივს, რომელიც სულ უფრო დაბლა და დაბლა ჩამოჰყვებოდა ოთახის კედელს. მის ოქროსფერ კონაში კი მრავლად ირეოდნენ, ვინ იცის საიდან მოსული მტვრის ნაწილაკები. იმ ოთახიდან, სადაც მამას ჩვეულებრივ, სტუმრებთან უყვარდა ღღომა-მასლაათი, ისმობდა წიკწიკი ძველისძველი კედლის საათისა. ეს საათი დიდი ხნის წინ ბაბუამისმა მოიტანა რომელიღაც შორეული ქვეყნიდან. აი, საათმა მეშვიდედ ჩამოჰკრა. უკვე დრო არის მოემზადოს სკოლაში წასასვლელად.

— ისე დავსუსტდი ეს ოხერი, ფეხზე ძლივს ვდგევარ... — თქვა ბიკამ.

— დაწეკი შენ, დედა, დაისვენე, — წამოიწია საწოლიდან ქულთუმი — მე თვითონ გავაცხელებ ჩაის, რა, ვერ გავაცხელებ?

— უღროოდ წახვედი ჩვენგან, ბახმუდი! — ისევ ატირდა ბიკა.

ქულთუმი მზად იყო თვითონაც აღრიალეხულიყო, მაგრამ თავი შეიკავა — მას დედა უნდა გაემხნევებინა, დაემშვიდებინა როგორმე.

— დედიკო, — თქვა მან, — ცრემლებით მამას ვერ მოვაბრუნებთ. ჩვენ ახლა უნდა მოვიფიქროთ, თუ როგორ ვიცხოვროთ.

ბიკამ თავი ჩალუნა და თავსაფრის ყურით ცრემლი შეიმშრალა.

— შენ მართალი ხარ, ჩემო ჭკვიანო გოგო, ვერაფრით ვერ მოვაბრუნებთ მამას.

ქულთუმი სახელოსნოში შევიდა. მან ნაღვლიანად შეათვალა იარაღები — საჭრელები, ჩაჭრები, მარწუხები, ყველა ისინი მკაცრი წესრიგით ელაგნენ თაროზე და თითქოს კითხულობდნენ — რა უნდა გავაკეთოთო. გოგონამ ამოიხზრა, მოძებნა

ზარდახმა, რომელშიც თავის ნაკეთობებს ინახავდა მამა და დედასთან დაბრუნდა. მათ გახსნეს კოლოფი. მასში ვერცხლის რამდენიმე სათითური, ათიოდე ძვირფასი ბეჭედი და ფირუზისთვლიანი სამი წყვილი საყურე აღმოჩნდა.

— დიდხანს არ გვეყოფა ეს, — დაფიქრებულმა თქვა ბიკამ, როცა ზარდახმა გადაჩხრიკა, — მაგრამ ხომ შეიძლება მამაშენის ხელსაწყოები გავყიდოთ? რიდასთვის დაგვირდება ისინი?

ქულთუმი კართომთ გადახედა დედას და შეეხვეწა:

— დედიკო, გემუდარები, ხელსაწყოებს ხელს ნუ ახლებ, ისინი ხომ სამახსოვროდ დაგვრჩა მამისაგან!..

— ხო, ჩემო კარგო, შენ მართალი ხარ. კარგი, ვერე იყოს, სხვა რამეს მოვიფიქრებთ. ახლა კი ჩემი ადგომის დროა. ძროხა უნდა მოვწველო და ნახირში გავავლო. ხალხი მოვა დღეს. სახლს მივხედავ, მივალავ-მოვალავებ აქაურობას. შენ კი, გენაცვალე, იჩქარე, სკოლაში არ დავიგვიანდეს...

ქულთუმი შავი პალტო ჩაიცვა, ტერასაზე გამოვიდა, პირი დაიბანა, ცხელ ჩაის პური და ყველი მიატანა, ჩანთას წამოავლო ხელი და სკოლისაკენ გაეშურა.

სკოლა სამხატვრო კომბინატის გვერდით მდებარეობდა. ადრე ამ შენობაში ოსტატი მახმუდიც მუშაობდა. ქულთუმი სკოლის ფანჯრიდან ჩაფიქრებული გასცქეროდა შენობას. თვალზე შეუმჩნევლად მოადგა ცრემლი. უცებ კი თავისი სახელი გაიგონა. მასწავლებელი იძახებდა დაფასთან, ალბათ ბავშვის მწარე ფიქრებიდან გამოყვანა თუ იწვია.

ხატვის გაკვეთილი უტარდებოდათ.

— ქულთუმი, აბა კურდღელს თუ დამიხატავ...

გოგონა შეყვონდა. მას არა ერთხელ ენახა ცოცხალი კურდღელი. ორიოდ წლის წინ მამამისმა ნადირობიდან ორი სალ-სალამათი ყურცქვიტა მოუყვანა. ქულთუმი დიდხანს უვლიდა მათ, ჰკვებავდა, უსუფთავებდა ადგილ-სამყოფელს, ვიდრე არ გაიზარდნენ. შემდეგ ისინი თავისუფლად გაუშვეს. სურათზეც ბევრჯერ ჰქონდა ნახული კურდღელი. ახლა კი დაფაზე ვერა და ვერ დანახა გონებაში რომ ჰყავდა წარმოსახული ისეთი კურდღელი — რაღაც თხუნელასავით ყურაბზეკილი, მახინჯი ცხოველი გამოუვიდა.

მასწავლებელი მივიდა და ორი-სამი ხაზით შეუსწორა ნახატი.

— არა უშავს, — თქვა მან, —

სხვა დროს უკეთეს ნახატაქვებზე მხოლოდ დაკვირვებული იყავი და რასაც შენს გარშემო ხედავ, ყველაფერი დაიხსომე...

მასწავლებელი ალერსიანად ელაპარაკებოდა და ალბათ ამიტომაც ქულთუმი კვლავ ცრემლები მოერია. თავის მერხს გვერდი აუარა, სადაც კომბინატის დირექტორის შვილის — მანაფის გვერდით იჯდა და უხმოდ მიაშურა ბოლო სკამს... იგი სიმორცხვისა და ნაღველისაგან დაბნეული იყო, მაგრამ ბავშვებმა არაფერი შეიმჩნიეს. თვით მანაფიც კი, რომელიც ადრე ყველაზე მეტად აბრაზებდა, დღეს სხვანაირი იყო. ყველა გულთ თანაუგრძობდა ქულთუმს.

ზარი რომ დაირეკა, მანაფმა ბავშვები თავისთან მოიხმო:

— ქულთუმი დიდი მწუხარება აქვს, უნდა გუშველოთ.

ქულთუმი ამ დროს კარს უკან იდგა და ყველაფერი გაიგონა. იგი უცერად ქარივით შემოვარდა ოთახში და ნაწყენი ხმით უთხრა ამხანაგებს:

— იცი, რა... მე არავისი დანმარება არ მჭირდება...

მანაფი შეკრთა, შეეცადა რაღაც აეხსნა გოგოსთვის...

— შენ მამა მოგიკვდა...

— მაგრამ მე მყავს დედა და არც მე ვარ პატარა...

სახლში მისვლისთანავე სასწრაფოდ მიაშურა მამამისის სახელოსნოს, კარი დაკეტული დაუხვდა. ქულთუმი გაუკვირდა — იგი ხომ მუდამ ღია იყო...

— ეს შენ დაკეტე, დედა? — ჰკითხა მან ოთახში მოფუსფუსე ბიკას.

— ხო, შვილო, მიმიძის შიგ შესვლა. გასაღები მამისეულ ზარდახმაში შევიანხე, გჭირდება? — შეეკითხა ბიკა და ქალიშვილს მოეხვია.

— ჰო... არა! — უპასუხა გოგონამ ყოყმანით — ისე გკითხე...

მას შემდეგ მრავალმა მეზმა გადაიქუხა სინაგინის მთებზე, ბევრჯერ მოვიდა თოვლი, აყვავდნენ ალბიური მდელოები და ბალახით დაიფარა ოსტატ ბახმუდის საფლავე. ქულთუმის ჩანთაში კი უკვე მევქვსი კლასის სახელმძღვანელოები ეწყო.

და ისევ ხატვის გაკვეთილი სკოლაში!

დაფასთან კვლავ ქულთუმი. ამჯერად მასწავლებელი სთხოვს რომელიმე ცნობილი ყუბაჩური ნაყში დახატოს. აულში გავრცელებულია ორი სახის ტრადიციული ჩუქურთმა, ეს არის რთული წნული ყუვილებისა



ტა-ტუბაჩის საუკეთესო ჩუქურთმას. უსტა — ტუბაჩისა, ვისმა ხელოვნება-ბამაც სახელი გაუთქვა აულ ყუბაჩის მთელ ევროპაში.

ქულოთუმმა მთელი კლასი გააოცა, თავის მასწავლებელს კი ღიმილი მოჰგვარა მისმა ნახატმა, სიამოვნების ღიმილი. გოგონამ ამ რთულ ნაყუში ოსტატურად ჩახატა ყურცქვიტა კურდღელი, რომელსაც წინა თითებში სტაფილო ეჭირა.

— ხოო... — მრავალმნიშვნელოვნად თქვა მასწავლებელმა, — აბა, დაჯექი ახლა, ქულოთუმ გმადლობ მშვენიერი ნაყუშისათვის, — შემდეგ კი კლასს მოუბრუნდა და დაუმტა, — აი, თქვენი დაჯალება შემდეგი გაკვეთილისათვის, — დაფაზე მიუთითა მან ბავშვებს — ყოველი თქვენგანი შეეცდება დახატოს „კურდღლიანი მარხარაი“...

ეს იყო უმაღლესი შეფასება. ქულოთუმს სიხარულისაგან აღმური მოელო სახეზე, გულმა ბაგაბუგი დაუწყაო.

გაკვეთილების შემდეგ მასთან მანაფი მივიდა და სათუთუნე კოლოფის სახურავი გადასცა, რომელზეც ვილაცის იშვიათი ჩუქურთმა ამოქურა, მაგრამ შავად დაფერვა ველარ მოესწრო.

— მოგიტანე, რასაც მოხვდი, — უთხრა ბიჭმა.

— გმადლობ!  
ქულოთუმმა ყურადღებით დაათვალიერა სახურავი. მერე ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო და სასწრაფოდ გადაიხატა იშვიათი ჩუქურთმა.

— ვერაფერი გამიგია, — უთხრა მანაფმა, — უკვე იმდენი ნაყუმი გადახატე, რა უნდა უყო მაგათ?!

— უნდა შევისწავლო ისინი... — გაიღიმა ქულოთუმმა.

— მერე და რისთვის? ეს ხელობა ხომ გოგოების საქმე არ არის?

— ვითომ რათაო? — შუბლი შეიკრა ქულოთუმმა.

— რა ვიცი, ასეა და...

— თუ არ იცი, რალა გალაპარაკებს... მან უკან გადაიყარა ზაბთიანი ნაწნაუები და შინისაკენ გაიქცა.

ქულოთუმმა იმ ხანებში თავის სამასწავლებლო ბლოკნოტში უსტა — ხაბიჩუს საუკეთესო ჩუქურთმების დიდი ნაწილი მოაგროვა. მას უკვე კარგად შეეძლო სხვადასხვა ოსტატების ნამუშევრების ერთმანეთისაგან გარჩევა. ისიც შეეძლო გამოეცნო — ძველი ამოჭრილი იყო ჩუქურთმა თუ — ახალი.

აულში, ვინც კი მას იცნობდა,

ყველას აოცებდა გოგონას ენერჯია, გულმოდგინება და შეუპოვრობა: მაგრამ სახატავად დრო ძალიან ცოტა რჩებოდა. დედამისი ამ ბოლო დროს ხშირად ავადმყოფობდა და გოგონას გაკვეთილებზე მეცადინეობის გარდა მეურნეობის გაძღოლაც უხდებოდა: ალაგებდა სახლს, ამზადებდა სადილს, წველიდა და ნახირში აგდებდა ძროხას...

ბიჭამ დიდი ხანია შეამჩნია რომ მამის სიკვდილის შემდეგ ქალიშვილი ძლიერ შეიცვალა: ყურადღებიანი და თავის წლოვანებასთან შედარებით ზედმეტად სერიოზული გახდა. არც ადრე იყო მაინცდამაინც ბევრი ლაპარაკის მოყვარული. ახლა კი უფრო და უფრო სიტყვაძუნწი და ჩუმი ხდებოდა. ადრე ქულოთუმს სიბნელისა ეშინოდა და იშვიათად რჩებოდა მარტო, ახლა კი მორჩებოდა თუ არა ოჯახურ საქმეებს გავიღოდა სასტუმრო ოთახში და თავისთვის ჩაიკეტებოდა. ბიჭა შემოვითებით ადევნებდა თვალს გოგონას, მაგრამ განსაკუთრებულს ვეღარაფერს ამჩნევდა მის ამგვარ ქცევაში.

ბიჭს უფრო ის ანცვიფრებდა, რომ დედამთილისაგან დარჩენილი ზარდახში, ერთბაშად... ჯადოსნური გახდა. დაახ, ნამდვილად ჯადოსნური. ამოიღებს, მაგალითად, ორშაბათს ბიჭა იქიდან საყურეს, წაიღებს კომბინატში ჩასაბარებლად და ერთი კვირის შემდეგ საიდანაც ისევ განჩნდება ახალი საყურე ან ბეჭედი.

საწყალობა ქალმა არ იცოდა რი ეფიქრა. მას რა თქმა უნდა, უხაროდა ეს მოულოდნელი ბედნიერება და ძალიან უნდოდა თავისი სიხარული სხვებისთვისაც გაეზიარებინა, მაგრამ როგორი მძიმეც არ უნდა ყოფილიყო ამისი დამალვა, ბიჭას ამის შესახებ ერთი სიტყვაც არ დასცდენია არავისთან. მას ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე ახსოვდა, რომ — „სასწაულმოქმედებამ შეიძლება მყისვე დაკარგოს ძალა, თუ კი მასზე იყბედებს ადამიანი“

ბიჭას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ეს საქმე კეთილი სულების, ან კიდევ, როგორც მათ სხვანაირად უწოდებდნენ — უჩინარი ანგელოზების გარეშე არ ხდებოდა.

ქალიშვილს ეს ამბავი დედაზე ნაკლებად არ „უკვირდა“ და ამბობდა:

— აი, სასწაული, მართლა სასწაულია, არა, დედა? მაშ საიდან მოდის ეს ძვირფასეულობა?

— სუუ, შვილო, არ დააფრთხო ანგელოზები და სიტყვაც არ დაგცდეს არავისთან, გაიგე?

— რას ამბობ, დედა, რატომ უნდა ვუთხრა ვინმეს?

და ფოთლების კონისა — „ტუტტა“ და ლამაზი თაიგულის ნახატი — „ტამგა“...

რომელს აირჩევს ქულოთუმი, „ტუტტას“ თუ „ტამგას“? ალბათ „ტუტტას“, რადგანაც იგი შედარებით უფრო მარტივია: დახატავს მცირე ღეროს უამრავი ყვერებითა და ფოთოლ-ყვავილებით, ტოტებსა და ყვავილებს დაუხუჭუჭებს და მორჩა...

ასე ფიქრობდნენ ბავშვები კლასში. მაგრამ რაც უფრო დიდხანს უყურებდნენ ისინი დაფას, მით უფრო უკვირდათ: ქულოთუმი ადვილად და თავისუფლად ხატავდა ყველაზე რთულსა და ფაქიზ — „მარხარაის“. და მხოლოდ მასწავლებელმა იცოდა, რომ გოგონა გასაოცარი სიზუსტითა და ოსტატობით ალაღვენდა უკვე თითქმის მივიწყებულ, ძნელად შესასრულებელ, სახელგანთქმულ უს-

„ჯადოსნური“ ზარდახშა მართლაც რომ დიდად დაეხმარა დედას და ქალიშვილს: შემოდგომაზე მათაც შესძლებს სხვა აუღლებივით შეეკეთებინათ თავიანთი ქონი, ის კი არა, ცოტა ფულიც კი დააგროვეს იმ შემთხვევისათვის, თუ კი სასწაული „უცებ“ შეწყდებოდა“.

მაისის დღესასწაულების წინა დღეებში კომბინატის სამხატვრო საბჭომ ვერცხლის საუკეთესო ნაკეთობაზე კონკურსი გამოაცხადა. კონკურსის პირობებისამებრ საუკეთესო ნამუშევრები ყუბაჩის მუზეუმს უნდა გადასცემოდა.

ქულთუმმა სთხოვა მანათს დაწვრილებით გაეგო მამამისისაგან კონკურსის პირობები.

— ეს რისთვის გჭირდება? — გაუკვირდა ბიჭს.

— მჭირდება, ძალიან მჭირდება, გესმის?

— მამამ რომ მკითხოს, რატომ გაინტერესებს კონკურსის ამბებით, რა ვუპასუხო? — თავისაზე იდგა მანათი.

— უცნაური ბიჭი ხარ, მანათ. რაზე უნდა გაუკვირდეს მამაშენს ეს ამბავი? ვითომ მოსწავლეებს რად არ უნდა გაინტერესებდეს, რა ხდება ჩვენთან აულში? უთხარი რომ კედლის გაზეთში ვაპირებთ კონკურსის პირობების გამოქვეყნებას, — შეიძლება რომელიმე ბიჭმა მოსინჯოს კიდეც ბედი?

და აი, სასკოლო კედლის გაზეთის მომდევნო ნომერში მართლაც გაჩნდა წერილი, რომელიც სამხატვრო კომბინატის შიერ გამოცხადებული კონკურსის პირობებს იტყობინებოდა.

კრილოსანის ქარვის მძივებივით ჩამოიმარცვლნენ დღეები.

ერთხელ ქულთუმი სახლიდან ჩვეულებრივად ადრე გამოვიდა. მშვიდად მოავლო თვალი გარემოს. ყარებთან წუთით შეეყოყმანდა. შემდეგ კი აჩქარებით შევიდა ოსტატ ხაბიბის ქონში. ხაბიბი განთქმული უსტა — ტუბაჩის შაამომავალი იყო და ვერცხლეული ნაკეთობების მკაცრ, მაგრამ სამართლიან შემფასებლად ითვლებოდა სოფელში.

გოგონა მოწიწებით მიესალმა ძველ ოსტატს და სამაჯური გაეწოდა. სამაჯური კი არა — საოცრება! მას კიდებზე იშვიათი სილამაზისა და სინატიფის წვრილი, ფაქიზად მოჭრავილი ძაფის ხვეულა გასდევდა.

შუაში კი მომცრო, გემოვნებით შერჩეული ძვირფასი ქვები იყო ჩასმული.

— მე ეს მამის ზარდახშაში ვიპოვე. შეიძლება, კონკურსზე წარვადგინო? — გაუბედავად შეეკითხა გოგონა.

ოსტატმა ხაბიბმა ყურადღებით დაათვალიერა სამაჯური, ლუპიტაც კი გასინჯა და მოგვიანებით თქვა:

— არა, შვილო, ეს უსტა ბახმუდის ნამუშევარი არ არის!

— ნუთუ?! — წაილულულა გოგონამ და გაწითლდა, — თქვენი აზრით, არ ვარგა?

მოხუცმა თავი გააქნია.

— ოსტატის ხელს, რომელმაც ეს სამაჯური გამოქვედა, მყარად უჭირავს საჭრეთელი, ჩემო პატარავ. შენს მამას კი მარჯვენა ხელზე ორი თითი აკლდა — ომში დაკარგა... სწორედ ამიტომ, მის ნამუშევარს ათას სხვაში გამოვარჩევ.

ოსტატმა გოგონას სათვალის ზემოდან გადახედა და დაინახა, რომ ის ძალიან გულნაკლული და აღელვებული იყო.

— ეს ნამდვილი ოსტატის ნაკეთებია. შვილო, შეგიძლია დასტოვო ეს სამაჯური, თვითონ გადაეცემ მას კონკურსისათვის. — უთხრა ქულთუმს მოხუცმა ხაბიბმა.

გოგონა მოხუცის სიტყვებზე აწითლდა და აწრიალდა:

— გავექცი, თორემ სკოლაში დამაგვიანდა, — თქვა მერმე და კარში გავარდა.

ოსტატი ხაბიბი კიდევ დიდხანს დასცქეროდა ბრწყვილა სამაჯურს, ალტაცებისაგან თვალი ვერ მოეშორებინა მისთვის.

კონკურსში გამარჯვებულ ნამუშევართა შორის ის სამაჯურიც იყო. ქულთუმმა რომ მიუტანა მოხუც ხაბიბს. იგი მუზეუმში მოათავსეს და ქვიშ მიაწერეს: „უცნობი ოსტატის ნამუშევარი“.

პრემიის ფული მაინც გარდაცვლილ ბახმუდის ოჯახს მისცეს.

უკვე შუალამე იყო. ხაბიბის ეზოში ელექტრონის შუქზე ისხდნენ და მუსაფობდნენ სოფლის მოხუცები. უცებ საიდანაც ცხენის ფლოქვების ცემის ხმა მოისმა. მალე კი ღამის წყვილადს გახურებულ, უბელო ცხენზე ამხედრებული მანაფი გამოეყო. იგი, ეტყობა რაღაცის სამცნობად მოსულიყო, მღელვარებისაგან სულს ძლივს ითქვამდა.

— გამარჯობათ, ხლხლ... წებით მიესალმა ბიჭი სოფლის უფროსებს. — ბაჭი იბნ ბამმატის აკლდამიდან კვლავ გამოკრთის შუქი... — მაგის გულისათვის მოქანცე ცხენი? — საყვედური უთხრა მამამისმა იუსუფმა, რომელიც იქ მსხდომებში ყველაზე ახალგაზრდა ჩანდა.

— საჭიროდ ჩავთვალეთ, თქვენთვის გვეცნობებია ეს ამბავი, — გაწითლდა ბიჭი — ბავშვებმა დაინახეს, რომ აკლდამაში რომელიღაც ბანჯგვლიანი ცხოველი შევარდა.

— უნდა მისულიყავით და ახლოდან გეთვალთვალათ... მე პირველად არ მესმის, რომ იქ ღამ-ღამობით შუქი ანთია, — თქვა ოსტატმა ხაბიბმა.

— საშიშია, აკი თქვენ თვითონ გვაშინებდით, უფროსები... — წაილულულა მანათმა.

— საშიშია? ტყე-ღრეებში რომ კარგად დაძვრებით, ღამეებს ქვაბებში ათენებთ, ის არ არის საშიში? — ფეხზე წამოდგა იუსუფი, — მე პირველად მესმის რომ იქ ღამ-ღამობით შუქი ანთია. იქნებ შევიდეთ და ვნახოთ, რა ხდება ასეთი? — მიმართა მან იქ მსხდომთ.

— როგორ შეიძლება მიცვალებულთა სულს მყუდროება დავურღვიოთ. — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა კრუმბორწუნე მოხუცმა ალიმ.

— მე კი მჯერა, რომ უნდა შევიდეთ! — მტკიცედ წამოხტა ხაბიბი ნოხიდან.

მას სხვებმაც მიბაძეს, — წავიდეთ, წავიდეთ... —

— შეიძლება მეც წამოვსულიყავი. მაგრამ... — ჩაილულულა თავის-







პ. დობორჯინიძე

კავკასიის მისაღვრობათან

გამომცემლობა „ნაკადულმა“ სერით „ქართველები დიდ სამამულო ომში“ უკვე რამდენიმე წიგნი გამოუშვა. ახლა ამ სერიას მიემატა სამა-



მულო ომის მონაწილის კომანდო დობორჯინიძის ეს წიგნიც. წიგნში აღწერილია 392-ე ქართული დივიზიის მებრძოლების თავგანწირული ბრძოლა ფაშისტების წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში.

წაიკითხეთ ბავშვებო ეს წიგნი და თქვენ კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, როგორი შემართებით, თავგანწირვით იბრძოდნენ თქვენი მამები და პაპები იმისათვის, რომ დღეს თქვენ მშვიდობიანად გეცხოვრათ.

ისააკ ბაბელი

ცხენოსანთა არმია

ისააკ ბაბელი — „ცხენოსანთა არმიის“ „ოდესური მოთხრობებისა“ და სხვათა ავტორი, მზიური ოდესის მკვიდრი, ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელია რუს მწერალთა იმ თაობისა, მშობლიურ ლიტერატურაში მაქსიმ გორკის ხელშეწყობითა და ყოველდღიური მზრუნველობით რომ

დამკვიდრდა. „ცხენოსანთა არმია“ სამოქალაქო ომის უშუალო შთაბეჭდილებებით შექმნილი, უაღრესად თავისებური, პოეტურად დაწერილი მოთხრობების წიგნი ოცინა წლებშია დაწერილი. „ცხენოსანთა არმია“ ლამაზი, მსუბუქი, ლაღი ენით არის თარგმანი მწერალ რევაზ ჯაფარიძის მიერ.

ბ. დოჩანაშვილი

მხიარული გორცვი

ამ მოთხრობების გმირები თითქმის ყველაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან — ასაკით, ხასიათით, ეროვნებით. გოგი კიხირია („ნაბიჯი“) ჯერ ოცი წლისაც არ არის, ბუნებით მორცხვი და უთქმელია: გრიშა („იგი სიყვარულისათვის იყო გაჩენილი, ანუ გრიშა და მთვარე“), ორმოცი წლის მამაკაცია, თამამი და გამოცდილი მოსაუბრე; მაჰმუდ აალი კი („მხიარული ბორცვი“) შუა საუკუნეების სპარსეთში ცხოვრობს, და მაინც, სამივე მოთხრობას ერთი ძირითადი თემა აქვს. ესაა სიკეთე, ხან უკიდურესობამდე გამჭვდავებული, ხან ძნელად ამოსაცნობი, დაფარული...

მოთხრობების ეს კრებული ნიჭიერი ახალგაზრდა პროზაიკოსის მეხამე წიგნია.

ვაჟა ფშაველა

პატარა მწყემსის ფიქრები

დიდყურაანთ პატარა მოჯამაგირე გულში მოსთქვამს თავის დარდს. ჩვენმა დიდმა მგოსანმა ვაჟა-ფშაველამ პატარა მწყემსის ეს უჩუმარი ჩივილი და ფიქრი „მარგალიტად“ აქცია და დიდი სიყვარულით მიუძღვნა ბავშვებს.

„ნაკადულმა“ რამდენჯერმე გამოსცა ეს ძვირფასი წიგნი.

ამ ახალი წიგნის ყდიდან სიღვიძიანი თვალებით შემოგყურებთ მწყემსი თალო და გემუდარებათ: „გადაფურცლეთ წიგნი, ჩემი ფიქრები უნდა გაგიზიაროთ“.

თვის ალიმ, ისე, რომ სხვებს არც კი გაუგონიათ მისი ნათქვამი.

და რომც ვაეგოთ, მაინც ვერავინ მიხვდებოდა, რისი თქმა ეწადა, ან ამ „მაგრამისათვის“ რა უნდა მოეყოლებინა მოხუც ალის.

უკვე ყველანი ჭიშკართან იდგნენ. ალიმ კი თავი სიბნელეს მისცა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. ასევე გაუჩინარდნენ სხვებიც, რომელთაც, იტყობა, ალიზე ნაკლებ არ ეწინოდათ მიცვალებულთა სულებისათვის მყუდროების დარღვევისა.

მხოლოდ მოხუცი ხაბიბი, იუსუფი და რაღა თქმა უნდა, ცხენის სადავეზე ხელჩაკიდებული მანათი გაეშურნენ სასაფლაოსაკენ.

ქვევით, სელეკვერტის ხეობიდან ყრუდ მოისმოდა მდინარის ხმაური. რომელიც ალბათ დუქომოდგარი კდილობდა ქვის ჯებირის ანდა კლდიანი ნაპირის გადაღახვას და ვერ კი გადაელახა.

რაც უფრო ღრმად შეჰყავდათ სასაფლაოს ბილიკებს სამი მამაკაცი, მით უფრო უფრთხებოდა მანათს გული. ცხენი მან სასაფლაოს ლობნესთან მიაბა და ახლა მაგრად ჩაფრენოდა მამამისის ხელს. მოულოდნელად მის ფეხებთან რომელიღაც ლამის ფრინველმა შეიფრთხილა. პიჭმა შიშისაგან კინალამ შეჰყვირა. კიდევ უფრო მაგრად მიეკრა მამას.

აი, შეიხის აკლამაც. ექვის შეტანა არ შეიძლებოდა — კარის ღრიჭოდან წვრილ ზოლად გამოდიოდა მუქი. ხაბიბმა შეაჩერა თანამგზავრები და კარს მიაყურადა. მის სმენამდე გარკვევით, მკაფიოდ აღწევდა ჩაქურჩისცემის წყვეტილი ხმა. მოხუცი ახლოს მივიდა კართან. მერე სხვებიც მოიხმოდ და ჩაქურჩის ხმაზე ანიშნა — ხომ გესმითო.

ახლა იუსუფმა შეიქყიტა ღრიჭოში. სინათლის მბუტბავ მუქზე მან გარკვევით გაარჩია გოგონას სილუეტი, რომელიც დათვის ტყავზე იჯდა. ისიც შენიშნა რომ გოგონას სახე ოფლისაგან დაცვაროდა, ხელებში კი ვერცხლის საგანი უელავდა. ეტყობოდა იგი ფირუზის თვალს სვამდა სამაჯურში.

ეს იყო ქულთუმი — ბახმუდის ქალიშვილი!

ხაბიბი და იუსუფი დიდხანს, მონაცვლეობით უყურებდნენ მას. შემდეგ კი უსიტყვოდ ადგნენ და შეუძინველად გაშორდნენ იქაურობას.

მეორე დილას ყუბაჩის ოქრომკედლობის მუზეუმში უცნობი ოსტატის მშვენიერ სამაჯურს ახალი წარწერა ამშვენებდა: „მოსწავლე ქულთუმის ნამუშევარი“.

თარგმნა მირონ ხარბიანმა.





# დედაბრის ქისა

მუკრან  
ლაბანიძე

პოემა

მხატვარი  
გურამ კლიბაძე

1

პატიოსანი სოვდაგარი,  
 ჰყვებიან არაკს,  
 უპატიოსნოს,  
 თურმე, ერთხელ მიადგა ქალაქს;  
 დასცა ბანაკი,  
 მაგრამ სტყუის, ალბათ, არაკი,  
 უპატიოსნო  
 ვის უნახავს მთელი ქალაქი!  
 ქალაქს მშვენიერს,  
 კეთილშენ და დიდებულ ქალაქს  
 ზოგჯერ უღირსი  
 მოქალაქის სიგლახე ბლაღავს;  
 ამგვარად ხდება  
 ჩვენს არაკშიც, მკითხველო ჩემო,  
 ამას ვნახავთ და  
 დაფრწმუნდებით ამაში ქვემოთ;  
 ჯერ კი... სჯობს მიყვებით  
 არაკს, როგორც გაკვალულ შარას:  
 პატიოსანი  
 სოვდაგარი მიადგა ქალაქს;  
 შეჭამებოდა,  
 მოშივნოდა დადლილ ქარავანს,  
 შიგ არ შესულა,

მიაყენა ხალხი გალავანს,  
 დასცა ბანაკი,  
 შეაფარა კარვები ჭალაკს,  
 ახრამუნებდნენ  
 აქლემები თივას და ჩალას,  
 ხოლო შიოდა  
 სოვდაგარს და მის ხალხს შიოდა,  
 თვით სოვდაგარი  
 თავის შიმშილს არა სჩიოდა,  
 მაგრამ წინამძღვრის  
 რაკი მრევლზე წესია ზრუნვა,  
 სურსათისათვის  
 ქოსს მახლობელს ეწვია უმალ;  
 გამოიხედა  
 დედაბერმა თავის ქოსიდან  
 და თითო დრაჰმად  
 ოცი კვერცხი უცნობს მოჰყიდა.  
 — ხომ მოხარშული  
 არის კვერცხი? — დედაბერს ჰკითხა.  
 — კი, შვილო ჩემო! —  
 მოკლე იყო დედაბრის სიტყვა.  
 — ხომ კარგად არის  
 მოხარშული?! — ხელახლა ჰკითხა.  
 — კი, შვილო ჩემო!  
 მაგრამ უცხო შემკრთალი იდგა.

ჭრელი ხურჯინი  
 გადაჰკიდა ქოსმანის  
 იდგა შემკრთალი  
 და ამაოდ იხსრედა ჯიბეს —  
 ქისა ბანაკში  
 დარჩენოდა. მოხუცმა ჭრაქი  
 უფელ მინათა  
 და ატლასი შენიშნა რაკი,  
 მდიდარს მდიდრული  
 რა შენიშნა ტანზე ზიზია,  
 უთხრა საჩქაროდ:  
 — წაიღეთ, შვილო, ნისიად...  
 უცხოს ეგონა,  
 მოხუცს გულში სიკეთე ენთო,  
 ხოლო მოხუცი —  
 კაცს კი არა, ტანსაცმელს ენდო.  
 უცხოს ეგონა,  
 მიმილოო თუმცა ღარიბად,  
 მაინც მენდოო,  
 და ეს ღირდა გასახარებლად.  
 სულში — ტოროლით  
 და გულში — მერცხლით,  
 სიკეთის რწმენით  
 და ხურჯინში იმ ოცი კვერცხით —  
 იყო ვახშობა  
 და კარგა ხნის დადამებული —  
 შინ ბრუნდებოდა  
 სოვდაგარი გახარებული.  
 იმ ღამეს კაცურ  
 სიკეთისა იწამა ბევრი,  
 იმ ღამეს კვერცხით  
 დააპურა თავისი მრევლი.  
 ხოლო დილისკენ  
 ცაზე ღრუბლის გამოჩნდა ჯარი,  
 დაჰბერა ქარმა,  
 ქარაშოტი ამოტყდა ჩქარი,  
 უცბად, გრიგალმა  
 გადუარა სოვდაგრის ბანაკს,  
 მიჰფინ-მოჰფინა  
 კარვები და ეძგერა ქალაქს.



სადაც არა სჯობს,  
გაცლა სჯობსო, აჩქარდა მაშინ  
სოფდაგარი და  
წინ გაუძღვა ქარავანს ქარში;  
შებრუნდა სწრაფად,  
სახიფათოს უგანა ალაგს,  
სულ სხვა ქვეყანას  
მიაშურა და სულ სხვა ქალაქს;  
ველარ მოასწრო  
უნებლიეთ დედაბრის ნახვა  
და ბებრის ვალი  
უჩინმაჩინ ქვეყნებში გაჰყვა.

• • •

მიირხეოდა  
ქარავანი სამხრეთის მზეში,  
მიირწეოდნენ  
აქლემები უდაბნოს მტვერში;  
მიჰქონდათ სტაგრა,  
აბრეშუმში, ფირუზში, ლალი,  
სპარსული ხალი,  
ხვარაზმული შალი და რვალი.  
სურნელოვანი  
დამასკური ყალიფებით პირში  
ჯდა ორ კუშშუა  
სოფდაგარი ტახტრევენის ჩრდილში.  
პატიოსანი,  
როგორც ითქვა, ის იყო ნაღდად,  
მაგრამ ამასთან  
უმდიდრესიც ნამდვილად გახლდათ.  
და გაუშტერდა  
გულ ჩაწყვეტილს ანაზღად თვალი —  
ცხრა დღის სავალზე  
გაახსენდა დედაბრის ვალი,  
დედაბრის ვალი —  
არა ოქრო მრავალჯერ ასი,  
სულ ოცი დრაჰმა —  
ოცი კვერცხის საბრალო ფასი.  
და შემოიკრა  
უცბად შუბლში სიმწრისგან ხელი,  
„სდექო!“ — ბრძანა და  
დასცეს უმაღ ბანაკი ჭრელი.  
უხმო კარავში  
შევირდებეს და მსახურებს თვისას,  
უთხრა: ძმანო და  
შვილნო ჩემნო, რაც მოხდა, მტრისას!  
მოგეხსენებათ,  
რომ ღირსებით არც თუ ძირსა ვართ,  
არ გვივლია და  
გვივაჭრნია ქვეყნად პირშავად!  
ხოლო ამჯერად  
საქმე გვიყო გრიგალმა ავი:  
უცხო ქალაქში,  
უცხო ქვეყნად მოგვეჭრა თავი.  
ღმერთმა ხომ იცის,  
ამ ცოდვაში არ მიდევს ბრალი,  
მაგრამ ფაქტია,  
რომ დამედო დედაბრის ვალი.  
ახლა ან უნდა  
ცოდო-ბრალი ბებრისა ვზიდო,  
ან სხვა გავგზავნო,  
ან დავბრუნდე ბებერთან თვითონ  
აქ მოდი, ბიჭო! —

კარვის გამშლელს უბრძანა თვისას, —  
„ხანდუკი გახსენე,  
შევარჩიოთ ბებრისთვის ქისა! —  
და ხალხს მიმართა:  
— ვალს მივართმევე დედაბერს როსმე,  
დაგვიანებით.  
მაგრამ თქვენ ხართ სიკეთის მოწმე,  
სინიღისს ვფიცავ,  
ვასარგებლო ალაჰის ძალით,  
ფულად ვაქციო  
ოცი დრაჰმა — დედაბრის ვალი.  
არ დაეკარგვის  
ოცი დრაჰმა დედაბერს არსად,  
ოცი — სამოცად  
და სამოცი — ექვცევა ასად.  
სიკეთე გვიყო,  
გაიხაროს კეთილმა გულმა,  
ჩვენს დიდ საქმეში  
დე იბრუნოს პაწია ფულმაც! —  
თქვა ეს და ყმაწვილს,  
ეგ არაო, ნიშანი მისცა,  
ჰო, ისა სჯობსო,  
ჩამოართვა ტურფა რამ ქისა.  
და, როგორც სოფლად  
კვერცხისმდებელ — ჯიშთან დედალს  
ჩელტს მოუწნავენ,  
საბუდარში კვერცხია, ხედავს —  
პირველი კვერცხი,  
რათა იმ კვერცხს სხვა კვერცხი მოჰყვეს.  
რათა მოკრუხდეს  
და წიწილი ქვრივსა და ოხერს  
გამოუჩიკოს  
და ქონება უქციოს ასად,  
ასევე ჩვენმა სოფდაგარმაც  
იმ კვერცხის მსგავსად,  
თვისი ქისიდან  
ოცი დრაჰმა, როგორც რამ ჯადო,  
ამოიღო და  
იმ დედაბრის ქისაში ჩადო.

2

ამრიგად გაჩნდა  
ქვეყანაზე დედაბრის ქისა  
და იმ ოც დრაჰმას,  
ალბათ, თვალი დაადგა ღვთისა,  
რომ ჯერ ორმოცად,  
მერე მალე იქცა სამოცად,  
ფერი იცვალა  
ნუგბარ ხილად, ტანისამოსად,  
ორი წლის თავზე  
სამკაულად იქცა ლამაზად,  
სამი წლის თავზე —  
ისევ დრაჰმად, ოღონდ სამასად.  
მიირხეოდა  
ქარავანი სამხრეთის მზეში,  
მიირწეოდნენ  
აქლემები უდაბნოს მტვერში.  
ჯდა ორ კუშშუა  
დამასკური ყალიფებით პირში  
პატიოსანი  
სოფდაგარი ტახტრევენის ჩრდილში;  
გაიხსენებდა  
კეთილ მოხუცს მოწყენით ხშირად —

უკვე ათასი  
დრაჰმა ედო დედაბრის წილად,  
ამოიღებდა  
დამძიმებულ ხატულა ქისას,  
იყოლა ვარსკვლავთ  
მიმოქცევა, მთვარის და მზისა,  
გამოითვლიდა  
წლებს და გულში იტყოდა სევდით:  
„იქნებ ცოცხალიც  
ალარა ხარ, საბრალო დედი!“  
იტყოდა: „მინც  
რაოდენი ჩავლილა წყალი —  
ვერა და ვერა,  
ვერ მოგართვი სარგებლით ვალი!“  
იტყოდა: „ალბათ,  
შეგეწევა როსმე ალაჰი,



შენც გაგახარო,  
მოვიხილო შენი ქალაქიც“...  
მიირხეოდა  
ქარავანი სამხრეთის მზეში,  
მიირწეოდნენ  
აქლემები უდაბნოს მტვერში;  
ახლა ხომალდი  
დასავლისკენ მიჰქროდა მალი,  
მიჰქონდა სტაგრა,  
აბრეშუმში, ლალი და რვალი.  
ბაღდადს და ქაბულს,  
რომს და სტამბულს, პარიზს და პიზას —  
ცოტ-ცოტა ყველგან  
შეემატა დედაბრის ქისას.  
და ჰა, რა ხდება,  
ეს რა ხდება ოცი წლის თავზე?!

უახლოვდება  
 ნაცნობ ქალაქს სტამბულის გზაზე;  
 ოცი წლის თავზე  
 ისევ ისე ბრწყინავს ქალაქი,  
 აბა, ქალაქი,  
 სადაც დასცა წინათ ბანაკი;  
 აბა, ის ქოხიც,  
 ოც წელიწადს ცხადად თუ ძილში  
 თვალწინ რომ ედგა  
 მიყუქული გალავნის ჩრდილში...  
 არ დაელოდა  
 სოვდაგარი კარვების გაშლას,  
 არ დავიწყინა  
 ჭრელი ქისა ამჯერად ვაჟაკს;  
 მიუახლოვდა  
 გულისტგერით ქოხმახის სარკმელს,  
 მიუკაკუნა  
 კარს და ძებნა დაუწყო სათქმელს.  
 დაიჭრიალა  
 ქოხში ტახტმა, გაისმა ხველა:  
 — მანდ რომელი ხარ? —  
 ქოხის კარი გაიღო ნელა;  
 გამოიხედა  
 დედაბერმა თავის ქოხიდან, —  
 ოცი წლის წინათ  
 ვინც ნისიად კვერცხი მოჰყიდა;  
 და უთხრა მოხუცს  
 სოვდაგარმა: — „სალამი, დედი!  
 შენი არ ვიცი,  
 მე კი ნაღდად მქონია ბედი!  
 აბა, თუ მიცნობ?  
 გახარება შენი მწაფიან,  
 ამ წუთს ველოდი,  
 მთელი ოცი წელიწადია.  
 მე ის გახლავარ,  
 ვისაც შენი სწყუროდა ნახვა  
 და ოცი დრაჰმა  
 მაინც შენი ნისია გაჰყვა.  
 მაგრამ გარწმუნებ,

შენზე ფიქრი არ მასვენებდა,  
 ეს ჭრელი ქისა  
 ყველგან ნენს თავს გამახსენებდა.  
 სად არ ვიყავი:  
 ბაღდადს, სტამბულს, რომსა თუ პიზას,  
 ცოტ-ცოტა ყველგან  
 მივუმატე შენს კუთვნილ ქისას,  
 და პა, გიჩრდილო,  
 შენთვის დაფნის შტო მიმტვრევია —  
 ათას ხუთასი,  
 ოცის ნაცვლად, მომირთმევია“...  
 და სოვდაგარმა  
 გულზე ხელი მიიღო მკვირცხლად  
 და მდაბლად თავი  
 დაუხარა მადლობის ნიშნად;  
 მაგრამ დედაბერს  
 ფერი ედო სახეზე მგლისა;  
 — „ახ, შენ ისა ხარ?  
 ის ბრძანდები? შენა ხარ ისა,  
 პატივი გეცი,  
 გაგიმართე რომელსაც ხელი,  
 ოცი წელია,  
 პირმერცხვენილს რომელსაც გელი?!  
 ახლა კიდევაც  
 თავი მოგაქვს ხელგაშლილ კაცად:  
 ათას ხუთასი  
 მოგართვით იმ ოცის ნაცვლად!  
 იცის ქვეყანამ,  
 იცის ყადიმ, და იცის ხალხმა,  
 ოცი ათასი  
 სუფთად გმართებს ქვრივ-ოხრის  
 დრაჰმა!“  
 — „რაო, რამდენი? —  
 ჩვენს სოვდაგარს გაუშრა სიტყვა, —  
 გამიმეორე,  
 თუ ღმერთი გწამს, ხელახლა მითხარ!“  
 — „ოცი ათასი  
 დრაჰმა-მეთქი! ხომ არ დაყრუვდი?!  
 დაყრუებული

ზღვისგალმიდან ხომ არ დაბრუნდი?  
 — „ოცი ათასი დრაჰმა მმართებს? —  
 ხელახლა ჰკითხა, —  
 ეგ რანაირად?  
 ამისხენ და გარკვევით მითხარ!“  
 — „ყადი აგიხსნის!  
 სამართალი ყადისთან ვნახოთ!“ —  
 თქვა დედაბერმა,  
 ფლოსტებს წასწვდა, შიგ ფეხი წაჰყო,  
 შებრუნდა ცქაჟად,  
 გაოგნებულს ზურგი აქცია  
 და მოსამართლის  
 სასახლისკენ ცეკვით გასწია.

3

გაოცებული  
 სოვდაგარი მიენდო ალაჰს,  
 არ გაარიდა  
 ქარავანი შარიან ქალაქს;  
 გალავანშიგნით  
 შეიყვანა, პირიქით, ხალხი,  
 დააბინავა  
 ქარვასლეგში დიდი თუ ბალღი;  
 სავაჭროებში  
 გამოფინა დიბა თუ სტავრა  
 და ის-ის იყო,  
 დააპირა ყადისთან გავლა,  
 რომ, ნაწყენსა და  
 გაოგნებულს უცხო დარდიგან,  
 კაცი ეწვია  
 მოგზავნილი თვითონ ყადისგან.  
 არა, სოვდაგარს  
 ჩვენსას შიში არ ჰქონდა ყადის,  
 ოცი ათასის,  
 არც ორმოცის არ ჰქონდა დარდი;  
 სწამდა კეთილი  
 და სიკეთე მშვენებით სრული,  
 ადამიანურ  
 სიგლახეზე სტიკოდა გული;  
 ეახლა ყადის,  
 ყადი იჯდა ნოხზე ყადივით;  
 მაგრამ მიიღო  
 სოვდაგარი დიდის პატივით;  
 უთხრა: — „გვსმენია  
 თქვენი ნიჭის, თქვენი გონების,  
 თქვენი ღირსების  
 და ურიცხვი თქვენი ქონების;  
 მაგრამ აქ მაინც  
 მოგვიხდება გარჩევა საქმის —  
 ოცი ათასის  
 რომელიღაც წყვეული დრაჰმის.  
 ყადი მდივანბეგს  
 მიუბრუნდა: — „უხმე დედაბერს,  
 გაგვარკვევს თვითონ,  
 მომჩივანი გვეტყვის ყველაფერს.“  
 შემოფლატუნდა  
 დედაბერი დარბაზში წამსვე,  
 და მომჩივანი  
 მოპასუსის პირისპირ დასვეს.  
 — „მაშ, ასე! — ყადიმ  
 მიმოავლო თვალეზი სარკმელს, —  
 შევფიცოთ ალაჰს  
 და შევუდგეთ სამართლის საქმეს!“



ალაპისადმი  
ჩამოთავდა ფიცი და მტკიცე  
და ბრძანა ყადიმ:  
— „რამდენადაც საქმისგან ვიცით,  
ზოგადად ვიტყვი,  
არ ჩამოვთვლით წვრილმანებს წვრილად;  
მომჩივანისგან  
მოპასუხეს ოცი წლის წინათ  
ოცი ათასი  
აუღია როგორღაც ვალი,  
მერმე წასულა,  
დაკარგულა მსესხებლის კვალი,  
ოცი წლის შემდეგ... —  
ყადიმ წარბი შეპყარა მკაცრად, —  
ასე არ არის?  
ათას ხუთასს სთავაზობს ნაცვლად“.  
— „აჰ, აგრე არა!“ —  
შეიშმუნა ფეხმორთხმით მჯდარი  
დედაბერი და  
უხერხულად აწურა მხარი.  
— „მთლად აგრე არა!“ —  
მდივანბეგმაც ჩაურთო სიტყვა.  
— „აბა, მაშ, როგორ?!“ —  
ყადიმ ყურში რალაცა ჰკითხა.  
ახლა თვით ყადის  
მდივანბეგმა დაადო ტური  
ყურისძირზე და  
ჩუმად რალაც გაანდო ყურში.  
ბატონი ყადი  
გულმოსული როგორღაც ჩანდა —  
ჩაიბურტყუნა  
და მდივანბეგს თვალეებით ჭამდა.  
და ბრძანა მკვახელ:  
— „როგორც სხვაგან, ისე ჩვენშიაც,  
ჯერ მომჩივანმა  
საჩივარი აღძრას, წესია,  
და შემდეგ, როცა  
მოპასუხე საქმეს განმარტავს,  
დიდ არს ალაპი,  
გვიკარნახებს თავის სამართალს“.  
მაშინ კაპასად  
ჩაახველა ფეხმორთხმით მჯდარმა  
დედაბერმა და  
გაისწორა თავსაფრის ნარმა;  
სოვდაგარს — „ეჰო!“ —  
ოხვრის ერთი წკებლა აკმარა  
და სხაპასხუბით  
თავის საქმეს მოჰყვა ამგვარად:  
— „ერთი უბირი  
ქალი ვარ და ჩემს ღარიბ სიტყვას  
არ გაავაგრძელებ,  
მდივანბეგო, თქვენთვისაც მითქვამს,  
რომ ამ ვაჟბატონს,  
რომელიცა თავს ალად სახავს,  
თუ რამ ვასესხეთ,  
ოც წელიწადს კაცი ვერ ნახავს.  
ოცი წლის წინათ  
ოცი კვერცხი ნისიად ვანდე —  
ოცი წელია,  
ზუსტად ოცი იმ დღიდან დღემდე —  
წავიდა, ურცხვად  
თან წაიღო დედაბრის ვალი,  
ოცი წელია,  
გამიწყალდა ლოდინით თვალთ.“



ახლა არ მითხრათ,  
ოცი კვერცხი ოც დრაჰმად ღირსო,  
ეგ კი არა და,  
მგონი, ოცად გაყიდვაც ჭირსო!  
მე რომ ამელო  
(არ გავცემდი ნისიად თუკი),  
და იმ ოც კვერცხზე  
იმ წელიწადს დამესვა კრუხი,  
ოცივ წიწილას,  
რა თქმა უნდა, გაზრდას ვაცლიდი,  
თხუთმეტს თუ არა,  
კვერცხისმდეგელს ათს ხომ გავზრდიდი?!  
შემდეგ წელიწადს  
ოც-ოც კვერცხზე იმ ათს დავსვამდი,  
შევიმატებდი,  
კვერცხისმდეგელს რიცხვით ასამდი,  
მესამე წლიდან  
ამაზე მეტს არ ვინდომებდი,  
ასს გაყვიდიდი,  
ათს საჯიშედ დავიტოვებდი,  
მეოთხე წელსაც  
არც შამფურს და არც მწვადს დავწვავდი:  
ასს გაყვიდიდი,  
ათს კვლავ ოც-ოც კვერცხზე დავსვამდი;  
ასე, ამრიგად,  
ანგარიში ვინც იცის, ხედავს,  
ოც წელიწადში  
ათას ცხრაას გავზრდიდი დედალს;  
აქ არ იფიქროთ,  
არ მესმოდეს ბაჟის და ხარჯის:  
მამასახლისის,  
მდივანბეგის, ყადის თუ ჩარჩის!

ცხრაასი ჭირსაც წაუღია —  
ჩავთვალთ ხარჯად!  
ერთი ათასი  
დედალი ხომ მოგებად დარჩა!  
ხოლო თუ ათასს  
დედლის ფასად — ოც დრაჰმა ფულად —  
გადავამრავლებთ,  
ოცი ათას მივიღებთ სრულად;  
ასე რომ, თქვენი სოვდაგარი  
ოც ათასს მართმევს —  
ოცი ათასი,  
ზუსტად ოცი, ბებრისა მართებს.  
სულთანთან წავალ,  
არ დავთმობ და არ გავჩერდები,  
არამც და არამც  
ოცზე ნაკლებს არ დავჯერდები!“ —  
აქ დედაბერმა  
კოხტად თავი დაუკრა ყადის,  
გაჩუმდა უცბად  
და წირთლი დაუსვა ქადილს;  
ყადიმ მდივანბეგს  
გადახვდა — თვალეებით ითქვა —  
ამჟამა იყო,  
მოეწონათ დედაბრის სიტყვა;  
სიამოვნებით  
გააბოლა ყადიმ თუთუნი,  
ისევე ასტეხეს  
ჩურჩული და ყალბი პუტუნი;  
ერთიმეორეს  
ყურისძირში დაადეს ტური,  
ერთიმეორეს  
ისევე რალაც გაანდეს ყურში...  
თვალე შევალთ  
სოვდაგარმა ამ მზაკვრებს ნამდვილს:  
ტურა მდივანბეგს,  
სინდისისგან გარეცხილ ყადის,  
და მიხვდა უმალ,  
სამართალი მზაკვრების ხელში  
ჩავარდნილიყო;  
ჩაჰყო თავის ქისაში პეშვი,  
ოცი ათასი  
გადათვალა უსიტყვოდ დრაჰმა,  
ჩაფიქრდა, როგორ:  
ხელუკულმა სჯობდა თუ წაღმა  
ზედ მიეყარა  
გლახებისთვის ცხვირ-პირში ფული  
რომ, სწორედ ამ დროს  
კარში ფრთხილად შემოყო ყური  
მსახურმა ბიჭმა,  
გამოხვდა ყადის აცადა  
და „ბარათო...“  
სოვდაგარისთვის... — გამოაცხადა.  
„ალას მიართვი!“ —  
ყადიმ მსახურს უბრძანა ტკბილად  
თან „ვისგან არის?“ —  
სხვათა შორის იკითხა ფრთხილად.  
ოცი ათასი  
დრაჰმა გვერდით მოიწყო წყნარად  
სოვდაგარმა და  
ჩააცქერდა საჩქაროდ ბარათს.  
„ამის დამწერი  
მდივანბეგის ცოლებთან გახლდათ  
დღეს, ყური მოჰკრა,  
ოცი ათასს დაჰკარგავ ნაღდად.“



ვერ გაეგო შეკითხვის აზრი.  
— მერე და, განა  
მოხარშული არ იყო კვერცხი?!  
ეს კაცი შემშლის! —  
წაეკიდა დედაბერს ცეცხლი.  
— მაგას ვინ ამბობს?!  
მაგრამ მაინც, თუ გახსოვს, იმ დღეს,  
„ხომ კარგად ხარშე  
კვერცხი-მეთქი?“ — ესეცა გკითხე!  
— მტყუანს და მართალს  
უფლის თვალი უტყუვრად არჩევს!  
ალაპ, მოწმე ხარ,  
მთელი ერთი საათი ვხარშე! —  
— მაშ, მოხარშული  
იყო კვერცხი? — ხელახლა ჰკითხა.  
— ეს კაცი შემშლის! —  
თქვა ბებერმა, — რამდენჯერ გითხრა!  
ფეხზე წამოდგა  
სოვდაგარი საჩქაროდ მაშინ



და გაიქნია  
სოვდაგარმა ბიჭისკენ ხელი  
და ბიჭისაკენ  
რადაც მიიმედ გაფრინდა ტრელი;  
შეერთა ბიჭი და  
უნებლიეთ მკლავი გაშალა,  
ნასროლს მიწაზე  
დანარცხება აღარ აცალა,  
სტაცა ხელი და  
მუჭში სხივმა ინათა მზისამ —  
ყაყაროსავით  
ხელში შერჩა დედაბრის ქისა.  
— ეგ არ გეწყინოს! —  
უთხრა ყმაწვილს, — მიიღე ძმურად!  
სიკეთეს კაცურს  
ვერ ვიყიდით ვერაფერ ფულად!  
და საზღაური  
სიკეთისა, მე გეტყვი მართალს,  
სხვა არც არსებობს —  
თვითონ დიდი სიკეთის გარდა!  
ღმერთს შენთვის  
ჭკუა მოუცია — კარგია მეტად —  
მაგრამ სინდისიც  
მოუცია, ჭკუსთან ერთად!  
გასწი, იზარდე,  
შვილო ჩემო, იარე ასე  
სინდის-ნამუსის,  
სიმამაცის, სიკეთის გზაზე!  
თქვა და შებრუნდა,  
სამი კაცი უმძრახად დახვდა,  
კარს მიაშურა  
და სამივე დასტოვა სახტად.



სინდის-ნამუსი  
ჩვენს ქალაქში ნაკლებად გადის.  
ჯობნას გიპირებს  
დედაბერი — ქრთამს აძლევს ყადის.  
მაგრამ მე აქ ვარ,  
თუ დაგჭირდეს, სიმართლის ყმა ვარ  
ყადის ფანჯრის წინ  
მოედანზე სახედრით ვდგავარ.  
მემაწვინე ბიჭი  
გწერს ამ წერილს, გაფრთხილდი ალაც,  
ქვემოთ ლექსია, —  
ჩააკვირდი, სარგებელს ნახავ!..“  
საკუთრივ წერილს  
კითხულობდა როგორც კუმტად,  
ლექსზე კი სახე  
გაუბრწყინდა სოვდაგარს უცბად,  
თავი აიღო,  
გაეცინა უმალ გიჟივით  
და უთხრა ყადის:  
„ვიხდი სრულად, რასაც მიჩივით!  
ოღონდ ვაცხადებ,  
რომ სხვაობა ძალზე დიდია  
ორ პასუხს შუა,  
და პასუხზე ბევრი ჰკიდია:  
ახსოვს თუ არა  
ჩემს მომჩივანს, ყიდვისას იმ დღეს,  
„ხომ მოხარშული  
არის — მეთქი?“ — კვერცხზე რომ  
გკითხე?  
ყადის, მდივანბეგს,  
თვითონ ბებერს ყელს სჭრიდა ხანჯლით  
და მაინც ვერცერთს

და თქვა სიცილით:  
— უფლის ხელით ამას გეწერს ბავშვი...  
მემაწვინე ბიჭის  
მოწერილი წიგნი გაშალა  
და არამზადებს  
ლექსთან ერთად ჭკუაც ასწავლა:  
„არ გაიწვრთნება არწივი  
არამც და არამც მერცხლისგან!  
ხმალი არ გაიჭედება  
არამც და არამც ვერცხლისგან!  
ვერც კრუხი წიწილს გამოჩეკს,  
ძმაო, მოხარშულ კვერცხისგან!“  
ეს თქვა და  
უმალ მოიწყინა დედაბრის ხალხმა!  
ოცი ათასი  
ჩააბრუნა ქისაში დრაჰმა;  
დედაბრის ქისას, —  
არა ვერცხლი მრავალჯერ ასი, —  
სულ ოცი დრაჰმა, —  
ოცი კვერცხის მოაკლო ფასი;  
ის ოცი დრაჰმა  
წინ დაუწყო მზაკვრების ბანდას;  
სარკმელთან მიდგა —  
მოედანზე მემაწვინე ჩანდა;  
— ეი, ჭაბუკო,  
აქეთ მოდექ! — გასძახა ყმაწვილს,  
თვალი შეავლო  
მემაწვინემდე სიფრთხილით მანძილს,

# ბენიოსი... დაბნეობა

ვისაც ფიზიკა უსწავლია, მან უთუოდ იცის, რომ ელექტროდენის ძალა ამპერებით იზომება, ესე იგი ამპერი ელექტროდენის ძალის საზომი ერთეულია; ეკოლინება ისიც, რომ ამ ერთეულს ამპერი ეწოდება სახელგანთქმული ფიზიკოსის ანდრე ამპერის პატივსაცემად.

ანდრე მარი ამპერი (1775—1836) ფიზიკოსი და მათემატიკოსი იყო. მან პირველმა შეისწავლა დენიანი გამტარების მექანიკური ურთიერთობა და სხვა ელექტრომაგნიტური მოვლენები, რომლებიც დღეს საფუძვლად უდევს მრავალ მექანიზმს, ავტომატს და მოწყობილობას.

აი, სწორედ ამ სახელგანთქმული მეცნიერის საინტერესო ცხოვრების ერთი ეპიზოდი გვინდა გიამბოთ.

— ანდრე! სადა ხარ?  
დომინიკა არაგო ამაოდ ელოდა პასუხს.

— მამა ალბათ ლაბორატორიაშია, — თქვა ალბინამ. — როცა რაიმე ექსპერიმენტს ატარებს, არაფერი ესმის და არც ამჩნევს რა ხდება მის გარშემო.

არაგომ კიბე აირბინა. ლაბორატორიის კარები ოდნავ ღრიალოდ იყო დარჩენილი.

ანდრე ამპერი ფანჯარასთან იჯდა, ხელში რაღაც ხელსაწყო ეჭირა და ყურადღებით ათვალიერებდა. როგორც კი მეგობარი შენიშნა, თავი დაუქნია და სხვა ხელსაწყო მისწვდა. იგი რომელიღაც გაზუმზე ატარებდა ცდას.

არაგოს არ სწყენია მეგობრის ასეთი, ერთი შეხედვით გულცივი დახვედრა. იგი იქვე მდგარ სავარძელში ჩაჯდა.

— ანდრე, ხვალ მეცნიერებათა აკადემიაში უნდა მოხვიდე. არ ინანებ. იქ ძალზე საინტერესო რამ მოხდება.

ამპერი, თითქოს ახლა გამოფხიზლდაო, გაკვირვებით მიაჩერდა დომინიკას.

— როგორ, შენ უკვე ჩამოხვედი შენევიდან?

— რაკი აქ ვზივარ, მაშასადამე, ჩამოვედი. მე შენ საინტერესო ამბავი მოგიტანე. ხვალ აკადემიაში ერსტედი თავისი აღმოჩენის დემონსტრირებას მოახდენს.

— ერსტედი? დანიელი ფიზიკოსი, არა? ის ახლა ჟენევაშია? — დაბნეული კითხულობდა ამპერი და კვლავ ხელსაწყოს აკვირდებოდა.

არაგომ არაფერი უპასუხა. მიხვდა, რომ ამპერი თითქმის არ უსმენდა მას. ამპერმა ღიმილით შეხედა მეგობარს და ბოდიში მოუხადა:

— მაპატიე, ყურადღებით ვერ გისმენ.



მენ... ბოლოს და ბოლოს, რას მიაღწია დანიელმა ერსტედმა?

— არა, მე დღეს არაფერს გეტყვი, სჯობს ხვალ შენი თვალით ნახო. აი, შეხედე, მაგიდაზე გიწერ ხვალინდელ დღეს: 1820 წლის 11 სექტემბერი.

პატარა დარბაზში, რომელიც ექსპერიმენტების საჩვენებლად იყო განკუთვნილი, უკვე მრავალ მეცნიერს მოეყარა თავი, მაგრამ დომინიკა არაგო არ ჩქარობდა. ის მაგიდასთან იდგა და კარისკენ იყურებოდა. მოვა თუ არ მოვა ანდრე? სახელგანთქმული მეცნიერი ხომ მეტად დაბნეული კაცი იყო. ერთხელ, ლექციაზე რომ მიიჩქაროდა, მდინარე სენის ნაპირზე ლამაზი ფორმის კენჭი აიღო ხელში. უცებ, ლექცია გააჩნდა. ჯიბიდან საათი ამოიღო და დახვდა. მერე კენჭი ჯიბეში ჩაიღო, ხოლო საათი მდინარეში ისროლა.

მეორედ ასეთი ამბავი შეემთხვა: აკადემიაში რომელიღაც მოხსენებებს მოსმენდა და ჩვეულებრივ მისთვის განკუთვნილ სკამზე უცხო პიროვნება დახვდა. ამპერმა ბოდიში მოუხადა უცნობს და ხელით ანიშნა სხვა სკამზე გადამჯდარიყო.

— იგი ერთადერთი ფრანგი აღმოჩნდა, რომელმაც ამ ადამიანში ვერ შეიცნო იმპერატორი ნაპოლეონ ბონაპარტი...

ჰოდა, არაგოს ახლაც აფიქრებდა მეგობრის დაბნეულობა. მაგრამ აი, კარი გაიღო და ამპერიც გამოჩნდა. იგი მაგიდის ახლოს ჩამოჯდა.

დომინიკამ დაიწყო:


— პატივცემულო კოლეგებო! ცდა, რომელსაც მე გაჩვენებთ, შეეხება მაგნიტიზმის მოვლენას. ყოველ ჩვენგანს მოეხსენება, რომ არსებობს რაღაც კავშირი მაგნიტურ და ელექტრულ ძალებს შორის. მაგრამ ჩვენ კიდევ არ ვიცით, რაში გამოიხატება ეს კავშირი. ცნობილია, რომ მეხმა, რომელიც შარშან გემ „პრინც ალბერტს“ დაეცა, ყველა სამი მაგნიტი ისე განამაგნიტა, ერთი მათგანი ჩრდილოეთ პოლუსს სამხრეთისკენ აჩვენებდა, ხოლო ორი მაგნიტი — დასავლეთისკენ. ისიც ვიცით, რომ მეხი, რომელიც პარიზში ბატონ დიუფელის მალაზიას დაეცა, დანებით სავსე ყუთს მოხვდა და ძლიერ დაამაგნიტა ისინი. ყველაფერი ეს ვიცით, მაგრამ ვერავინ შესძლო ექსპერიმენტული გზით შეეცვალა მაგნიტური ისრის მიმართულება, როგორც ეს მეხმა მოახდინა გემზე. მით უმეტეს, ვერავინ ახსნა მაგნიტური მოვლენების მიზეზები.

არაგო ერთ წუთს შეჩერდა და წყალი მოსვა, თან ამპერს შეხედა. იგი ყურადღებით უსმენდა. ამან დაამშვიდა არაგო. თუმცა დარბაზში ბევრი მეცნიერი იჯდა, მან კარგად იცოდა, რომ მის მეგობარზე ძლიერ არაგინ იყო ყოველმხრივ განათლებული.

— მოვლენა, რომელსაც ახლა გიჩვენებთ, — განაგრძობდა არაგო, — თვალნათლივ ადასტურებს ელექტრო და მაგნიტური ძალების ურთიერთშეგავლენას. ეს ურთიერთშეგავლენა შემთხვევით აღმოაჩინა პატივცემულმა დანიელმა კოლეგამ პროფესორმა ჰანს ერსტედმა.

აბა, დააკვირდი. მაგიდაზე გააქვს ვოლტას ბატარეა, დენის წრედი გახსნილია. სადენებს ვაწყობ მაგიდაზე, ერთ მათგანს მაგნიტური ისრის პარალელურად ვდებ. ყურადღება მიაქციეთ ისარს.

— ყველაფერი რიგზეა: ისრის ერთი ბოლო ჩრდილოეთს აჩვენებს. ჯერჯერობით არაფერი არ არის განსაკუთრებული, — შენიშნა ამპერის გვერდით მჯდომმა გამხდარმა მოხუცმა.



— მართალი ბრძანდებით, — მიუ-  
გო დომინიკამ. — ახლა უყურეთ, ჩაე-  
რთავ წრედს და სადენში დენი გაიე-  
ლის.

არაგომ წრედი შეკრა და იმავე წუთს  
ყველამ მოულოდნელობისაგან შეპყვი-  
რა, — კომპასის ისარი მკვეთრად გა-  
დაიხარა მარცხნივ.

— ეს შეუძლებელია! იქნებ თქვენ  
კომპასი გაანძობით? — იკითხა ალელ-  
ვებულმა წვევროსანმა მეცნიერმა. ამპე-  
რიც განცვიფრდა.

— თუ თქვენ გგონიათ, რომ კომპასი  
გაეანძობი, შეგიძლიათ მობრძანდეთ და  
კომპასს ხელი მოჰკიდოთ, — თქვა  
არაგომ.

წვევროსანი მეცნიერი კომპასს მივარ-  
და არაგომ ისევე ჩართო დენი. მაგნი-  
ტური ისარი კვლავ მარცხნივ გადაი-  
ხარა!

— წარმოუდგენელია!

გაკვირვებული მეცნიერები რიგ-რი-  
გობით რთავდნენ ელექტროწრედს და  
ისარს თვალს არ აშორებდნენ. ყველა-  
სათვის ცხადი გახდა: კომპასის ისარი  
იხრებოდა სადენში გამავალი ელექტ-  
როდენის ზეგავლენით.

— რა იქნება, თუ დენის მიმართუ-  
ლებას შეცვლით? — მოულოდნელად  
იკითხა ამპერი და შუბლი მოჭმუნა.

არაგომ დენის მიმართულება შეც-  
ვალა. ისარი ისეთივე ძალით გადაიხა-  
რა, ოღონდ საწინააღმდეგო მხარეს.

— საოცარია! — იძახდნენ მეცნიე-  
რები.

უცებ ამპერი სკამიდან წამოვარდა.  
ქუდის და ჯოხის ძებნა დაიწყო.

არაგომ მაშინვე შეამჩნია ეს.

— შენ უკვე მიდიხარ, ანდრე? სად  
მიიქტარი?

— შინ, მე ეს ცდა ჩემს სახლში უნ-  
და გავიმეორო.



იმ დღიდან ანდრე ამპერის ლაბო-  
რატორიაში გაქრა გაზების გამოსაკე-  
ვლელი ხელსაწყოები. მათი ადგილი და-  
იჭირა ვოლტას დიდმა ბატარეამ, კომ-  
პასებმა, საიზოლაციო მასალებმა, რკი-  
ნის ნაჭრებმა, სადენებმა და სხვა საგ-  
ნებმა, რომლებიც ელექტრობასთან იყო  
დაკავშირებული.

და აი, მრავალჯის ცდების შემდეგ

ანდრე ამპერი დარწმუნდა, რომ თუ  
ორ პარალელურ სადენში ერთი მიმარ-  
თულების დენი გაივლიდა, სადენები  
ერთმანეთისაკენ მიიზიდებოდნენ, ესე  
იგი ერთმანეთზე მოქმედებდნენ, ხო-  
ლო ელექტროძალა მაგნიტურ ძალად  
გარდაიქმნებოდა.

არაგოს ექსპერიმენტის დემონსტრა-  
ციიდან ერთი კვირის შემდეგ, 1820  
წლის 18 სექტემბერს, მეცნიერებათა  
აკადემიის იმავე დარბაზში ისტორიუ-  
ლი დღე დადგა. ანდრე ამპერი გამო-  
ვიდა თავისი ნამუშევრით, რომელშიც  
გენიალურად ახსნა ელექტრომაგნიტიზ-  
მის ძირითადი კანონები, მაგნიტური  
მოვლენები ელექტრულ მოვლენებამდე  
დაიყვანა, შექმნა ელექტროდინამიკა.

ფრანგმა მეცნიერებმა, რომლებიც  
უდიდესი ყურადღებით უსმენდნენ ამ-  
პერის მოხსენებას, უკვე კარგად იცოდ-  
ნენ, რომ დადგა ახალი ერა ელექტრო-  
ბის შესწავლის დარგში.

დიდმა მეცნიერმა ამჟერად სრულე-  
ბითაც არ გამოიჩინა თავისებური დაბ-  
ნეულობა.

**ა. პარბელაშვილი.**



მუხლებს შუა მოაქციოს, გადლაზოს მისი წინააღ-  
მდეგობა და ფეხები 2-3 ხელის დადებზე გააშლე-  
ვინოს (ტერფები იატაკს არ უნდა მოსწყდეს). შემ-  
დეგ საწყისი მდგომარე-  
ობა შეიცვლება და თამა-  
ში-ვარჯიში განახლდე-  
ბა.

2. მაგიდას ორი ვაჟი მიუჭდეს, იდაყვში მოხ-  
რილი მარჯვენა მკლავი მაგიდას დააყრდნოს, მო-  
წინააღმდეგის ხელი ხელ-  
ში მოიმწყვდიოს და ისე, რომ მკლავი მაგიდას არ ასცდეს და არც სკამიდან წამოდგნენ, მოწინააღმ-  
დეგეს მკლავი უნდა გა-  
დააბრევივინოს.



3. ერთმანეთს გვერდით დაუდეთ. მარჯვენა ფე-  
ხი წინ წადგით ისე, რომ ტერფები ერთმანეთს მი-  
აყრდნოთ. შემდეგ ხელის შუათითი მოწინააღმდე-

გის შუათითს გამოსდე და მთელი ძალით, ვიდრე თითს არ გააშლევინებ. შენსკენ გადმოხარე.

4. ერთმანეთის პირის-  
პირ დადეთ. ფეხები მხრების სიგანეზე გაშა-  
ლეთ. გამართული მკლავები წინ გაიშვირეთ და ჯოხი შვეულად დაიკავეთ. (მარჯვენა ხელი სახის პირისპირ უნდა გქონდეთ. მარცხენა — ქამრის პირის-  
სპირ). ახლა შეეცადეთ სა-  
ათის ისრის მოძრაობის მიმართულებით ჯოხი მა-  
რჯენივ გადახაროთ და თარაზულად გააჩეროთ.

5. ზურგშექცევით და-  
დეთ და ფეხები მხრე-  
ბის სიგანეზე გაშალეთ, გამართული მკლავები მა-  
ლდა ახსიეთ და ხელები მსხვილ ჯოხს ჩასჭიდეთ. შემდეგ შეეცადე წინ გა-  
დაიხარო და მოწინააღმ-  
დეგი თან გადაიყოლო.

6. დაიჭირე ხელში ძველი გაზეთი, მეორე ხელის შეუსველებლად დაჭიმუქნე და მუჭაში მო-  
აქციე ვინც ამას უფრო მალე გააკეთებს, გამარ-  
ჯებულიც ის იქნება.





„მობრძანდით — თვითონ  
დარწმუნდებით“

იტალიას ყოველწლიურად უამრავი ტურისტი აწუდება. ამ ქვეყნის რუკაზე მწვანად იპოვით ისეთ ადგილს, სადაც ტურისტს ფეხი არ დაედგას. და მაინც, არის ასეთი ადგილები. აი, თუნდაც პატარა ქალაქი სან-ვინჩენცო-სოტო-პალერმო. მთებში გაშენებული ამ ქალაქამდე ცუდი გზები მიდის. ტურისტები არც ასეთ გზებს შეუშინდებოდნენ, მაგრამ საქმე ის არის, რომ სან-ვინჩენცოში არაფერია ისეთი, ტურისტები რომ მიიზიდოს, არადა, ტურისტებისაგან მიღებული შემოსავალი პირდაპირ სულს მოათქმევინებდა ამ პაწია ქალაქის ღარიბ ბიუჯეტს!

ქალაქის მესვეურებმა იფიქრეს. იფიქრეს და ბოლოს გაზეთებში შემდეგი განცხადება გამოაქვეყნეს:

„ეწვეოთ სან-ვინჩენცო-სოტო-პალერმოს ჩვენთან სრული სიწყნარა, არც მანქანებია, არც მოტოციკლები. აქ მთებში მხოლოდ სახედრები ადიან, მობრძანდით და თვითონვე დარწმუნდებით ამაში!“



კინო და მამურობელი

იუნესკოს ცნობის თანახმად, მსოფლიოში ამჟამად 251 ათასი კინოთეატრია, აქედან 140 ათასი — საბჭოთა კავშირშია. დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის პირველი ადგილი იტალიას უკავია — იქ 10 ათასი კინოთეატრი მუშაობს.

საბავშვო თეატრები საბჭოთა კავშირში

იციოთ თუ არა, რამდენი საბავშვო თეატრი არსებობს საბჭოთა კავშირში? სტატისტიკა ამაზე უსტკ პასუხს იძლევა. დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში მუშაობს 44 დრამატული, 102 თოჯინების და მსოფლიოში ერთადერთი მუსიკალური თეატრი ბავშვებისათვის. ისინი სპექტაკლებს დგამენ საბჭოთა კავშირის ხალხთა 27 ენაზე, ყოველწლიურად 90 ათას წარმოდგენას უჩვენებენ, რომელთაც 85 მილიონი მოზარდი უყურებს.

რუსული ენა მსოფლიოში

თითქმის 500 მილიონი ადამიანი ლაპარაკობს მსოფლიოში რუსულ ენაზე (ამ რიცხვში შედიან ამ ენის შემსწავლენიც). რუსული ენა 57 ქვეყანაში ისწავლება და მისი შესწავლის ინტერესი განუწყვეტლივ იზრდება. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1957 წელს რუსულ ენას 10 სასწავლებელში ასწავლიდნენ, 1969 წელს კი — 600 სასწავლებელში, ინგლისში 1957 წელს




— 40-ში, ხოლო 1969 წელს — 700 სასწავლებელში. შვეიცარიაში, დანიაში, ავსტრიაში და დასავლეთის ბევრ ქვეყანაში რუსული ენა სავალდებულო სასწავლო საგნად არის მიჩნეული. სოციალისტურ ქვეყნებში იგი ძირითად უცხო ენად ისწავლება.

ანექლოტებისა და ნაკვეთების კოლმეცია

ამ ქვეყნად ბევრი მოყვარული კოლმეციონერია. აგროვებენ, მაგალითად, საფოსტო მარკებს, ასანთის ეტიკეტებს, ჩიბუხებს, პაპირის კოლოფებს, ძველ მონეტებს, ხელსაწმენდებს, ბურთულეზიან კალმებს... ერთ-ერთი ბულგარელი, გაბრიელს ქარხანაში მომუშავე სტეფან ალექსანდროვი კი ანექლოტებისა და ნაკვეთების კოლმეციას ადგენს. მას უკვე შეგროვებული აქვს 10 ათასი ნაკვეთი და 8500 ანექლოტი. მთელი ეს სიმდიდრე რომ დაიბეჭდოს, 2200-გვერდიანი წიგნი გამოვა. სტეფან ალექსანდროვის კოლმეციონერია არის 440 გაბრიელი ანექლოტი, 114 — სომხური, 200 — ევროპული, 160 — შოტლანდიური და ა. შ. აქ ნახავთ ანექლოტებს ცნობილ ბულგარელებზე, ხოჭა ნასრედინზე, დიოგენზე, ვოლტერზე, მარკ ტვენზე, ბერნარდ შოუზე და ბევრ სხვა სახელგანთქმულ მწერალზე, მხატვარზე, მსახიობზე, კომპოზიტორზე...

მდინარის გასაღები

ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთ მუზეუმში ინახება საინტერესო ექსპონატი — მთის პატარა მდინარის... გასაღები. გადმოცემით, მეფე ფერდინანდ მესამემ ამ მდინარის კალმახი რომ შიირთვა, თვითონ მდინარეს „ბოქლომი“ დაადო, მასში თევზაობა აკრძალა. კალმახის ქერის უფლება მხოლოდ იმას ჰქონდა, ვინც მდინარის ყარულს მეფის გასაღებს წარუდგენდა.



სურათებიც ახმოვანდებიან

შეიძლება თუ არა გვიგონოთ იმ დიდ მხატვართა ხმა, რომლებიც რამდენიმე ასეული წლის წინათ ცხოვრობდნენ? „რასაკვირველია, არა! — იტყვით თქვენ — იმ დროს ხომ ხმის ჩამწერი აპარატები არ არსებობდა“...

ეს მართალია, მაგრამ საქმე ის არის, რომ როცა მხატვარი ტილოზე საღებავს უსვამს და იმავე დროს რაიმეს წარმოთქვამს, საღებავში აღიბეჭდება ბგერითი ტალღები. ძლიერი გამაღიდეველი შუშით საღებავზე შეიძლება დავინახოთ ტალღისებური ხაზები. სწორედ ეს არის გაქვეყნებული ბგერები.


ამჟამად ფართო კვლევა-ძიება მიმდინარეობს წარსულის ხმების, მუსიკის და ა. შ. ახახმოვანებლად. სხვადასხვა საგნის ზედაპირზე თუ მის შიგნით ოდესღაც შემთხვევით „ჩაწერილი“ ბგერების გასაცოცხლებლად.

გიგანტური ხვლიკი

რამდენიმე წელია, პოლონელ მეცნიერთა ჯგუფი გობის უდაბნოში გათხრებს აწარმოებს. ამას წინათ მან ტარბოზავრას ჩონჩხი აღმოაჩინა. ტარბოზავრა — წინაისტორიული დროის ხვლიკი, ძალზე საშიში მტაცებელი იყო. მისი სიგრძე 14 მეტრს აღწევდა; დადიოდა ღონიერი უკანა ფეხებით; შეედგმო ექვსი მეტრის სიმაღლეზე აეწია თავი. ამ მტაცებელს თითქმის ერთი მეტრი სიგრძის ყბები ჰქონდა, რომლებიც ხიშტიანობის კბილებით იყო შეიარაღებული.

შენობა პაპატში

მსოფლიოში ყველაზე დიდი პაკეტი გააკეთეს ამერიკის ქალაქ უინსტონ-სეილემში (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი). პაკეტში შეხვეული იყო რეინოლდსონის ინსტიტუტის შენობა (მისი საწინამდებარე განხილვის წინ) შენობის შეფუთვაზე დაიხარჯა 3400 კვადრატული მეტრი პლასტიკი და ორი კილომეტრი სიგრძისა და შეიდანახვარი მეტრი სიგანის ზონარი.



გირთხაც მკვინანი

როცა საკვების გატაცების ჯერი დგება, ვირთხეები საოცარ მოსაზრებულობას იჩენენ. გამოჩენილ გერმანელ მეცნიერ ბრეჟის მაგიდიდან და კარაბიდან გამქრალი კვერცხი ხშირად სოროში უპოვნია. ნატურალისტი მალოლა უთვალთვლებდა მღრღნელებს და აი, ერთხელ ასეთი სურათის მოწმე გახდა: ორი ვირთხე მაგიდაზე აძვრა. ერთმა კვერცხს მოჰხვია თათები, მეორემ თანამომე კუდილ მათორა მაგიდის კედელთან და ძირს გადააგდო. კვერცხს ჩაქიდებული ვირთხეა უფრით დევცა და მუცელზე მიხტებული კვერცხი გატეხვას გადარჩა.



ვაზის და ხეხილის სას-  
ხლავ მაკრატელს — სეკა-  
ტორს ზამბარა თუ გაუტ-  
ყდა, შეგიძლია მის ნაც-  
ვლად სქელი რეზინის ნა-  
ჭერი (15X15X200 მმ)  
ჩაუდგა და სახელურებ-  
ზე მაგარი ძაფით მიახ-  
ვიო.

წვრილი ლურსმნის ჩა-  
ჭედება, ისიც მიუდგომელ

ადგილას, ცოტა არ იყოს,  
ჭირს. განსაკუთრებით  
ძნელია პირველი დარტყ-  
მები. ლურსმანს დასაჭე-  
დებელ ადგილზე დაადე  
პლასტილინის ნაჭერი და  
ლურსმანი საჭირო ადგი-  
ლზე ჩაამაგრე; ჩაქუჩს  
რამდენჯერმე რომ დაარ-  
ყამ, პლასტმასა შეგიძ-  
ლია მოჭრა.

საღესმა ქვამ რომ სად-  
გარზე არ ისრიალოს,  
ქვეშ რეზინის ორი ნაჭე-  
რი დაუდე.




ჭილობის ფეხსაფენს  
კუთხეები წამოეწევა ხო-  
ლმე, კარებსაც ედება  
და აღამიანსაც ფეხებში  
ებლანდება. გაუყარე ყო-  
ველ კუთხეში თითო

გრძელი ლურსმანი და  
ჭილობი იატაკზე კარგად  
დაიგება.

როცა ნიკელის ან სხვა  
პრიალა ლითონის მილი  
ან ლერძი გინდა გირაგ-  
ში ჩაამაგრო, დაატანე  
სარეცხის სამაგრები და  
ლითონს პირი აღარ წაუხ-  
დება.

სრთობთ სავსე ვედრო  
ქანჩახრახნისით ასე შე-  
გიძლია გადაიტანო.

თუ რეზინის მილი ფა-  
რთეა და ონკანს არ მო-  
ერგო, აქეთ-იქიდან სო-  
ლისებურად ამოჭერი და  
გარედან მაგრად შემო-  
ახვიე საიზოლაციო ლენ-  
ტი.



## ს ა კ ი ე ბ ე ლ ი

გილოცავთ ახალ წელს	1	ახალი წიგნები	28
მარბაიშვილი ე. მატარებლები დასავლეთისაკენ მილი- ან (მოთხრობა)	2	ლუბანიძე მ. — დედაბრის ქისა (პოემა)	24
მგელაძე ნ. — წმინდა სათავე (ნარკვევი)	10	პარბულაშვილი ბ. — გენოსი და დაბნეულობა (წე- რილი)	29
მთებისა და ველების დაღესტანი (წე- რილი)	12	სპორტი	30
მ. სეტიელი — ყუბაჩი და ყუბაჩელები (ნარკვევი)	12	ჯადოსნური სარკე	31
იუსუპოვი ნ. — უცნობი და კამილი (ლექსი)	17	გამოგადგები	32
აბუ-ბაჰარ ახმედბან — ქულთუმი (მოთხრობა. თარგ- მნა მირონ ხერგიანმა)	18	ცხრაკლიტული... გარეკ.	3

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ ფურაბ მამყარაშვილს.

მთავარი რედაქტორი ბაბუღია შელია.  
სარედაქციო კოლეგია: შოთა ბაბუღია, ნოდარ გუზაბანიძე, შოთა დვდარიანი,  
სერგო კლდიაშვილი, მუჰამდ ლუბანიძე, ჯუზუა ლუშაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი,  
თენგიზ სამსონაძე, ბაიოჯ შოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი:  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
ტელეფონები:  
რედაქტორის—83-97-05  
93-31-81  
პ.მგ. მდივანის  
93-97-43 93-53-05  
განყოფილებების—83-97-1  
93-97-01

საქ.კ.ე.ც-ის გამოცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.  
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии  
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.  
გადაცა ასაწყობად 18/XI-71 წ. ხელმოწერილია დასახელებად 23/XII-71 წ. ქალღმთის ფორმატი  
60X90%. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. საღებავი-საღებავი ცელო თანხა 4,19.  
შეკვ. № 4030 ტირ. 124.065. უფ. 0.257.

ფახი  
20  
კაპიტი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.  
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.



პასუხი  
№ 12-ში მოთავსებულ „სხრაკლი-გულზე“

ფოტობამოყვანა

ცალკე ფოტოზე გამოსახულია რიგში მეოთხე მამაკაცი. როგორ მიგზვდით? უურებზე მხოლოდ მას აჩნია სათვალის კვალი.

ცხვრები

ბევრს ჰგონია, რომ ცხვრები ერთმანეთის მიმართ აუცილებლად ზურგშიცხვივით უნდა მდგარიყვნენ, ამიტომ შევითხვავთ ან უარყოფით პასუხს იძლევიან, ან ცხვრებს სარკეში ახედებენ და სხვ. მაგრამ თუ ცხვრები ერთმანეთის პირისპირ იდგნენ? თვით კითხვაა ეშმაკურად დასმული და გამოსაცნობი ცხვრედ ეს იყო.

პროსკოროლი


თარაზულად: 1. კრახი; 2. რემარკა; 3. ბოლონია; 8. იაპონია; 14. უმი; 15. ძუა; 17. მადლი; 19. გია; 20. არიკა; 22. ლია; 23. იაფანა; 24. იორი; 26. იდეა; 28. ის; 29. ვა; 30. პორტალი; 31. შტრაუსი; 32. გრ ფატი.

შვეულად: 4. ლონდონი; 7. ანარქია; 8. ინგლისი; 16. კანტატა; 18. მუმლი; 21. უნაბი; 22. ზლოტი; 27. ირემი.

ლიაგონალურად: 1. ტაიმსი; 5. ისრიმი; 6. ჩირგვი; 7. აპათია; 9. ისინდი; 10. ტალი; 33. არეკლი; 34. აბრისი; 35. ირონია; 38. ილი; 37. „აილა“; 38. აგენტა.

ცნობილთა სახელები

არჩვი, აქლემი, ძაღლი, ხარი, ნიამორი, უირაფი, ზებრა, ძროხა, დათვი, კამეჩი, ნიანგი, მელია



დიაგონალურად: 1. ქართველი სახალხო გმირი; 2. სიხლძარღვი ანუ? 3. ფრანგ ფიზიკოსი; 4. ყვავილი; 5. სამეცნიერო ურნალეობას გაცემული სახელწოდება; 6. ევროპის სახელმწიფო.

თარაზულად: 9. ჩინჩერი ჩრდილოეთ ამერიკაში; 10. ზუსტი მსროლელი; 11. რაიმე ნაწარმოების მთავარი ავრი; 13. ინდოეთის დედაქალაქი; 15. რიცხვი; 17. სახელმწიფო აზიაში; 20. ცირკის გამოჩენილი მსახიობი; 21. ქალაქი იმერ-

ბაიკალში; 22. ქალაქი დაღისის შტატში; 23. რუმინული ფულის ერთეული; 24. ზღვა აზიაში; 25. ციფრი; 27. ფუქი ანუ?.. 28. მიწის დასამუშავებელი ხის იარაღი ძველად; 30. მხალეული; 31. ტბა ავსტრალიაში.


შვეულად: 7. დასჯის სახე გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე; 8. მოცარული დარტყმა ბილიარდში; 12. მეტყველების ორგანო; 14. სადურგლო იარაღი; 16. მდინარე დუნაის უძველესი სახელწოდება; 17. ძველებუ-

რი თოფი; 18. გამოჩენილი ქართველი მოქიდავე; 19. ეროვნება; 20. ეგვიპტის დედაქალაქი; 23. სოფელი წალენჯიხის რაიონში; 26. მცენარე, რომლისაგანაც დამზადებულ საღებავს თმა-წვერის შესაღებად ხმარობენ; 27. ჭარი, ლაშქარი ანუ?... 29. ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი მხარე, რომელიც მოიცავდა 12 ქალაქს.

ციცინო გიანაშვილი. თიანეთის 8-წლიანი სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

შეამოყვანეთ  
მახსოვრობა

ყურადღებით დააკვირდით ამ ნახატს (ერთი წუთის მანძილზე). შემდეგ ურნალი დახურეთ და ნახატზე გამოსახული საგნების დახატვა სცადეთ. შეეჯიბრეთ ერთმანეთს, ვინ რამდენ საგანს დაიმახსოვრებს და რაოდენი სიზუსტით აღადგენს მათ.



შ ბ რ ა დ ა

ქუჭულეები ყვითელი ჭყავს, თვითონ თეთრი არის ფერად. რამდენიც სურს იყიყინოს, — მოაკელი ბოლო ბგერა. მზეზე თუკი დაიწვები, გადაგჭვრება ხოლმე იგი; თუკი ესეც გამოიცან.

შეაერთო უნდა რიგით, — ხან კუნტარუშობს მწვანე მოლზე, ხან ბლავილით უხმობს დედას, მწყემსი კომბლით უდარაჭებს, მგელი ვერას გაუბედავს.

შ. აშირანაშვილი.



6203/34

302-407093